K 219116/3

ივან ბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები

(ლექციების კურსი)

თბილისი 1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან ჭილაშვილი

# მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები

/ლექციების კურსი/

სპეც-2000
შემოწმებულია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1984

79.1
069
ჟ.461

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები" ავტორის მიერ წაკითხული ლექციების კურსია. მკითხველი აქ გაეცნობა მუზეუმმცოდნეობის-სამეცნიერო დისციპლინის არსსა და კვლევის შინაარსს, მის თანამედროვე მდგომარეობას და პრობლემებს. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა სამუზეუმო ცხოვრების განვითარების ისტორიის გადმოცემას- წინამორბედი სახეებიდან მოყოლებული თანამედროვე მუზეუმებით დამთავრებული. ნაჩვენებია მუზეუმების სპეციფიკური მხარეები, მათი საქმიანობის ყველა ეტაპის გათვალისწინებით.

წიგნი გამიზნულია ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და სამუზეუმო დაწესებულებების თანამშრომელთათვის.

რედაქტორი გ.ავალიშვილი
რეცენზენტები: ა.წერეთელი
ნ.ქანთარია

219.116

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1984

Ч 4403020000 / M 608(06) 84

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

წინამდებარე გამოცემა გამიზნულია თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ის შედგენილია ამავე ფაკულტეტზე ავტორის მიერ 1978-1983 წწ. წაკითხული ლექციების კურსის მიხედვით. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი სასარგებლო იქნება მუზეუმების თანამშრომლებისა და საერთოდ სამუზეუმო ცხოვრების განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის. მკითხველი აქ გაეცნობა სამუზეუმო საქმიანობის სპეციფიკურ მხარეებს, მუზეუმების ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, ასევე თანამედროვე სამუზეუმო მდგომარეობას და წამყვან ცენტრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

გამოცემის ტექნიკური თავისებურების გამო, წიგნი გამოდის ორ ნაწილად, პირველია "მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები", მეორე /გამოდის ორ ნაკვეთად/ ეძღვნება მსოფლიოს დიდი სამუზეუმო კერების განხილვას. აღნიშნული მიზეზით ვერ მოხერხდა ილუსტრაციების დართვა, რაც მის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. სრულყოფილი გამოცემა, შესაბამისი თვალსაჩინოებითი მასალების დართვით, ავტორს განზრახული აქვს მომავალში. აქვე იქნება გათვალისწინებული წინამდებარე გამოცემის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები, რომლებსაც ავტორი დიდის მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შეძლებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი I

## მუზეუმმცოდნეობა და მუზეუმების განვითარების მოკლე ისტორია

### მუზეუმმცოდნეობა როგორც სამეცნიერო დისციპლინა

მუზეუმმცოდნეობა, ანუ როგორც სხვანაირადაც აღნიშნავენ -მუზეოლოგია, სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მუზეუმების წარმოშობას, განვითარებას, მათ სპეციფიკასა და საზოგადოებრივ ფუნქციებს, სამუზეუმო საქმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს.

მუზეუმმცოდნეობა, ისევე, როგორც მეცნიერების არაერთი სხვა დარგი, საგანგებო დეკრეტებით არ შექმნილა, ის მეცნიერული აზრის წიაღსვლის აუცილებელი და კანონზომიერი ნაყოფია, საზოგადოების განვითარების ბუნებრივი შედეგი. მის ჩამოყალიბება-დაფუძნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სამუზეუმო ცხოვრების გაზრდილმა მასშტაბებმა, მუზეუმების ქსელის არნახულმა ზრდამ და მუზეუმების სპეციფიკის მრავალფეროვნებამ, რამაც დღის წესრიგში დააყენა სამუზეუმო საქმის სისტემაში მოყვანა, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის ისტორიული განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინებით მეცნიერულად დასაბუთებული, ჩამოყალიბებული თეორიული საფუძვლების შექმნა და მისი პრაქტიკულად განხორციელების რეკომენდაციების შემუშავება. მაშასადამე, მუზეუმმცოდნეობა მუზეუმების არა მარტო წარსულის შესწავლაა და არსებულის ანალიზი, არამედ ის მუზეუმების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ პერსპექტივასაც იძლევა.

მარტივი და პირდაპირი განმარტებით მუზეოლოგიის საგანია მუზეუმი, მისი ცხოვრების მრავალფეროვანი შინაარსით, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნყებული სამუზეუმო ნივთის მუზეუმში მოტანით, ე.ი. შემგრო-ვებლობითი საქმიანობით, დამთავრებული ექსპოზიციის მოწყო-ბით და სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდით, რაც გადაჯაჭვულია თეორიული თუ პრაქტიკული შრომატევადი სამუშაოების რთულ კომპლექსთან. სწორედ ეს კომპლექსი- ისტორიის კვლევა, არ-სებულის სრულყოფილი ანალიზი და განვითარების პერსპექტივის შემუშავება არის მუზეოლოგიის კვლევის უმთავრესი საგანი.

მუზეოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი და მთავარი საგა-ნია მუზეუმების წარმოშობისა და ფუნქციონირების არსის შეს-წავლა, სოციალურად განპირობებული კანონზომიერებების კვლევა. ეს გულისხმობს ზოგადად სამუზეუმო უჯრედების გაჩენა-ჩამოყა-ლიბების კლასობრივ თავისებურებათა ანალიზს, ისტორიული ას-პექტებისა და ინტელექტუალური გარემოს განსაზღვრას; მუზეუმებ-ში მათი პროფილის მიხედვით დაცული პირველწყაროების- სამუზე-უმო კოლექციების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე საზოგადო-ებრივი ცხოვრების და ბუნების მოვლენების განვითარების უმთავ-რესი და განმსაზღვრელი ასპექტების შესწავლას.

მუზეოლოგია სწავლობს საკუთრივ მუზეუმს, როგორც ის-ტორიულად განპირობებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტს, მის შიდა ორგანიზაციას და ისტორიული განვითარების კანონზომიერების პრინციპზე ჩამოყალიბებულ სამუზეუმო სისტემას. იგი იკვლევს მუზეუმების სოციალურ ფუნქციებს, რაც ვლინდება და გამოხატუ-ლებას პოულობს საზოგადოების განვითარებასთან და ბუნების ამ-სახველ მოვლენებთან დაკავშირებულ პირველწყაროების-სამუზეუმო ნივთების შერჩევა-დაკომპლექტებაში, მეცნიერულ გამოკვლევებში, ექსპოზიციების, როგორც მეცნიერული პროპაგანდის და ცოდნის პოპულარიზაციის დამაგვირგვინებელი ფორმების შექმნაში და სხვ.

ნებისმიერი მუზეუმის ქვაკუთხედი ნივთია, რომელსაც მუზეუმში შემოტანის შემდეგ მეცნიერული პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ეს მომენტი დამახასიათებელია ყველა სამუზეუმო ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მისი პროფილისა. მუზეოლოგიური შესწავლა მიზნად ისახავს ასეთი პირველწყაროების ფუნქციის გამოვლენას, მათი აღრიცხვის, ყოველმხრივი დოკუმენტაციის და დაცვის რეჟიმის განსაზღვრას; კონსერვაციის და რესტავრაციის მეთოდების შემუშავებას და მომზადებას ოპტიმალური სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის; ნივთების ემოციური თუ ვიზუალური შეგრძნების ეფექტის გამოწვევას ექსპონირებისა და მასობრივი მუშაობისათვის. ..

მუზეოლოგიის განსაკუთრებული ასპექტია საზოგადოებრივი ცხოვრების და ბუნების მოვლენების თავისებურებების დადგენა, წამყვანი მომენტების განსაზღვრა და სათანადო მასალების შერჩევა-მომზადება, რითაც შეიძლება ასეთი მოვლენები აისახოს და დამთვალიერებლამდე მივიდეს როგორც შემეცნების წყარო.

მუზეოლოგია, მეცნიერული კვლევის შედეგად იმუშავებს სამუზეუმო საქმიანობის განმსაზღვრელი ეტაპების ცალკეული ნიუანსების შესახებ სათანადო წესებს და ხერხებს; ასეთნაირად ის ადგენს საველე-მოძიებითი საქმიანობის, აღრიცხვისა და დოკუმენტაციის, სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის მეთოდებს; უშუალოდ მუზეუმის დამთვალიერებლებზე დაკვირვების შედეგად, ადგენს პროპაგანდისტულ სამუშაოთა ხასიათსა და შინაარსს; განსაზღვრავს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების მიღწევათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებას სამუზეუმო პრაქტიკაში /ქიმიური ანალიზები, დათარიღების ფიზიკური მეთოდები, სპექტროგრაფია, რენტგენოგრაფია და სხვა/; ზუსტი მეცნიერებების მიღწევანი, ასევე მანქანური ინფორმაციის დანერგვას სამუზეუმო ცხოვრებაში.

მუზეოლოგია იყენებს კვლევის სხვადასხვა ხერხებს. იგი, ერთი მხრივ იმუშავებს საფონდო, საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამუშაოების მეთოდურ საკითხებს და მეორე მხრივ თეორიულად ასაბუთებს კომპლექსურ-თემატურ მიდგომას სამეცნიერო, საფონდო, თუ საექსპოზიციო სამუშაოებისადმი.

კვლევის ნებისმიერ ეტაპზე, მუზეოლოგია მჭიდროდ უკავშირდება სხვა სამეცნიერო დარგებს როგორც ჰუმანიტარული ისე საბუნებისმეტყველო პროფილით, განსაკუთრებით იმ სამეცნიერო დისციპლინებს, რომლებიც განსაზღვრავენ მუზეუმების პროფილს /ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა, ზოოლოგია, გეოლოგია და სხვ./.

მუზეუმები პროფილის მიხედვით მეცნიერების სხვადასხვა დარგებს განეკუთვნებიან /ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სხვ./, რაც ცხადია ამრავალფეროვნებს, მაგრამ ამავე დროს ართულებს მუზეოლოგიურ საქმიანობას. სწორად დაყენებული მუზეოლოგიური კვლევა გულისხმობს ასეთი განსხვავებული მეცნიერული დისციპლინების არა მექანიკურ შერწყმას და დაკავშირებას, არამედ მათ წარმოდგენას შემეცნების დამოუკიდებელ დარგებად, საერთო-სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ფონზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუზეოლოგია სტრუქტურულად რთული და მრავალმხრივი შემადგენლობისაა. იგი მოიცავს სამუზეუმო საქმის თეორიას, სამუზეუმო საქმის ისტორიას და მუზეოლოგიურ ისტორიოგრაფიას; სამუზეუმო შემოქმედების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეოლოგიური გამოკვლევების სამეცნიერო მეთოდოლოგიას; საექსპოზიციო და საგანმანათლებლო სამუშაოების თეორიასა და პრაქტიკას და სხვ.

მუზეოლოგიის განვითარების სწრაფი ტემპების შესახებ შეიძლება მსჯელობა იმ სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, რომელიც გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მონოგრაფიების თუ პერიოდული გამოცემების სახით. 70-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით 150-ზე მეტი ჟურნალი გამოდიოდა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ სამუზეუმო ცხოვრებისადმია მიძღვნილი. აქედან შეიძლება მოვიხსენიოთ "იუნესკოსთან" არსებული მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ჟურნალი " Museum ", ჟურნალები: "Museum News " /აშშ/, " The Museum Journal "/ინგლისი/, " Musées de France " /საფრანგეთი/, " Museum " /ჩეხოსლოვაკია/, " Neue Museumskunde " / გდრ/, " Музеи и паметница на културата "/ბსრ/ და სხვ. საბჭოთა კავშირში გამოდიოდა ჟურნალი " Музей " / 1923-24/, "Оружейная палата "/ 1931-1940 წწ./, ამჟამად "Советский Музей " / 1931-1940 წწ./, ამჟამად გამოდის " Музейное дело в СССР " და სხვ. ბევრ ქვეყანაში არსებობს მუზეუმმცოდნეობის ინსტიტუტები, სამეცნიერო ცენტრები, კათედრები, განყოფილებები და სხვ.

მუზეოლოგიის ხაზით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი საქმიანობა, რომელსაც ეწევა "საერთაშორისო სამუზეუმო საბჭოს" /"იკომ"/- არასამთავრობო საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის წევრიცაა მსოფლიოს 80-მდე ქვეყანა. "იკომ"-ი შეიქმნა 1946 წ. ცალკეული ქვეყნების სამუზეუმო ცენტრები საბჭოში შედიან ეროვნული კომიტეტების მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერთებით. "იკომ"-ის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იწვევს სხდომებს. დღემდე ჩატარებულია 13 გენერალური კონფერენცია /1947- მექსიკა; 1950 წ.- ინგლისი; 1952 г.-იტალია; 1956 წ.-შვეიცარია; 1959 წ.-შვეცია; 1962 წ.- ნიდერლანდები; 1965 წ.-აშშ; 1968 წ.- გფრ; 1971 წ.- საფრანგეთი; 1974 წ.- დანია; 1977 წ.- სსრ; 1980 წ.-მექსიკა ; 1983 წ.- ინგლისი/. "იკომ"-ის საბჭოთა ნაციონალური კომიტეტი მრავალმხრივსა და ნაყოფიერ მუშაობას ასრულებს. ქვეყნის ნაციონალური კომიტეტის მეშვეობით "იკომ"-ის წევრია სსრკ მსხვილი სამუზეუმო ცენტრები, მათ შორის საქართველოდან- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ს.ჯანაშიას სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი. "იკომ"-ის გენერალური კონფერენციების და ნაციონალური კომიტეტების პერიოდულ სხდომებზე, სამუზეუმო საქმის თეორიის და პრაქტიკის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იხილება, რომელთაც დიდი მუზეოლოგიური რეზონანსი აქვთ.

მუზეოლოგიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და მომავალი სამუშაოების ქვაკუთხედად იქცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი -" ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" /1976 წ., 29 ოქტომბერი/, რომელმაც კანონით დადგენილი საფუძველი შეუქმნა ჩვენში სამუზეუმო ცხოვრების შემდგომ წინსვლას. ასეთივე კანონი იქნა მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1977 წ. 29 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა არის მუზეუმი ?

მუზეუმი, რომლის სახელი ძველბერძნული Museion - დან მომდინარეობს, მუზებისათვის განკუთვნილ ადგილს- მუზების ტაძარს აღნიშნავს / მუზა ძველბერძნული მითოლოგიით სიმღერის, პოეზიის, ხელოვნების და მეცნიერების ქალღმერთია/. მუზეუმი სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სამუზეუმო ნივთების ან კოლექციების შეგროვებას, ფონდების დაკომპლექტებას, შენახვა-დაცვას, ფონდების მეცნიერულ შესწავლას, ექსპონირებას და მეცნიერულ პოპულარიზაციას. სამუზეუმო ნივთად შეიძლება ჩაითვალოს მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ნიმუშები, ასევე ადამიანის გეოგრაფიული გარემოს ან ბუნების ამსახველი მასალები, ე.ი. ყოველივე ის, რაც პირველწყაროს წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების განვითარების და ბუნების შესახებ. აქედან გამომდინარე მუზეუმებში დაცულია უმთავრესად ნივთიერი კულტურის ძეგლები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ყოფითი მასალები, წერილობითი წყაროები /ხელნაწერები, დოკუმენტები/, ბუნების ამსახველი მასალები და სხვ.

მუზეუმები დიდსა და მრავალმხრივ სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამუშაოებს აწარმოებენ, რაც მოიცავს სამუზეუმო საქმიანობის რთულსა და მრავალფეროვან ციკლს; დიდ როლს ასრულებენ მოსახლეობაში მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის საქმეში, ახალგაზრდობის თანამედროვე სულისკვეთების ამაღლებაში. მასობრივი, პოლიტაღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოების მოცულობა დღითი დღე იზრდება და ამდენად მუზეუმების ხვედრითი წონაც ამ მიმართულებით, რამდენადაც საქმე ეხება ხალხის კულტურული დონის ამაღლების და ინ-

ტელექტუალური შემეცნების ზრდის მნიშვნელოვან პრობლემებს, შესაბამისად მატულობს.

ნიუხედავად მუზეუმების მრავალპროფილიანობისა, სამუშაოთა მოცულობისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული სხვაობისა, ჩვენში შექმნილია მუზეუმების, როგორც სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებების ერთიანი სისტემა, რაც გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა, სამუშაოთა ერთიანი ამოცანებით და პრობლემებით. შეიძლება დავასახელოთ მუზეუმების ზოგიერთი ტიპი, სამუშაოთა ხასიათით მკვეთრად განსხვავებული, მაგრამ ერთიანი, ზოგადი მიმართულებით და მიზნებით: საბუნებისმეტყველო-გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ზოოლოგიური და სხვ. მუზეუმები, რომლებიც აგროვებენ, იცავენ, მეცნიერულად ამუშავებენ და გამოაქვთ ექსპოზიციებში გადაშენებულ ცხოველთა ძვლები, ფლორისტული მასალების ანაბეჭდები, წიაღისეულის ნიმუშები და ფაუნისტური მასალები; ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმები აგროვებენ, სწავლობენ და გამოფენებზე გამოაქვთ ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები, ყოფითი მასალები, შეიარაღების ნიმუშები, რევოლუციური მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები, ნივთიერი მონაცემები და სხვ. ხელოვნების პროფილის მუზეუმები ინახავენ და ჰფენენ მასიური დამთვალიერებლებისათვის ხელოვნების ნიმუშებს- ფერწერულ თუ გრაფიკულ ნამუშევრებს, სკულპტურას და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მოკლე ნუსხიდან შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ როგორი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან სამუზეუმო კოლექციები, თუმცა მათი დაყოფა შეიძლება ორ ძირითად სახეობად: ესაა ბუნებიდან, ადამიანის გეოგრაფიული გარემოდან აღე-

ბული მასალები, რომელთაც ადამიანის შემოქმედების კვალი არა აქვთ, მათ შექმნაში ადამიანს მონაწილეობა არ მიუღია, და უშუალოდ ადამიანის შემოქმედებასთან, მის შრომასთან და სულიერ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთიერი ძეგლები. აი ეს ორი დიდი ჯგუფი შეადგენს სამუზეუმო კოლექციების ძირითად ფონდს..

მიუხედავად მრავალპროფილიანობისა და განსხვავებულ სამუშაოთა მასშტაბებისა, მუზეუმები სამეცნიერო დაწესებულებებს წარმოადგენენ მკვეთრად განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებით და სამუშაოთა შინაარსით. მუზეუმების კვლევის უპირველესი საგანია ის სამუზეუმო კოლექციები, ხშირად უნიკალური და იშვიათი, რომლებსაც პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების განვითარების და ბუნების შესასწავლად. საქმე ეხება დიდმნიშვნელოვანი ნივთიერი მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანას. აქედან გამომდინარე, მუზეუმების უპირველესი სამეცნიერო მიზანი განისაზღვრება ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლების, ასევე საბუნებისმეტყველო მასალების მოძიებით, შერჩევით და მუზეუმში დაუნჯებით, რაც გამაზომიერი მეცნიერული დამუშავების შემდეგ, ექსპოზიციების მეშვეობით იქცევა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სამუშაოების ობიექტად, მონოგრაფიული შესწავლის და გამოქვეყნების შედეგად კი მეცნიერული კვლევის პროდუქტად.

სამუზეუმო კოლექციების მიხედვით ძნელი არ არის დავინახოთ მეცნიერების განვითარების გზები და სირთულენი, რაც თან სდევდა სამუზეუმო ცხოვრების განვითარებას, რომ ჩვენამდე მოღწეული სამუზეუმო კოლექციების შექმნა და მოვლა-პატრონობა დაკავშირებული იყო თავგანწირულ, ხშირად მამაცურ შემოქმედები

მოღვაწეობასთან, რასაც არა ერთი და ორი თაობის წარმო-მადგენლები ახორციელებდნენ. ეს უფრო საცნაური გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ კარგა ხანს მუზეუმები მეცნიე-რების განვითარების მთავარ საყრდენს წარმოადგენდნენ, სა-დაც ფეხს იდგამდა და ვითარდებოდა მეცნიერების არაერთი დარგი- ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, ნუმიზმატიკა, გლიპტიკა, გეოლოგია, ბოტა-ნიკა, მინერალოგია და სხვა მრავალი.

თანამედროვე მეცნიერება სამეცნიერო დაწესებულე-ბების მთელ სისტემას განაგებს. სამუზეუმო დაწესებულებების გვერდით, ხშირად მისი პირველსახეების მხარდამხარ მსოფლიო ცივილიზაციამ შექმნა მკვიდრი საუნივერსიტეტო თუ საკადემიო სისტემა, მოგვიანებით კი მთელი რიგი საკვლევი ინსტიტუტები, ლაბორატორიები. მიუხედავად ამისა, სამუზეუმო სამეცნიერო სტრუქტურა თავისი მდიდარი ტრადიციებით "ნივთმცოდნეობის" სფეროში კვლავ წამყვან ადგილს იკავებს. სამუზეუმო ექსპონა-ტად ქცეულ ნივთს, სხვადასხვა მოვლენის ასახსნელად პირველ-წყაროს მნიშვნელობა აქვს, მის "ნივთიერ მტკიცებას" ეჭვის საფუძველი ეცლება, ისე რომ ბევრი მოვლენის ახსნა, რომელსაც ჩვენ დღეს ჭეშმარიტად ვრაცხთ, ალბათ ძნელი დასამტკიცებელი იქნებოდა მის გარეშე. ასეთმა "ნივთიერმა მტკიცებამ" საფუძ-ველი ჩაუყარეს საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმების პრაქ-ტიკულად შექმნას, მეცნიერულად კი არაერთ თეორიულ ტრაქტატს, მათ შორის მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს ახალი სახეების, დედამიწის გეოლოგიური განვითარების და სხვათა შესახებ.

სამუზეუმო კოლექციები და მათი მეცნიერული შესწავ-

ლის არსი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ისტორიულ და სხვა პარალელური მასალების მოშველიებასთან, რამაც მეცნიერებაში შედარებითი მეთოდის გამოყენება დანერგა და, რომელიც ფართო აღიარებით სარგებლობს დღეს მეცნიერებაში.

სამუზეუმო კოლექციები ყოველთვის წარმოადგენდნენ ბუნების მოვლენებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ ახალ-ახალი მასალებით ცნობიერების დაკმაყოფილების წყაროს ფართო საზოგადოებისათვის. ასეთი დაუცხრომელი ინტერესი მუზეუმისა, ნ განსაკუთრებულ სიფაქიზესა და ზრუნვას მოითხოვენ უპირველესად ექსპოზიციების მოწყობის დროს, რაც გულისხმობს თვალსაჩინოების მეთოდების სწორ შერჩევას, მხატვრული აღქმის გაძლიერებას და ზემოქმედების ეფექტური ხერხების გამოყენებას თანამედროვე ტექნიკური მეთოდების და საშუალებების გამოყენებით. დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ექსპოზიციების მეშვეობით გაწეული მეცნიერული პროპაგანდა, მისი ხასიათი და დონე პირდაპირ უკავშირდება და ასახავს გაწეულ მეცნიერულ შრომას და თანამედროვე მეცნიერულ დონეს. ამდენად, ექსპოზიციების მაღალ ხარისხზე და დონეზე შეიძლება ილაპარაკო მხოლოდ მისი მაღალი მეცნიერული ღირებულებებით.

მუზეუმების შემოქმედების მთავარი ნიშანია სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამუშაოების სინთეზი.

სამუზეუმო საქმიანობის უმთავრესი პრინციპის მიხედვით, მუზეუმები წარმოადგენენ ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების, საბუნებისმეტყველო მასალების ძირითად საცავს და ამდენი, მათ ძირითადი ამოცანაც,

გარდა ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოებისა, განისაზღვრება სამუზეუმო კოლექციების ფასდაუდებელი ეროვნული რელიკვიების დაცვით და მოვლა-პატრონობით. ეს სამუშაოები არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციულსა და ტექნიკურ ღონისძიებებს, აქ მთავარია ასევე კულტურული მემკვიდრეობის გულმოდგინე და ყოველმხრივი შესწავლა, შემოქმედებითი მოღვაწეობა და ყოველდღიური ზრუნვა, რათა სამუზეუმო კოლექციებმა ღირსეული ადგილი დაიკავოს ხალხის კულტურული დონის და ინტელექტუალური შემეცნების ამაღლების საქმეში.

სამუზეუმო საქმის განუხრელი ზრდა და სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დაგროვილი გამოცდილების სწორი ანალიზის და განზოგადების, მეცნიერული კვლევის საფუძველზე, მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების შედეგების მომარჯვების და გამოყენების, არსებული მეთოდების სრულყოფის და ახლის დანერგვის საფუძველზე, რომლის თავმოყრა და გაანალიზება შეადგენს საბჭოთა მუზეუმმცოდნეობის- სამეცნიერო დისციპლინის უმთავრეს პრობლემას.

X

X X

მუზეუმი, როგორც ადამიანის და ბუნების თვალსაჩინოებითი შემეცნების ადგილი, კეთილშობილი მისიით მოევლინა კაცობრიობას. მისი განსაკუთრებული აღმავლობა ხომ ჰუმანიზმის დროს დაიწყო, როცა ადამიანმა თავი დააღწია საეკლესიო დოგმატიკას და უშუალო განცდებით-სიხარულით, სიყვარულით, სატკივრით თუ ამქვეყნიური სხვა მძაფრი შემეცნებით საზოგადოებაში და ბუნებრივ გარემოში თავისი თავი ამოიცნო.

მუზეუმის ჰუმანურსა და კეთილშობილურ არსს განსა-

კუთრებით დღევანდელ დაძაბულსა და რთულ ვითარებაში [illegible] ადამიანურობის ვრცელი ასპარეზი გლობალური მასშტაბით; კაცთ-მოყვარეობა, მშვიდობა, მეგობრობა, ურთიერთგაგება და დახმა-რება უნდა იყოს დღეს მისი შემოქმედების უპირველესი საზრუ-ნავი და დევიზი. მუზეუმის მუშაკიც ის პირია ვინც გონიერი და ფაქიზი მოღვაწეობით ხელს შეუწყობს ასეთი კეთილი მისიის განხორციელებას.

მუზეუმების წინამორბედი ფორმები და სამუზეუმო
საქმის განვითარების მოკლე ისტორია

მუზეუმების, როგორც თავისებური საზოგადოებრივი ინ-სტიტუტების წარმოშობა შეიძლება ვივარაუდოთ უძველესი დროიდან, როდესაც ბუნებიდან და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან აღებულ ნი-ვთებს ინახავენ არა როგორც უტილიტალური-სამეურნეო, საბრძოლო და სხვ. დანიშნულებით ან როგორც მატერიალური ღირებულების მქონეს, არამედ, როგორც მემორიალურს, რელიკვიურს ან ესთეტი-კურად მნიშვნელოვანს. ასეთნაირად ჩვენ შეიძლება დავუშვათ სა-მუზეუმო წინამორბედი ფორმების სტიქიური წარმოქმნები საზოგა-დოების განვითარების ადრეული საფეხურებიდანვე; ადამიანთა ცხოვრებაში ბევრი რამ ხდებოდა, რაც ღირსსახსოვარი მოვლენების წყაროდ იქცეოდა ხოლმე. ასეთი ვითარებისას აღებული ნივთი-რომელიმე გმირის საბრძოლო იარაღი, გამარჯვების მაუწყებელი ნიშანი, გმირულად დაღუპულთა საბრძოლო აღჭურვილობა, ბუნების იშვიათი მოვლენის აღმნიშვნელი საგანი და კიდევ სხვა მრავალი რამ აუხსნელი და უჩვეული სფეროდან, მოკრძალებისა და პატივის-ცემის, განსაკუთრებული კრძალვის სიმბოლოდ გადაქცეული, რელიკ-ვიურ მნიშვნელობას იძენდა და საზოგადოებრივ თუ კერძო თავშე-

საფარში იდებდა ბინას. სწორედ ასეთი ხასიათის ნივთების-გამოყენებით ფუნქციას მოკლებული, სტიქიურად ხდებოდნენ მუზეუმების პირველსახეების კუთვნილ მასალად, ასეთი ნივთების თავმოყრის ადგილები კ თანამედროვე მუზეუმების წინამორბედ ფორმებად.

ამგვარი ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი საგნები, პირველ ყოვლისა, ამკობდნენ ძველ სასახლეებსა და ტაძრებს. ასეთი სახის კოლექციების რიცხვს თანდათანობით ემატებოდა ხელოვნების გასაოცარი ქმნილებანი, გამორჩენილ მოღვაწეთა პირადი ნივთები და რელიკვიები, რელიგიური დანიშნულების საგნები, ნარნერები. ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, როდესაც ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად და უკვდავსაყოფად, თაობებს გადაეცემოდა ესა თუ ის რელიგიური რელიკვია თუ მტერზე გამარჯვების დამადასტურებელი ნივთები. ბიბლიის მიხედვით ებრაელები სათუთად იცავდნენ და ინახავდნენ სჯულის კიდობანს /"კიდობანი იგი შჯულისაი"/, სადაც ინახებოდა ქვისაგან გამოთლილი ორი ფილა, რომლებზედაც გადმოცემით, უფლისაგან ბოძებული ათი მცნება ყოფილა აღნიშნული; "რომელი-იგი მოსცა სჯული უფალმან გამოსლვასა მას ძეთა ისრაელისათა ქუეყანით ეგვიპტით"/II, ნეშტთა, 5,10/. იმავე წყაროს გადმოცემით, დავით, გოლიათის მოკვლის შემდეგ, მოკლულის თავი, სამოსელი და საჭურველი იერუსალიმში შეუნახავს სასახლეში /"და წარიღო დავით თავი იგი უცხოთესლისა მის, შეიღო იგი იერუსალემად და ჯაჭვი და საჭურველი მისის საყოფელად თვისა", I, მეფეთა, 17,54/.

წერილობით წყაროებში ძუნწად შემონახული ცნობების მიხედვით, ჩვენ არაერთი მინიშნება გვაქვს მუზეუმების სტიქი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურად შექმნილი პირველსახეების შესახებ, რომელიც ინახებოდა უძველესი დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ. ასეთ ძველ სამუზეუმო ადგილებად შეიძლება მივიჩნიოთ კნოსის სასახლე კუნძულ კრეტაზე /ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები/; ინკა ორაკულების არქივი ჩინეთში /ძვ.წ. XIII-XII სს./, აშურის სატაძრო ბიბლიოთეკა /ძვ.წ.XI ს./; ნინევიის სასახლის ბიბლიოთეკა /ძვ.წ.VII ს./ და სხვა. სიძველეთა და რელიკვიური ნივთების კოლექციები მრავალი იყო დაცული ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნების მეფეთა სასახლეებში და ტაძრებში.

პირველი მუზეუმი, ასეთივე სახელწოდებით შეიქმნა ეგვიპტეში, ქ.ალექსანდრიაში ძვ.წ. III საუკუნეში, მუზეუმისადმი მიძღვნილ სასახლეში და ის წარმოადგენდა სიძველეთა და ხელოვნების ნიმუშთა ერთ-ერთ შესანიშნავ საცავს. ანტიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები იყო თავმოყრილი ვარესის, სულას, კრასუსის, ლუკულის, პომპეუსის, ცეზარის და სხვ. სასახლეებში, რომელთა კოლექციებიც უმთავრესად შედგებოდა საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ ნაძარცვი ხელოვნების ნიმუშებისაგან.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მნიშვნელოვან სიძველეთსაცავებად იქცნენ ეკლესია-მონასტრები. აქ იყო თავმოყრილი საეკლესიო ქონება, სარიტუალო ნივთები, წმინდანების რელიკვიები და სხვა კულტურულ-ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ძეგლები, რაც შეადგენდა იმ დროის შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად ნივთიერ მასალას. აქვე მიმდინარეობდა მეცნიერული მოღვაწეობა და საგანმანათლებლო საქმიანობა, ძირითადად თეოლოგიური მიმართულებით. ასეთი საცავები- სამეცნიერო ცენტრები- აღმოცენდნენ შუა საუკუნეების იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ევროპული ქვეყნების ეკლესიებში და სამონასტრო ცენტრებში.

სახელწოდება „მუზეუმი" ვრცელდება XV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ასეთი სახელი შეარქვა ლორენცო მედიჩიმ ფლორენციის სასახლეში მოწყობილ სიძველეთა და ხელნაწერთა საცავს.

აღორძინების ხანა სამუზეუმო ცხოვრების განვითარების ახალი ტალღით აღინიშნება. წარმოების ბურჟუაზიული წესი, კაპიტალიზმის განვითარება, მეცნიერებას და მის თანაბრად სამუზეუმო საქმიანობის წინსვლას ძლიერ უწყობდა ხელს; წარმოების გააქტიურებისათვის და მასშტაბების ზრდისათვის მეცნიერული კვლევა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.[1]

ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რის შედეგადაც ევროპამ გაიცნო მანამდე უცნობი სამყარო, ახალ-ახალი ქვეყნები, განსხვავებული ყოფითი კულტურა, უჩვეულო მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, არნახული ინტერესი გამოიწვია მოსახლეობაში, რამაც სამუზეუმო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ზრდა-განვითარება გამოიწვია. ამიერიდან ზღვაოსნური ექსპედიციების არცთუ იშვიათი წევრები არიან მეცნიერები, სხვადასხვა დარგის მკვლევრები, რომელთა მიზანსაც ახალ-ახალი მონაცემების მიკვლევა და მოპოვება შეადგენდა. ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა არაერთ მეცნიერულ აზრს დაუდეს დასაბამი. ნივთიერი მტკიცებანი ახალი სამუზეუმო კოლექციების სახით ბინას იდებდა ევროპულ ცენტრებში და ისინი მეცნიერების განვითარებისათვის პირველწყაროდ იქცნენ. სწორედ ამის გამოა, რომ იქმნება არაერთი მეტად პოპულარული სათანადო უჯრედი სამეფო სასახლეებთან-„კუნსტკამერები", „მიუნც-კაბინეტები", „ნატურალიენ-კაბინეტები", სადაც თავს უყრიან მნიშვნელოვან საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიულ, ნუმიზმატიკურ და სხვ.

მხატვრული ღირებულების მქონე იშვიათ ნიმუშებს, ასე შეიქმნა ძველი ხელოვნების სახელმოხვეჭილი ცენტრები, რომლებიც დღესაც აოცებენ თავისი მდიდარი კოლექციებით მნახველებს-ფლორენციაში /XV ს./, რომში- ვატიკანის მუზეუმი /XVI ს./, დრეზდენში /XVI ს./ და სხვ. აღორძინების ხანაში აღმოცენებული საბუნებისმეტყველო, ისტორიული, არქეოლოგიური, ხელოვნების თუ ეთნოგრაფიული მდიდარი კოლექციები საფუძვლად დაედო XVIII საუკუნეში და განსაკუთრებით კი XIX ს. შექმნილ სახელმწიფო-ეროვნულ მუზეუმებს.

XVIII საუკუნე და XIX საუკუნის პირველი ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მუზეუმების სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმის ჩამოყალიბების და დაფუძნების ხანად, როდესაც სამუზეუმო ორგანიზმებს მეცნიერულად ორგანიზებული და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სახე მიეცა და იქცნენ ისინი მყარ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებად. ამიერიდან იურიდიული სტატუსით დაკანონებული სამუზეუმო დაწესებულებები სამუზეუმო საქმიანობას ახორციელებენ გარკვეული კანონზომიერი მიზანდასახულობით სათანადო პროფილის შესაბამისად. საპროფილო მუზეუმების საქმიანობა არაერთი მეცნიერული დარგის ფუძემდებლებად გვევლინებიან და სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული ბევრი მეცნიერული მიმართულების დაფუძნება-განვითარება. ასე ჩაეყარა საფუძველი მაგალითად, მეცნიერულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოებას, რომელიც თავის დასაბამს იღებს პომპეისა და ჰერკულანუმის გათხრებით /1748 წ. ინტენსიურად 1799 წლიდან/.

X

X X

სიძველეებისადმი ინტერესი რუსეთში უმთავრესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად იწყებს გაღვივებას, რასაც შეიძლება თვალი გაედევნოს XII საუკუნიდან. აღნიშნულის წერილობითი დადასტურებაა 1114 წ. დათარიღებული იპატის მატიანის ცნობა ასეთი აღმოჩენის შესახებ. წერილობითი ცნობებითვე დღეს კარგადაა დადგენილი, რომ რუსეთის ბევრ ადგილებში ინახავდნენ ძველ ნივთებს არა როგორც ისტორიული ღირებულების მასალას, არამედ როგორც გამორჩეული პირთა საკუთრებას, რომლებიც შემდგომად წმინდანებად იყვნენ ცნობილი. ასე იყო დაცული პსკოვში ერთ-ერთი დიდებულის მარხილი, ბოგოლიუბში თავად ბორისის მახვილი. საერთოდ რუსულ ეკლესია-მონასტრებში ასეთნაირად ხელოვნების ბევრი ნიმუში და ხელნაწერი წიგნი დაგროვდა. ამდაგვარად შენახული ნივთების ადგილი ძვირფასეულის საცავად იწოდებოდა, რომელთა დამაგვირგვინებლადაც იქცა კრემლის "იარაღის სასახლე" / "Оружейная палата"/. იგი პირველად მოხსენიებულია 1547 წ. როგორც რუს მეფეთა იარაღის, ძვირფასეულის და ყოფითი საგნების საცავი. მისი კოლექციების აღწერილობანი შემონახულია XVII საუკუნიდან და ამავე დროს ის საბოლოოდ ფორმდება როგორც სამუზეუმო ტიპის დაწესებულება.

არსებობს ცნობები ისტორიული და მხატვრული ფასეულობების კოლექციების არსებობისა ვლადიმირის, კიევის და ნოვგოროდის ეკლესია-მონასტრებში. XVI-XVII სს. ცნობილი იყო ივანე IV-ის, ბ.გოდუნოვის, თ.მილოსლავსკის, ვ.გოლიცინის, ი.ბრიუსის, ა.დემიდოვის და სხვ. მდიდრული კერძო კოლექციები.

XVII ს. დოკუმენტებში მრავლად მოიპოვება ცნობები

განძების აღმოჩენების შესახებ, რასაც ეტყობა საერთო ყურადღება მიექცევა და როგორც ჩანს, საკმაოდ მომრავლდნენ განძის და ძვირფასეულობების მაძიებლები ძველ ნაქალაქარებზე, განსაკუთრებით ციმბირში. ასეთი თვითნებური ძიებით უამრავი ყორღანი იქნა გაძარცული.

რუსეთის ისტორიაში პირველი ცდა არქეოლოგიური გათხრების ჩატარებისა უკავშირდება ელასის ეკლესიის ძებნას ქ.ფსკოვში. ეს ღონისძიება მატიანის მიხედვით თარიღდება 1420 წ. სამწუხაროდ, სხვა ცნობები გათხრის შედეგების შესახებ არ არის ცნობილი.

1714 წ. პეტრე I-ის თაოსნობით პეტერბურგში დაარსდა პირველი მეცნიერული ცენტრი-კუნსტკამერა /ოფიციალურად გაიხსნა 1719 წ./, რომელიც საფუძვლად დაედო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნას. კუნსტკამერა 1724 წ. მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების შემდეგ მის მმართველობაში გადავიდა. კუნსტკამერის დაარსებით იწყება ისტორიული ხასიათის და ბუნების ამსახველი მასალების მოძიება და შეგროვება. 1718 წ. პეტრე I-ის გაცემული ბრძანებით: "ვინც იპოვის მიწაში ან წყალში ძველ ნივთებს, სახელდობრ: ქვისას, ძვლებს- ადამიანისას, თევზისას და ფრინველისას, ძველ წარწერებს, იარაღს და მოიტანენ, ანაზღაურებული იქნება სათანადოდ". პეტრე I-ის სხვა ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ "რაც აღმოჩნდება ყველაზე გაკეთდეს ნახაზებით". ეს მეტად საინტერესო დოკუმენტია და ამით შეიძლება დაიწყოს რუსეთის სამუზეუმო კოლექციების მეცნიერული აღწერის ისტორია. ?

ასე თანდათანობით კუნსტკამერაში თავი მოიყარა ბუნების და ნივთიერი კულტურის ამსახველმა კოლექციებმა. ამ სა-

მუზეუმი დაწესებულების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა თავის დროის ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მათ შორის მ.ლომონოსოვი, რომელმაც მოახდინა კუნსტკამერის მინერალოგიური მასალების მეცნიერული აღწერა. მ.ლომონოსოვს შემდეგშიაც არ გაუწყვეტია კავშირი მასთან. ა.ფერსმანის შენიშვნით-"მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმები კუნსტკამერის შეზღუდული ამოცანებიდან იქცნენ მსხვილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებად".

რუსეთში სამუზეუმო ცხოვრების დამაგვირგვინებლად იქცა ერმიტაჟი, დაარსებული 1764 წ /დამთვალიერებლებისათვის გაიხსნა 1852 წ./, რომელიც თავისი მდიდარი კოლექციებით დღემდე რჩება ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს სამუზეუმო გიგანტად.

კუნსტკამერის პარალელურად პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა სამხედრო-ისტორიულ მუზეუმსაც, რომლის შექმნის თაობაზე არაერთი განკარგულებაა გაცემული პეტრე I-ის მიერ 1702-1725 წწ. ის ძირითადად აგროვებდა და იცავდა რუსულსა და ტროფეულ იარაღ-საჭურველს, სამხედრო-საზღვაო გემების მოდელებს და სხვ. XIX საუკუნეში მუზეუმი საგრძნობლად გაიზარდა და კოლექციებიც გამრავალფეროვნდა რუსეთის არმიის გამარჯვებათა აღმნიშვნელი კოლექციებით, ასევე რუს მხედართმთავართა, იარაღის ოსტატთა და გამომგონებელთა შესახებ არსებული ნივთიერი და დოკუმენტური მასალებით. მუზეუმი მხოლოდ სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ვიწრო წრისათვის იყო გათვალისწინებული.

XVIII ს. რუსეთის პერიფერიული მუზეუმებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ ირკუტსკში 1782 წ. გახსნილი მუზეუმი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელიც აღმოსავლეთის პროვინციების ისტორიული წარსულის და ბუნების ამსახველი მასალების მდიდარ კოლექციებს მოიცავდა.

მუზეუმების რიცხვი საგრძნობლად მატულობს რუსეთში XIX საუკუნის დასაწყისიდან, რაც მთავარია ამ დროიდან საფუძველი ეყრება სპეციალიზებულ საისტორიო დისციპლინების მუზეუმებს: ასე იყო დაარსებული 1306 წ. ნიკოლაევის არქეოლოგიური მუზეუმი, 1811 წ. სიძველეთა მუზეუმი ფეოდოსიაში; 1825 წ. ოდესის სიძველეთა მუზეუმი; 1826 წ. ქერჩის სიძველეთა მუზეუმი. მუზეუმები გაიხსნა ცენტრიდან მოცილებულ გუბერნიებშიც, 1827 წ. ბარნაულში, 1831 წ. ორენბურგში, 1836 წ. ასტრახანში.

XIX ს. შუა ხანებიდან რუსეთში სამუზეუმო საქმე ახალ აღმავლობას განიცდის, ამ საქმის განვითარებას ხელი შეუწყო "რუსული არქეოლოგიური საზოგადოების" /1846 წ./ და "რუსეთის არქეოლოგიური კომისიის" /1859 წ./ დაარსებამ. "რუსული არქეოლოგიური საზოგადოების" დაარსებისთანავე 1846 წ. პეტერბურგში ყალიბდება არქეოლოგიური მუზეუმი. გარდა ამისა, მუზეუმები არსებობდნენ სტატისტიკურ კომიტეტებთან, საარქივო კომისიებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან, უნივერსიტეტებთან. 1852 წ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან ქ.თბილისში გაიხსნა მუზეუმი, რომელიც 1865 წ. გადაკეთდა კავკასიის მუზეუმად /დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ს.ჯანაშიას სახელობისა/.

სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სწრაფ აღმავლობა[ს], რაც რუსეთში წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვასთან იყო დაკავშირებული, თან სდევდა ახალ-ახალი სპეციალიზებული მუზეუმების გაჩენა; ასე დაარსდა 1859 წ. პეტერბურგში სასოფლო-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო მუზეუმი, 1872 წ. პოლიტექნიკური მუზეუმი მოსკოვში და სხვ. ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებამ, მეცნიერების და ხელოვნების განვითარებამ, გაზრდილმა კულტურულ-ინტელექტუალურმა მოთხოვნილებებმა დასაბამი მისცა ახალი მუზეუმების დაარსებას. ამის შედეგია ტრეტიაკოვის გალერეის დაარსება 1856 წ., რუსული ისტორიული მუზეუმისა 1872 წ. და რუსული მუზეუმისა 1898 წ.

ზემოთ აღნიშნული მუზეუმების არასრული ნუსხის მიხედვით ძნელი არ არის ვიმსჯელოთ სამუზეუმო ცხოვრების განვითარების მაღალი დონის შესახებ. აქვე გასათვალისწინებელია უამრავი კერძო კოლექციები, რომლებიც ნაკლებად მისაწვდომი იყო სპეციალისტებისათვის და ამდენად მათი სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო როლის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მიუხედავად მუზეუმების ასეთი სოლიდური სიისა, სამუზეუმო ცხოვრების რაიმე სისტემა რუსეთში არ ჩამოყალიბებულა; საუწყებო დანაწევრება და განცალკევება, წვრილსაუწყებო მიზნებით და ამოცანებით მეცნიერულ-მეთოდური სისტემატიკის შექმნას აბრკოლებდა, რაც ზოგადად უარყოფითად მოქმედებდა საერთოდ მუზეუმების და კერძოდ, კი მათ სტრუქტურულ-ორგანიზაციულ საქმიანობაზე, თუმცა მუზეუმების საერთო რიცხვის მიხედვით /რევოლუციამდე რუსეთში გარდა სამხედრო მემორიალური და საეკლესიო მუზეუმებისა, 150 მუზეუმი იყო/ რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა; რუსეთში სამუზეუმო საქმის პრინციპების შემუშავებასა და დადგენას, რის საჭიროებაც მწვავედ იგრძნობოდა პირველი ომის წინა პერიოდში, მიეძღვნა სრულიად რუსეთის სამუზეუმო ყრილობა 1913 წ. მაგრამ მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

X

X X

პირველი სამუზეუმო დაწესებულება საქართველოში გასული საუკუნის შუა ხანებში აღმოცენდა /1852 წ./ . ეს იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, რომლის ბაზაზეც 1865 წ. შეიქმნა კავკასიის მუზეუმი /მისი მემკვიდრე დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი/. ასე რომ ამავე დროიდან შეიძლება გავადევნოთ თვალი ჩვენში სამუზეუმო ცხოვრების განვითარებასაც, იმ საერთო სისტემით, რომელიც შემუშავდა და დაფუძნდა ევროპული სამუზეუმო ცენტრების მიხედვით. ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ მთელი რიგი მონაცემების მიხედვით სამუზეუმო საქმიანობის ჩასახვა-ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას, მართალია სტიქიური თვითდინებით, შეიძლება თვალი გავადევნოთ საკმაოდ ადრეული პერიოდიდან. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ზოგი ისტორიული მოვლენის მისანიშნებელი ძველი ნივთის საგანგებო დაცვა და შენახვა, რომლებიც თაობებიდან თაობებს გადაეცემოდა ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ამ მხრივ ყველაზე ძველ ცნობას ვნახულობთ ფლავიუს არიანეს ნაშრომში "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო". ფ.არიანე, რომელმაც შავი ზღვის ირგვლივ იმოგზაურა ახ.წ. 131 წ. და შესანიშნავი "პერიპლუსიც" დაგვიტოვა, თავის მოგზაურობის წიგნში, ფაზისის აღწერისას გადმოგვცემს: "ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის

წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის ქან-დაკება ათენის მეტროონში. აქ აჩვენებენ არგოს ჰერის ღუ-ზას. არა მგონია, რომ ის ძველი იყოს, თუმცა სიდიდით არა ჰგავს ახლანდელ ღუზებს და მოყვანილობითაც განსხვავდება, მაგრამ, მაინც, ვფიქრობ, რომ გვიანდელ ხანას უნდა ეკუთვ-ნოდეს. აქვე მაჩვენეს მე ქვის, ძველი ღუზის ნაჭრები, რომ-ლებიც უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ღუზის ნაშთად. რაიმე სხვა ძეგლი, იაზონის მითებში მოხსენიებული, აქ არ იყო" /ფ.არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ.,1961, ნ.კეჭაღმაძის თარგმანი და გამოცემა, გვ.39/. რამდენად მარ-თალია არიანე ღუზების განსაზღვრაში, ამას ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ აქ ვხვდებით ყველაზე ძველ წერილობით დადასტურებას ფაზისში ისტორიული მოვლენის აღმნი-შვნელი ნივთიერი დასაბუთების საგანგებო დაცვასთან.

[მეცნიერების დღევანდელი მონაცემების მიხედვით ალბათ საეჭვო არ უნდა იყოს, თუ ძველ საქართველოს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტრებს თავისებური გალებით, სწო-რედ მუზეებისათვის განკუთვნილ ადგილებს- მუზეუმებს ან უფრო სწორედ თუ ვიტყვით, სამუზეუმო წარმონაქმნების წინასახეებს დაუკავშირებთ. ხომ სწორედ აქ იყო დაცულ-დაუნჯებული ერის სულიერი თუ ნივთიერი კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები, ეროვნუ-ლი საგანძური, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი დოკუმენტური წყაროები, ხელნაწერი წიგნები /ნათარგმნი თუ ორიგინალური/ და სხვადასხვა წერილობითი ძეგლები. პირველი მეცნიერებიც, მართალია ქრისტიანულ-თეოლოგიური იდეოლოგიის პოზიციებიდან სწორედ უპირატესად კულტის მსახურნი იყვნენ.]

ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობდა დიდად ნაყო-

ფიური მწიგნობრული საქმიანობა-ქართულად ითარგმნებოდა უცხოური წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომები, მზრუნველობით იცავდნენ და უვლიდნენ ძველ ნაწერებს. აქ იდებდა ბინას აურაცხელი, უცხო თუ ადგილობრივი ძეგლი, რელიკვიური დოკუმენტი თუ წყარო. გაწეულ დიდ საქმიანობას დიდი სისპეტაკე და კეთილსინდისიერების მაღალი გრძნობები ახლავს თან, რაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საქმით დამაშვრალთა მოღვაწეობის უტყუარ კვალს წარმოადგენდა; 1060 წლით დათარიღებულ ოთხთავის მთარგმნელის ანდერძში, რომელიც გამეორებულია XIII ს. სახარებაშიც, აღნიშნულია: "ვითა აქა პოთ ესე დასწერეთ... ღვთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ... ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად, ხანმეტნიცა, და საბა-წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღვთისათვის ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ". /"ქრონიკები", I, გვ. 207/. ასეთი გულმოდგინებით და ზრუნვებით შეიქმნა ძველ ქართულ ტაძრებში უნიკალურ და იშვიათ ხელნაწერთა ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა გარეშეც ჩვენი დღევანდელი ისტორიოგრაფია ალბათ უსახურ აჩრდილად თუ გამოჩნდებოდა.

ძველი ქართული საეკლესიო ცენტრები-კულტურულ ფასეულობათა საცავები, რომლებიც მუზეუმების პირველსახეებს შეადგენენ მრავლდებიან და ვითარდებიან არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც და მათ წმიდა ადგილებად მოიხსენიებენ. ასეთი ცენტრები აღმოცენდნენ ათონსა და შავ მთაზე, იერუსალიმსა და სინას მთაზე, იორდანის ხეობაში და კიდევ ბევრგან. ამ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრებთან არის დაკავშირებული დიდ მოაზროვნე-მეცნიერთა სახელები, რომელთა ნამოღვაწარიც თავისი მნიშვნელობით სცილდება კუთხურ ჩარჩოებს და საპატიო ადგილი უკავია

ზოგად საკაცობრიო მემკვიდრეობაში /ილარიონ ქართველი, პეტრე იბერი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი/.

ასეთი შემოქმედებითი საქმიანობა მხარდაჭერას და მატერიალურ დახმარებას იღებდა სამეფო ხელისუფლებისაგან. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სახელოვანი მეფის დამსახურებად და ღირსებად სთვლიდა კულტურული კერებისადმი შეუწყვეტელ ყურადღებას: "აღავსო ზღუა და ხმელი ქუეყნის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა.., არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კჳპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი თითოეულთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამითსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალთავსეული, და მისაკრებელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმინდეთა ოქროსა რჩეულისა" /ქ.ც-ბა, I, გვ.352,353/. იმავე ავტორის გადმოცემით, დავით აღმაშენებელს მონასტრები და ლავრები ბეგარისაგან გაუთავისუფლებია: "ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრნი მისაკრძალთა მაქირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმრთისა" /იქვე, გვ.353/.

ასეთი ნათელ-გონიერი მოღვაწეობით და უმდიდრესი, უნიკალური კოლექციებით ძველი საეკლესიო სამონასტრო ცენტრები გამოიკვეთნენ და იქცნენ კულტურულ-ისტორიულ ადგილებად, ჩამოყალიბდნენ ჭეშმარიტ მუზეუმებად.

აღნიშნულ კულტურულ-ინტელექტუალურ ცენტრებში უხვად ნაკადად მოედინებოდა, ძირითადად შეწირულობის გზით, სულიერი კულტურის არაერთი შედევრი, რითაც ივსებოდა და მდიდრდებოდა საეკლესიო კოლექციები. ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად სვანეთის სიძველეების მაგალითიც კმარა, სადაც ეკლესიებში დაცული სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლები მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა. სვანეთის ეკლესიებში დღემდე შემორჩა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, საეკლესიო საგნები, ხელნაწერები, ყოველგვარი სამეურნეო, საოჯახო თუ საბრძოლო ნივთი, რომელთაც სწირავდნენ ეკლესიებს საუკუნეების განმავლობაში.

მრავალფეროვანი ნივთების შემცველი განძეულობანი ბინას იდებდნენ ეკლესია-მონასტრებში, რომელთა მნიშვნელობაც როგორც ეროვნული ისტორიულ-კულტურული საცავებისა დღითი დღე მატულობდა. ვახუშტის გადმოცემით გელის ციხის ეკლესია ყოფილა "აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯვრითა და წიგნებითა ძველადვე ხიზნულნი " /გვ.768/. გელათი და ბაგრატის ტაძარი, ალავერდი და მცხეთა, ბედია და მარტვილი, ხახული და ოშკი, შემოქმედი და სვეტიცხოველი და მრავალი სხვა სწორედ ასეთი ეროვნულ-კულტურული ცენტრების რანგში უნდა წარმოვიდგინოთ. ქართული ტაძრების ასეთი სიმდიდრე არაერთხელ გამხდარა საბაბი ყაჩაღური თავდასხმა-აოხრებისა, ფეოდალური ამბოხებისა და შუღლისა. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, შაჰ-ისმაილის შემოსვლას თბილისში, რომელმაც "შემუსრნა ხატნი და ჯუარნი და განძარცვა სიონის ღვთისმშობლის ხატი და შთააგდო მტკუარსა შინა" /გვ.399/ შემდეგში შაჰ-ისმაილის მიერ გაძარცული სიონის ხატი უნახავს ნავთლუღის ჭალა-

ში ლევან კახთა მეფეს /1529-1575 წწ./. კვლავ შეუმკია და დაუბრუნებია სიონისთვისვე.

ეკლესია-მონასტრებისათვის ძვირფასეულობის შეწირვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მას თავის გამოჩენის მიზნით არც უცხოები გაურბოდნენ. ვახუშტის გადმოცემით შაჰ-აბასს მრავალძლის ეკლესიისათვის შეუწირავს "ხმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ. არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხმალი მისი ჰკიდავს მუნ" /გვ.765/.

გარდა ზემოთ აღნიშნული შეწირული ნივთებისა და მდიდარი ხელნაწერი დოკუმენტებისა, ეკლესიები დიდ პოპულარობასა და პატივისცემას იმსახურებდნენ იმ რელიკვიური ნივთებითა და სიძველეებით, რომლებიც დაკავშირებული იყო წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობასთან, სასწაულთმოქმედ ნაშთებთან ან ლეგენდარულ გმირებთან. ასეთნაირად ჩვენამდე მოაღწია თქმულებებმა ქრისტეს კვართის შესახებ, რომელიც მცხეთაში იყო დაცული, წმინდა ნინოს საფლავის შესახებ ბოდბის მონასტერში, სიმონ კანანელის საფლავის არსებობის შესახებ ანაკოფიაში და სხვა.

XI ს. ქართველი მემატიანე ჯუანშერი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ერეკლე კეისარს /VII ს./ საქართველოში ლაშქრობის შემდეგ მანგლისის და ერუშეთის ტაძრებიდან წაუღია ბიზანტიელი მეფის კონსტანტინეს მიერ მირიან მეფისათვის /IV ს./ ბოძებული ქრისტეს ჯვრის ნაწილი და ლურსმნები /"მაშინ ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესგან მირიანისდა"/ქ.ც-ბა, I, გვ. 227/.

იქვე ჯუანშერი, რომელიც ვახტანგ გორგასლის გა-

?

ლიადურ აღნაგობას აქცენტს, საგანგებოდ შენიშნავს, რომ „არ რომელ არს აბჯარი და სამოსელნი მისნი მისგან უფრო საცნაურ არსო". როგორც ირკვევა გორგასლის, გმირი და სახელოვანი მეფის რელიკვიად ქცეული სამოსელი და შეჭურვილობა, როგორც კრძალვისა და საოცრების ობიექტი პატივისცემის საგანს წარმოადგენდა და თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ინახებოდა საგანგებოდ. რა ბედი ეწია მათ ჯუანშერის შემდეგ არ არის ცნობილი. ასევე ყოფილა დაცული გორგასლის დროშაც; შამქორის ბრძოლის დროს / 1195 წ./. "ისტორიანი და აზმანის... მიხედვით ქართველთა ჯარს გორგასლის დროშა მიუძღოდა . დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკებოდა". ლაპარაკია იმ დროშის შესახებ, რომელიც ვახტანგ გორგასალს და მის ქართველთა რაზმს მიუძღვებოდა წინ ინდოეთში ლაშქრობის დროს.

სპარსელი ისტორიკოსის შერიფ-ედ-დინის გადმოცემით, საქართველოს მეფეს ბაგრატ V, რომელიც თემურ-ლენგს დაუტყვევებია 1386 წ. თბილისის აღების დროს, თითქოს თემურ-ლენგისათვის უბოძებია ძვირფასი საჩუქრები და მათ შორის ერთი ჯაჭვის პერანგი, რომელიც თითქოს დავით ებრაელთა მეფის სახელოსნოში ყოფილა დამზადებული.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესია-მონასტრები, ასევე მეფე-დიდებულთა სასახლეები ბევრსა და ძვირფას ეროვნულ ფასეულობას, რელიკვიურ ნივთებს უყრიდნენ თავს, რომელთაც დღევანდელი გაგებით სწორედ სამუზეუმო დანიშნულება ენიჭებოდა. აქედან გამომდინარე სრულიად დასაშვებია თუ მათ სამუზეუმო ორგანიზმების წინასახეებად მივიჩნევთ.]

გაუთავებელი პოლიტიკური სიძნელეების, შინაფეოდა-
ლური აშლილობისა და ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი კრიზი-
სის გამო საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებას
ვერ შეექმნა სათანადო პირობები და ამდენად ის ჩამორჩა
მუზეუმების განვითარების ევროპულ დონეს მიუხედავად ამი-
სა, ძუნწად შემორჩენილი ცნობების მიხედვით, ჩანს, რომ შემ-
თხვევით აღმოჩენილი სამარხეული თუ სხვა ნივთები, რომელსაც
პოულობდნენ მიწის სამუშაოების დროს, ანდა ბუნებიდან აღე-
ბული სხვა საოცრებანი, რომლებიც განსაკუთრებული ინტერესის
წყაროს წარმოადგენდნენ ხალხში, უყურადღებოდ არ იყო მირ-
ჩენილი და მათ ბინა ჰქონდათ დადებული სამეფო სალაროში.
სამეფო სალაროსთან ასეთი საცავის არსებობა, წყაროთა ძუნ-
წი მონაცემებით, შეიძლება XVIII ს. დასაწყისიდან ვიგულის-
ხმოთ; სულხან-საბა ორბელიანი იტალიაში მოგზაურობის დროს,
საგულდაგულოდ ეცნობოდა სიძველის ძეგლებს. 1714 წ. რომში,
კარდინალის სანიგნის /ბიბლიოთეკის/ დათვალიერებისას, ის
გაკვირვებაში მოუყვანია აურაცხელ სიმდიდრეს, საოცრებათა
შორის დასახელებულია "თევზის უცხო რქები, მარტო რქისა რქე-
ბი" და სხვ. "ამის სახლში ერთი თევზის წიბო ვნახე,- წერს
ს.ს.ორბელიანი,- თხი ადლი სიგრძე მეტი იყო, მკლავის უსხო.
ბატონის სალაროში ლორის კბილსავით რომ კბილია, ორი მისთანა,
მაგრამ იმტოლი ვერ იყო. სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიც მი-
ნახავს. მეც უთხარ ბატონის სალაროში რომ ლორის თავია გაქ-
ვავებული, მისი ამბავი" /ს.ორბელიანი, მოგზაურობა ევროპა-
ში, 1940, გვ.37,38/. აქედან ალბათ ძნელი არ უნდა იყოს და-
ვასკვნათ, რომ ქართლის სამეფო სალაროში /"ბატონის სალარო"/
ადგილი ჰქონია მიჩენილი ძველი კოლექციების საცავს, სადაც

თავს უყრიდნენ სიძველეთა ნაშთებს და სხვა ნივთებს სა[illegible]-რებათა სამყაროდან. ეს საცავი სწორედ სამუზეუმო დანიშ-ნულებით არსებობდა.]

ერეკლე II-ის დროს ასეთი საცავის არსებობის შესა-ხებ თბილისის სასახლის სამეფო სალაროში ცნობა აქვს დაცუ-ლი თეიმურაზ ბაგრატიონს: "სხვათა და სხვათა ჟამთა შინა ივერიისათა, რომელთაცა ჩვეულეაანი ძველთა ქართლოსიანთა უწყებულ არიან დ. არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნნეს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირა-კლი მეორისასა კერპთ მსახურებისა ჟამსა შინა დაფლული მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე, რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად, იცვლებო-დეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა აღა მაჰმადხან ყაჯრისსა, წარწყმედილ იქმნნეს" /თ.ბა-გრატიონი- ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა რომელ არს სრულიად საქართველოისა, სანკტ-პეტერბურგი,1848 წ., გვ. 52/. აღნიშნული ცნობის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ერეკ-ლე II-ის სასახლეში, "სალაროსა შინა" მოწყობილი ყოფილა მუ-ზეუმი, რომლის კოლექციებსაც წარმოადგენდა ძველი მონეტები და საჭურველი. ავტორის შენიშვნა, რომ ფულები მკვდრებს პირ-ში სდებიათ, სანდო ცნობას წარმოადგენს და ასეთი რამ კარგად დგინდება ანტიკური ხანის სამარხების გათხრისას, რაც ძველი წეს-ჩვეულებების და დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენდა. აღნიშნული ცნობით ასევე ირკვევა, რომ ძველი ნივთების შეგროვებას ხანგრძლივი ისტორია ჰქონია-"არათუ მხო-ლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნნეს".

სამწუხაროდ, 1795 წ. აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აო-

ხრების შედეგად მუზეუმიც განადგურებულა სამეფო სალაროს-თან ერთად, რომელიც ალბათ ერთ-ერთი პირველი შეეწირებოდა მოთარეშეთა ბრბოს.

სამუზეუმო უჯრედის და არქივის შექმნის აუცილებლობას კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის, ასევე სამეფოს ადმინისტრაციული აპარატის სრულყოფის საჭიროებას, კარგად გრძნობდნენ რუსეთში ევროპულ განათლებას ნაზიარები ქართველი ბატონიშვილები. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს იოანე ბატონიშვილის /"კალმასობის" ავტორის/ წერილობითი მოხსენება მეფე გიორგისადმი, რომელიც დათარიღებულია 1799 წლით. წერილში საგანგებოდაა შენიშნული "წერილების საცავის სახლის" ანუ "არხივის " შექმნის აუცილებლობა:"იყოს დავთარხანა, ყოველი საქმე, შემოსავალი, გასავალი, სასამართლო, უცხო მხარის საქმეები იმათი პირები და თვით ის ნამდვილებიც, რომელიც დასაშთენია, ინახებოდეს ნამდვილ გარდაწერით შემოწმებითი და რაოდენისამე კაცის ხელით დაიბეჭდებოდეს. და ამაზედ იყოს ერთი კარგი კაცი მიჩენილი თავისის მოხელეების მწერლობით". აქვეა აღნიშნული ბიბლიოთეკა-მუზეუმების საჭიროების შესახებაც: "აგრეთვე იყოს ბიბლიოთეკის სახლი, ყოველი საერო და სასულიერო წიგნი რაც შეიძლებოდეს იქ იცვებოდეს, აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატვრობებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს მივიდოდის და თვისის ხარჯით იქ გარდაწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს" /ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი: Q 2155/.

ანალოგიური აზრია გატარებული დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნშიც /დ.ფურცელაძე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964 წ. გვ. 157/.

სამწუხაროდ, არც ერთსა და არც მეორე მეტად სასარგებლო და საჭირო წინადადებას კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის აღსრულება არ ეწერა და თბილისში მუზეუმის შექმნის იდეის განხორციელება ნახევარი საუკუნით გადაიდო, როცა 1852 წ. 12/22/ მაისს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან ქართველი და რუსი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მეცადინეობით ჩამოყალიბდა მუზეუმი. იგი დაარსებისთანავე შეუდგა კოლექციების შეგროვებას და ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივი საზოგადოება. მუზეუმი კომპლექსურ ხასიათს ატარებდა და ამიტომ შეიქმნა ფონდები როგორც ბუნების, ისე ნივთიერი კულტურისა და ყოფის ამსახველი მასალებისა. აქ დაედო საფუძველი ისეთი ეროვნული მეცნიერების დარგებს როგორიცაა ზოოლოგია, ბოტანიკა, გეოლოგია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვა.

მუზეუმი დიდი ფინანსური გაჭირვების გამო დაიხურა 1864 წ. და მის ბაზაზე მომავალ 1865 წ. გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომელსაც გადაეცა გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმის კოლექციები. კავკასიის მუზეუმი სულ მალე იქცა მძლავრ სამეცნიერო დაწესებულებად, იგი ათეული წლების განმავლობაში ერთადერთი სამუზეუმო დაწესებულება იყო საქართველოში და კავკასიაში. მისი სამოქმედო ასპარეზი ვრცელი იყო და მოიცავდა არა მხოლოდ საქართველოს და კავკასიას, არამედ მის მეზობელ რეგიონებსაც.

ჩვენში სამუზეუმო ცხოვრების გაწვითარებაზე და სიძველეთა ძეგლების მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობის ზრდაზე დიდი გავლენა იქონია 1881 წ. თბილისში გამართულმა

V არქეოლოგიურმა ყრილობამ, რომლის მოსამზადებელ საქმიანობაში და შემდგომ მის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა საზოგადოებამ. [კავკასიის მუზეუმი დიდი მეცნიერული ავტორიტეტით სარგებლობდა, რის გამოც იგი რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სისტემაში იქნა შეყვანილი. 1919 წ. მას საქართველოს მუზეუმი ეწოდა.]

X

X X

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მაინცდამაინც მჭიდრო კავშირურთიერთობას ვერ ამყარებენ კავკასიის მუზეუმთან. აქ სამუშაოდ იწვევდნენ ძირითადად უცხოელ და რუს სპეციალისტებს. თითოოროლა გამონაკლისის გარდა აქ ადგილობრივ კაცს არ უმუშავნია. ალბათ ამის გამო იყო, რომ ქართული საზოგადოების წარმომადგენლები ბეჯითად ჰკიდებდნენ ხელს ეროვნული სამუზეუმო ცენტრის შექმნას. 1879 წ. გაზეთი "დროება" სიძველეთა მოვლა-პატრონობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა:"კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ /რადგან ეს საქმე, უეჭველია, მთელ ხალხს შეეხება/ მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვში და შიშში არ იყოს. ამისთანა საშუალება ჩვენის აზრით, იქნება არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება... აქ, ამ მუზეუმში შეგროვდება, თუ მოხერხდა, როგორც ძველი ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ძვირფასი ნივთები, ძველი ტანისამოსები, იარაღები და სხვა ყველა ნივთები "/"დროება", 1879 წ. № 201/.

აღნიშნული განცხადებიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ უკვე მუზეუმის შექმნის თადარიგს შეუდგნენ. უპასუხობისა

და უბინაობის მიუხედავად ეს საქმე ითავა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ისე რომ 1884 წლისათვის პრაქტიკულად შეუდგნენ მის განხორციელებას. მუზეუმი მოუწყიათ საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიოთეკასთან; ხელნაწერებთან ერთად თურმე აგროვებდნენ არქეოლოგიურ ნივთებსაც. გაზეთ "დროებას" ცნობით ერთ-ერთ პირველ ნივთად არის დასახელებული ვარაყიანი მინის სურა წარწერით "მეფის-ძე იულონი" /"დროება", 1884 წ. N 18ა/. იქ.ვე გაზეთ 1884 წ. 12 სექტემბერს მოუწოდებს მკითხველებს არქეოლოგიური და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები მოიტანონ მუზეუმში. აქვეა ცნობა, რომ მუზეუმს მიუღია შემოწირულების სახით დავით რექტორის საწერი იარაღები.

ქართველი საზოგადოება დიდად მოწადინებული იყო წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის გამდიდრებაზე და რომ მას ეროვნული სახე მისცეს; 1884 წ. "დროება" /N 142, 3.07/ იტყობინებოდა, რომ მეფე ერეკლეს თოფი, რომელიც კახეთის თავად-აზნაურობას უყიდია 2000 მანეთად და უჩუქნია ბარიატინსკისათვის შამილზე გამარჯვებისათვის, პატრონის გადაწყვეტილებით საქართველოში დაუბრუნებიათ. საზოგადოება მოითხოვს, რომ "ამგვარი ნივთი ქართულის მნიშვნელობის მქონე ძველი სახსოვარი შეწირულ ექმნეს "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ბიბლიოთეკას. სადაც იგი დაცული იქნება მრავალ ძვირფას ხელნაწერთა და მანუსკრიპტებთან ერთად ცალკე ვიტრინაში".

როგორც ირკვევა წ.კ.გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, რომელსაც "საარხეოლოგიო მუზეუმს" უწოდებენ, ენერგიულად შეუდგომია კოლექციების შეგროვებას, ისე რომ 1887

წლისათვის აქ "სანუმიზმატიკო" განყოფილებაც შექმნილა. სწორედ ამ წელს შეუწირავს მისთვის ნუმიზმატმა ივანე ბარ-თოლომეის დიღომში ნაპოვნი ფულები. ამ დროისათვის მუზეუმის ძველი ფულების ფონდში ირიცხებოდა 474 მონეტა /"ივერია", 1887 წ., 23.05/.

აღნიშნულმა მუზეუმმა დიდი და მნიშვნელოვანი სა-მუშაოები განახორციელა სამუზეუმო კოლექციების შეგროვების და დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ის ყოველთვის განიცდიდა დიდ გაჭირვებას, განსაკუთრებით უბინაობის გამო. ამისათვის იყო, რომ მუზეუმის შექმნის ათიოდე წლის შემდეგ კვლავ მკვეთ-რად დაისვა საკითხი ეროვნული მუზეუმის - "საერო სახლის" დაარ-სების შესახებ, სადაც გარდა სამუზეუმო კოლექციებისა და გამო-ფენებისა, იქნებოდა საგანგებო დარბაზი ქართველთა საზოგადოე-ბის სხდომებისათვის, სალექციო აუდიტორია და წიგნთსაცავი. ალ.ხახანაშვილი წერდა, რომ "მომავალი ჩვენი "საერო სახლი" უნდა იყოს ჩვენთვის პატარა უნივერსიტეტიც და სამეცნიერო აკა-დემიაც, შესაფერისი მოწყობილობით" /"კვალი", 1895 წ.№47/. ეს აზრი მეტად მოარულად იქცა საზოგადოებაში და დიდი გამოხმა-ურება პოვა, განსაკუთრებით იმ მტკივნეული შეგრძნების შემდეგ, როცა ვერაფრით შეველოდნენ წ.კ.გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის უბინაობის პრობლემას. ოდესელ ქართველ სტუდენტებს მომავალი მუზეუმის პროექტიც კი შეუდგენიათ /"ცნობის ფურცელი" 1899 წ. № 728/. "ეს შენობა, წერდა დ.კარიჭაშვილი, იქნება ძეგლი მთელის ქართველობისა, იგი იქნება საკუთრება არა ერთის რომელისმე საზოგადოებისა, არამედ საზოგადოდ მთელის ერისა და კერძოდ თითოეულის ქართველის" /"ივერია", 1898 წ. №18/. ასე მტკივნეულად განიცდიდა ქართული საზოგადოება და ჭმუნავდა აუ-ხდენელ ოცნებას ქართული მუზეუმის შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

X X

მართალია, ეს იდეა ვერ იქნა განხორციელებული, მაგრამ სამუზეუმო საქმეს, წ.კ.გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის შემდეგ სხვა განვითარება მიეცა.

1888 წ. თბილისში არსდება "საეკლესიო მუზეუმი". მუზეუმის წესდება ("წესდება საეკლესიო ძველ ნაშთთა-საცავისა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ძობასთან საქართველოს საეგზარხოსში"), რომელიც დამტკიცებულ იქნა 1889 წ. 24 იანვარს, შეიცავდა 9 პარაგრაფს. წესდების მიხედვით /§ 1/ "საეკლესიო ძველ ნაშთთა-საცავი... არსდება იმ აზრით, რომ დაცულ იქნეს ძველი საეკლესიო ნაშთები, რომელნიც საქართველოს საეგზარხოსში მოიპოვებიან" /"ივერია", 1889, №38/. ასეთ ნაშთებად ჩათვლილი იყო ძველი ხელნაწერები, ავეჯი, საეკლესიო ჭურჭელი და ნივთები. წესდების თანახმად "საეკლესიო-საარხეოლოგიო ნაშთები მუზეუმის გარეთ არავის გადაეცემა". საეკლესიო მუზეუმმა დაიდო ბინა სიონის ეკლესიის ეზოში საგანგებოდ აგებულ შენობაში /"ივერია", 1889, წ.№38/; მუზეუმის გამგე-კომიტეტის შემადგენლობა ეგზარხოსის დამტკიცებით: არქიმანდრიტი ლეონიდი, იღუმენი კირიონი, დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, მღვდლები ქალისტრატე ცინცაძე, მარკოზ ტყემალაძე, ვასილ კარბელაშვილი, სასულიერო სემინარიის მასწავლებლები: ილ.ფერაძე, წ.მახათაძე, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მ.ჯანაშვილი, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი ე.თაყაიშვილი და ფოტოგრაფი ა.როინაშვილი /"ივერია", 1897 წ.18 აპრილი/. გამგე-კომიტეტის შემადგენლობა ვიცით მოგვიანო 1897 წ. ცნობის მიხედვით, მანამდე კი როგორც ჩანს მუზეუმს მოთავეობდა თ.ჟორდანია, რო-

მერიც თავს აწვებს მუზეუმს, მისი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დანიშვნის გამო /"ცნობის ფურცელი",1897 წ. №241/. შეუმოწმებელი ცნობის მიხედვით, მუზეუმს, რომელიც სიონის საკუთრებას წარმოადგენდა, მთავრობის განკარგულებით უნდა გადასცემოდა "ყველა იშვიათი ნივთი რაც კი მოიძებნება ყველა მონასტრებში ამიერკავკასიაში" /"ივერია", 1894 წ. №106/.

საეკლესიო მუზეუმი ღია იყო მნახველთათვის კვირაში ორი დღე ოთხშაბათს 3-დან 5 საათამდე და კვირაობით 12-დან 14 საათამდე, შესასვლელი ბილეთის ღირებულება იყო 20 კაპიკი.

მუზეუმის გახსნას საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა. მის მოწყობაში და კოლექციების შეგროვებაში საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი თანამშრომლობდა ნაყოფიერად. მის წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვის დ.ბაქრაძეს /"ივერია",1900 წ.,№240/. ილია ჭავჭავაძე მხურვალედ გამოეხმაურა მუზეუმის დაარსებას, "ივერიამ" გამოაქვეყნა წესდება და ქება შეასხა მის ორგანიზატორებს /"ივერია", 1889 წ., №38/. იმავე ნომერში ილია წერდა: "ამ მუზეის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაიწეროს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს"... სიონის ჩრდილოეთით სიონისვე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია... ყოველივე ეს რომ შეძლებისამებრ ერთს ალაგს ტფილისში მოგროვდეს, როგორც აზრადა აქვს მუზეისა, მაშინ, იმედია დავინახავთ რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და ე მოუყვანებლად".

ათი წლის განმავლობაში მუზეუმს არაერთი მნიშვნელოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ექსპონატი შეემატა. მათ შორის იყო 271 ხელნაწერი /16336 ფურცელზე/ VII-XVIII საუკუნეებისა, და 933 სიგელ-გუჯარი - /869 ქართული, 65 სპარსული და 8 ბერძნული, "ცნობის ფურცელი", 1898 წ., №84/. მუზეუმი ყოველდღიურად ივსებოდა ახალ-ახალი მასალებით, ისე რომ რევოლუციამდელ თბილისში, კავკასიის მუზეუმის შემდეგ, ის ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციებს განაგებდა.

X

X X

ამ ორი მუზეუმის მხარდამხარ, დიდი პოპულარობა მოიპოვა კერძო მუზეუმმა, რომელსაც "პატარა კავკასიის მუზეუმს" ეძახოდნენ და რომლის პატრონიც იყო დაუოკებელი ენთუზიასტი, სიძველეების მოტრფიალე და უანგარო შემგროვებელი ალექსანდრე როინაშვილი. იგი ჩინებული ფოტოგრაფი იყო და ამ საქმის დიდი პოპულარიზატორი ჩვენში. სიძველეების გატაცება მის მთავარ საქმიანობასაც დაეტყო და იგი იწყებს ყოველი ღირსშესანიშნაობების ფოტოფირზე აღბეჭდვას იშვიათი გულმოდგინებით. ფოტო-არქივებს შემორჩა მის მიერ გადაღებული ძველი არქიტექტურული ნაგებობანი, ძეგლები, ტიპაჟები, სიძველეთა ნაშთები, პეიზაჟები და სხვა. მის მიერ შეგროვებულ კოლექციებში მრავლად იყო პირველხარისხოვანი და საინტერესო ნივთები, რამაც მას გადააწყვეტინა პოპულარიზაციის მიზნით ემოგზაურა თავის მუზეუმთან ერთად. გაზეთ "დროების" ცნობით /1835 წ. №54/ ალ. როინაშვილს "რომელიც დიდი ხანია, რაც დაღესტანში იმყოფება და იქაურ ბუნების სურათებს ფოტოგრაფიით ხატავს, მოუგროვებია საქართველოს მრავალი ძველი მანეთები და ნივთები და გაუხსნია პატარა მუზეუმი ქალაქს თემირ-ხან-შურაში

ამ დაუღალავ მშრომელს თავის საქმედ ის გაუხდია, რომ ხსე-ნებული მუზეუმი შეძლებისამებრ გაამდიდროს და მასუკან თა-ვის სამშობლო ქვეყანაში გადმოიტანოს".

დაღესტნიდან ალ.როინაშვილი თავისი მუზეუმით მიემ-გზავრება ასტრახანს, სადაც 1887 წ. 8 სექტემბერს გაუხსნია გამოფენა. გამოფენას დიდძალი ხალხი მიაწყდა და დიდი მოწო-ნებითაც სარგებლობდა. ექსპოზიციაში ოთხი განყოფილება ყოფი-ლა- არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ნუმიზმატი-კური. მნახველები ეცნობოდნენ ასირიული, სპარსული, ბერძნული, ქართული, რომაული და სომხური სიძველის ნიმუშებს, უპირატესად წინაქრისტიანული ხანისას. აქვე იყო 1000-ზე მეტი, კავკასიის ბუნების ამსახველი სურათი / "ივერია", 1887 წ., №198/.

ალ.როინაშვილის მუზეუმს განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მოსკოვში. "ისეთი ძვირფასი და იშვიათად სანახავი ნივთები მოიტანა მოსკოვში, წერდა გაზეთ "ივერიაში" /1887 წ., № 274/ ალ.ხახანაშვილი, -რომლის მსგავსიც არც რუმიანცევის, არც საისტორიო მუზეუმში არ მოიპოვებაო". აქვეა ჩამოთვლილი ეგვიპტური, ასირიული, სპარსული, ებრაული და სხვ. სიძველის ნიმუშები.

ალ.როინაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გარდა სიძველის ნიმუშების შეკრება-შესყიდვისა, ფართო გეგ-მებს სახავდა ძველი ტრადიციების და ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილი შინამრეწველური დარგების დასაფიქსირებ-ლად და აღსადგენად. ის გაზეთებში აქვეყნებს განცხადებებს და იწვევს ძველი ხელსაქმის და კერვის მცოდნე ქალებს ყოფაში შემონახული შინასაქმის აღსადგენად, რომ ეს დარგი არ დაკარ-გოდა შთამომავლობას /"ივერია", 1890 წ., №27/.

1889 წ. ალ. რონაშვილმა თავისი კავკასიის მუზეუმი გადასცა წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს. შემოწირულება შეფასებული იყო 50 000 მანეთად. უბინაობის გამო საზოგადოებამ საჩუქარი ვერ მიიღო, თუმცა კი განზრახული იყო მუზეუმისათვის შენობის აგება. და აი ამ დროს მკვეთრად დგება საკითხი ქართული საზოგადოების წინაშე ქართული "საერო სახლის," ანუ მუზეუმის აგების თაობაზე.

X

X X

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი კავკასიის ცენტრად იქცა. აქ იმყოფებოდა მეფის წარმომადგენლობა სრული ადმინისტრაციული აპარატით. აქვე იყო ირან-თურქეთთან საომარი ოპერაციების კავკასიის სამხედრო სამმართველო. კავკასიის ომების მატიანე სწორედ აქ იწერებოდა და აქ იყრიდა თავს ტროფეული მასალებიც. 1801 წლიდან, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს და რუსეთის ძალაუფლების კავკასიაში გავრცელების ახალი ეტაპი დაიწყო, 70-იანი წლების დასასრულამდე რუსეთის არმიამ ადგილობრივი ძალების მხარდაჭერით არაერთი დიდი სამხედრო წარმატება იზეიმა; მართალია დიდი სისხლის ფასად, იმპერიას დაუკავშირდა კავკასიის ყველა მხარე, სპარსეთის და თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმაც იმედის მომცემი ექსპანსიური პერსპექტივა წარმოშვა. რუსის ჯარი შევიდა თავრიზში, მოსინჯეს ბაიაზეთი და არზრუმი, ხელთ იგდეს ყარსი, არდაგანი და ბათუმი. რუსული იარაღის ძლევამოსილება კავკასიაში თავის ზენიტს აღწევს. როგორც მაშინ ფიქრობდნენ მომავალი წარმატებებისათვის მას პროპაგანდა ესაჭიროებოდა და ეს "პატრიოტული აზრი"

უნდა განხორციელებულიყო რუსული იარაღის დიდების მემორია-ლის- სამხედრო მუზეუმის შექმნით. და აი, 1888 წ. თბილის-ში გაიხსნა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი. ასეთი ხასიათის მუზეუმის დაარსების ინიციატივა ეკუთვნოდა კავკასიის მხა-რის გამგებელს დონდუკოვ-კურსაკოვს, რომლის თხოვნასაც იმ-პერატორი ალექსანდრე III მოწონებით შეხვდა- "გულით მსურს რომ მომავალში სამხედრო მუზეუმმა მიაღწიოს იმ მნიშვნელო-ბას და მაღალ მიზანს, რაც მას თავის დროშაზე დაუწერია", ასეთი იყო იმპერატორის რეზოლუცია თხოვნაზე. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი, რამდენადაც მუზეუმის დაარსების მი-ზანი სრულიად შეესაბამებოდა მეფის ხელისუფლების ოცნების აღსრულებას, კავკასიის დამორჩილებას და რუსული იარაღის ძლიერების ჩვენებას, კავკასიისათვის ომის დასრულებას და რუსული სამხედრო ძლიერების პროპაგანდას. ისე რომ მუზეუმის დაარსებისათვის, შენობის ასაგებად, ექსპოზიციისათვის მასა-ლების შესაკრებად და გაფორმებისათვის გზა ხსნილი იყო. მუ-ზეუმის შენობის ასაგებად გამოიყო ადგილი ალექსანდრეს ბაღში /დღეს სამხატვრო გალერეა რუსთაველის პროსპექტზე/, შედგა კომისია გენერალ პოდიმოვის მოთავეობით. კომისიაში შედიოდა ასევე კავკასიის მუზეუმის დირექტორი გუსტავ რადე. პროექტის ავტორია არქიტექტორი ზალცმანი.

მუზეუმის შენობას გარს ერტყა რკინის ღობე, რომლის გასწვრივაც ჩარიგებული იყო კავკასიის ომის დროს მტრისათვის წართმეული 38 ზარბაზანი. ასეთნაირად მუზეუმში მომსვლელი ეცნობოდა მის ექსპოზიციას შენობაში შესვლამდე, რომლის მთა-ვარი, საპარადო კარის ორსავ მხარეს მიკრული ჰქონდა 12 დიდი ზომის ლითონის დაფა, რომლებზედაც მოოქროვილი მსხვილი რელიე-

ფური ასოებით მუქწითელ ფონზე აღნიშნული იყო კავკასიის [illegible]-მოერთების ცალკეული ეტაპები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დაწყებული თერგის ციხისათვის საფუძვლის ჩაყრით 1567 წ. და დამთავრებული რუსეთისათვის მერვის შემოერთებით 1885 წელს.

როგორც ითქვა, რუკებზე აღნიშნული იყო თარიღი, მოქმედების ადგილი, პირი ვისაც უკავშირდებოდა ესა თუ ის გამარჯვება.

ქვევით მოვიტანთ ზოგიერთ აღნიშვნას რუკებიდან:

1567 წ. თერგის ციხისათვის საფუძვლის დადება.

1722 წ. 27 ივნისი. პეტრე დიდის გადასვლა ასტრახანდან. 23 აგვისტო დარუბანდის აღება პეტრე I მიერ.

1783 წ. 24 ივლისი. ეკატერინე II უზენაესი ხელისუფლების ქვეშ იღებს საქართველოს მეფე ირაკლი II.

1799 წ. 26 ნოემბერი. თბილისში მე-17 ეგერთა პოლკის შესვლა გენერალ ლაზარევის მეთაურობით.

1801 წ. 18 იანვარი. პავლე I-ის მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ.

1811 წ. ახალქალაქის აღება.

1828 წ. თურქმანჩაის ზავი.

1834 წ. შამილთან ბრძოლის დაწყება.

1837 წ. 7 ოქტომბერი. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლა თბილისში.

1857 წ. სალატაუს დამორჩილება გენერალ-ადიუტანტ ორბელიანის მიერ.

18[illegible] წ. 21 მაისი. დასავლეთ კავკასიის დამორჩილება და კავკასიის ომის დასასრული.

1878 წ. სამხედრო ტროფეად რუსეთმა მიიღო ყარსი, არდაგანი და ბათუმი.

მუზეუმის შესასვლელში დამოკიდული იყო რუსეთის მონარქების პეტრე I, ეკატერინე II, პავლე -I, ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, და ალექსანდრე III პორტრეტები, ასევე ქართველი მეფეების ერეკლე II და გიორგი XII სურათები.

როგორც მუზეუმის ექსპოზიციის აღწერილობიდან ჩანს, ექსპოზიციაში დიდი ადგილი ეკავა პორტრეტებს და ბატალური სცენების ამსახველ სურათებს. მხატვრული ტილოების ავტორები იყვნენ იმ დროის ცნობილი მხატვრები- რუბო, აივაზოვსკი, კოლჩინი, ზანკოვსკი, სამოშკინი და სხვები. მუზეუმში გამოფენილი იყო თითქმის ყველა გამოჩენილი პიროვნების ფოტო ან მხატვრული პორტრეტი, ვინც კი დაკავშირებული ყოფილა კავკასიაში მომხდარ საომარ ოპერაციებთან. ასევე იყო ექსპონირებული პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტებიც /ვ.ზუბოვი, კ.კნორინგი, პ.ციციანოვი, ი.გუდოვიჩი, ა.ტორმასოვი, გ.ერის-თავი, პ.კოცებუ, მ.ვორონცოვი, ვ.ბებუთოვი, ლ.ნიკოლაი, ა.ბა-რიატინსკი, მ.ლორის-მელიქოვი და სხვები/.

ნივთიერი მასალებიდან, რომლებიც ექსპონირებული იყო მუზეუმში შეიძლება დავასახელოთ ლენქორანის /1812 წ./, გან-ჯის /1825 წ./, ერევნის /1827 წ./, თავრიზის /1827 წ./, აბას-აბადის / 1827 წ./, არდებილის /1828 წ./ და სხვ. ადგილების აღებისას სპარსელებისათვის წართმეული დროშები; ამავე ქალაქების გასაღებები; პასკევიჩის და ვარშავსკის სა-მელნე და ყოგიტ; მედლებისა და ჯვრების კოლექციები; გამო-ჩენილ მეომართა ამსახველი ალბომები; სპილენძის ჯვრები და მედლები, კავკასიის პოლკების სხვადასხვა სურათები და წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილი ბატალური ტილოებიდან აღსანიშნავია: "ვერ-ველი რუსული პოლკის შემოსვლა თბილისში 1799 წ."; "ქართველ და რუსთა მეომრების ბრძოლა ლეკებთან მდ. იორზე 1800 წ." "ართაანის შტურმი 1877 წ."; "ერევნის ციხის აღება 1827 წ." და სხვ.

კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი დაიშალა 1917 წ.

X

X X

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის სახელმწიფოებში, ასევე რუსეთშიც დიდად პოპულარული იყო დროებითი გამოფენები, რომლებიც პერიოდულად ეწყობოდა და ეძღვნებოდა ამა თუ იმ დარგის განვითარებასა და პოპულარიზაციას. წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვა, სასაქონლო პროდუქციის წარმოების ინტენსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის ჩაბმა სასაქონლო საქმიანობაში დღის წესრიგში აყენებდა წარმოების ახალი მეთოდების პოპულარიზაციას, მათ რეკლამას და საბაზრო ოპერაციების გავრცელებას, რისთვისაც წარმატებით ინერგება და ვრცელდება დროებითი გამოფენების პრაქტიკა.

საქართველო განსაკუთრებული ინტერესით და აქტიურობით იღებდა მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში. აქ, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებისა და განხორციელებისათვის 1850 წ. შეიქმნა "კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება". სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის და სიახლეთა პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოებამ მოაწყო არაერთი გამოფენა. მნიშვნელოვანი იყო 1869 წ. კავკასიაში არსებული საქონლის ჯიშების დემონსტრირებისა და ადგილობრივი მეცხოველეობის გაუმჯო-

ბესების მიზნით მოწყობილი მეცხოველეობის პროდუქტების გამოფენა.

საზოგადოება მონაწილეობას იღებდა სრულიად რუსეთის, აგრეთვე მსოფლიო გამოფენებზე; 1858 წ. ცურიხში, 1862 წ. ლონდონში /მეაბრეშუმეობის გამოფენაზე/; 1867 წ. პარიზში.

[1871 წ. საზოგადოებასთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.]

დიდი ინტერესი გამოიწვია ექსპონირებული მასალებით, და საგამოფენო მეთოდებით 1901 წ. თბილისში მოწყობილმა "სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენამ". გამოფენაზე გარდა სასოფლო დარგებისა /მიწათმოქმედება, მეღვინეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა და სხვ. მრავალი/, წარმოდგენილი იყო მხატვრული განყოფილებაც /ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა/.

უცხოეთში მოწყობილი მსოფლიო გამოფენებიდან, სადაც საქართველოც იყო წარმოდგენილი, მასშტაბურობით და მნიშვნელობით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პარიზის 1900 წლის გამოფენა, რომელიც მოეწყო "გრანპალეს" სასახლეში /სპეციალურად აშენდა მსოფლიო გამოფენებისათვის/,

საქართველო წარმოდგენილი იყო რუსეთის პავილიონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპონატებით. სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მთავარი და წამყვანი იყო მეღვინეობა /"კახეთის საუფლისწულო ვენახები", ღვინის ნიმუშები, ბოცასაწყოები, მარნების ფოტოები; ყურძენი-რქ წითელი, საფერავი, თავკვერი, თითა და სხვ./ და ჩაის წარმოება /ჩაქვის

ჩაის ნიმუშები, პლანტაციების ფოტოები/; წარმოდგენილი იყო ასევე მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა.

გამოფენის დიდი ნაწილი ეკავა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ მასალებს / ქართული ტანსაცმელი, ქამარ-ხანჯალი, ხალიჩები, ფარდაგები, შინამრეწველური ნახელ ვე-მატყლის და ბამბის ნიმუშები, კახური ჩურჩხელები, ქართული აკვანი, გიშრის კრიალოსნები, ყანწები, თიხის ჭურჭელი, ჩონგურები, დაირები/. გარდა ამისა წარმოდგენილი იყო ცვილის მოდელებით შექმნილი ტიპაჟი: "ხევსური", "კურტნიანი მუშა", "თუშის დედაკაცი", "მოცეკვავე ქალი" და სხვ. ყველა მათგანი შემოსილი იყო დამახასიათებელი ტანსაცმლით და აკაზმული ყველა სხვა საჭირო მორთულობით.

ერთი განყოფილება მიძღვნილი იყო მხარის კულტურულ ისტორიული მდგომარეობისადმი. აქ იყო გამოფენილი დასურათებული "ვეფხის-ტყაოსანი", "ბუნების-კარი", "დედა ენა", საეკლესიო მუზეუმის "კატალოგი", "კავკასიის მუზეუმის კატალოგი" და "ანგარიშები", ფოლკლორული მასალები, კავკასიის კალენდრები, თბილისის გიმნაზიის ანგარიშები და სხვ.

პარიზის გამოფენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწილი სათანადო მასალებით დააკომპლექტა და მოაწყო კავკასიის მუზეუმმა, მისი დირექტორის გუსტავ რადეს ხელმძღვანელობით, რისთვისაც იგი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით /"კვალი", 1900 წ., №16-22/.

X

X X

როგორც ზევით ვთქვით, XIX ს.ბოლოსათვის თბილისში ოთხი მუზეუმი იყო-კავკასიის, წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების,

საეკლესიო და სამხედრო. როგორც ჩანს, ადგილობრივმა საზოგადოებამ შეისისხლხორცა და შეითვისა ეს კულტურულ-ტრადიციული ინსტიტუტი და თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში მიუჩინა მას ადგილი. გაზეთებში ხშირად იბეჭდება ცნობები მუზეუმის და ცალკეული გამოფენების შესახებ, მათ შორის ევროპული დიდი ცენტრების ირგვლივაც, თბილისში ეწყობა სხვადასხვა ხასიათის გამოფენები, საქართველო მონაწილეობს უცხოეთში მოწყობილი არაერთი გამოფენისა, ასე რომ სამუზეუმო ცხოვრების განვითარება გასული საუკუნის მიწურულსა და XX ს. დასაწყისის თბილისში ახალ ეტაპზეა ასული. ამ დროს თბილისს კიდევ სამი მუზეუმი შეემატა.

1899 წ. თბილისში დაარსდა კავკასიის კუსტარული კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენდა კავკასიაში ხალხური წარმოების ნიმუშების შეგროვება, მათი აღდგენა და დანერგვა წარმოებაში. ასეთი სამუშაოების განხორციელება დაკავშირებული იყო მასალების მოძიებასთან, დემონსტრირებასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებასთან, რისთვისაც იმავე წელს მიღებულ იქნა დადგენილება კომიტეტთან მუზეუმის შექმნის თაობაზე, რაც იმავე წელს განხორციელდა. მუზეუმს კავკასიის კუსტარული მუზეუმი ეწოდა.

მასალების შეგროვებას მუზეუმმა დაარსებისთანავე მოჰკიდა ხელი და 1913 წ. გახსნა პირველი გამოფენა, მისთვის მუშტაიდის ბაღში მიჩენილ ბინაში. მუზეუმის ექსპოზიცია მეტად საინტერესო გამოდგა. აქ იყო ექსპონირებული ხალხური წარმოების ნიმუშები, ასევე შრომის პროცესები, რაც საჭირო იყო აღნიშნული წარმოების აღდგენისა და დანერგვისათვის. ექსპოზიციის მთავარი თემები იყო ხალიჩების ქსოვა, ქარგვა, ვერცხლის და სპილენ-

ძის ნაკეთობათა დამზადება, ხის მხატვრული დამუშავება და
სხვა.

მუზეუმი ხალხური შემოქმედების პროპაგანდის და
ხალხური ნაწარმოების ნიმუშების თავმოყრის ცენტრად იქცა და
მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს რევოლუციის შემდეგაც,
პირიქით, მისი ასპარეზი უფრო გაფართოვდა და მრავალმხრივი
გახდა. 1960 წელს მას შეუერთდა 1937 წ. ჩამოყალიბებული
მცირე ხალხური შემოქმედების მუზეუმი და ეწოდა მას საქართვე-
ლოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
მის ექსპოზიციებსა და ფონდსაცავებში თავმოყრილია 10 ათასამ-
დე ხალხური შემოქმედების ნიმუში /ქსოვილი, ლითონის და ხის
ნაწარმი.../, მათ შორის მშვენიერი კოლექცია ე.წ. პრიმიტი-
ვისტების ნამუშევრებისა.

კუსტარული მუზეუმის სახით საქმე გვაქვს შინამრეწ-
ველური და ხალხური ნაწარმოების პროფესიულ-სამეცნიერო დაწესე-
ბულებასთან, რომლის უშუალო მიზანი პროფესიული საქმიანობის
შესწავლით იყო განსაზღვრული, და წმინდა პრაქტიკულ ამოცანებს
ისახავდა მიზნად.

X

X X

თავისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის გა-
მო ცალკე უნდა შევეხოთ საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის
დაარსებისა და განვითარების ისტორიას. XIX ს. ბოლო მეოთხე-
დის ქართველი საზოგადოებრიობა მკვეთრად აყენებდა საკითხს
საქართველოს ისტორიის კვლევისა და შესაბამისი მასალების
მოძიება-დაცვის თაობაზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-
ზოგადოების დაარსება / 1879 წ./ და მასთან ერთად მუზეუმ-
ბიბლიოთეკის შექმნა / 1885 წ./ უდავოდ წინ გადადგმული ნაბი-

ჯი იყო ამ დიდი ეროვნული საქმის განსახორციელებლად, თუმცა საბოლოო მიზნის მისაღწევად ეს არ კმაროდა. ამიტომ იყო, რომ გაზეთებში ქვეყნდებოდა წერილები ქართული ეროვნული სახლის, ეროვნული მუზეუმის დაარსების მოწოდებით, რომელშიც მოწინავე ადამიანები ხედავდნენ ქართული სამეცნიერო კერისათვის საფუძვლის დადებას, ეროვნული უნივერსიტეტის შექმნას. ერთი სიტყვით, სურვილები მეტად მომხიბვლელი და დროული იყო, რომელთაც ორიოდე რეცეპტი / მათ შორის საეკლესიო მუზეუმის შექმნა/ ვერა და ვერ ამართლებდა. მეცნიერული ძალების მომძლავრებით, დროის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დგებოდა დღის წესრიგში და აუცილებელი ხდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის სამეცნიერო ტიპის დაწესებულებების შექმნა. ასეთი სურვილები და გარდუვალი მოთხოვნა XX ს. დასაწყისისათვის უფრო გამძაფრდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში კრიზისული ვითარება შეიქმნა. და აი, სწორედ ასეთ დროს, 1907 წ. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების თაოსნობით, რომელთაც მოთავეობდა ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისში დიდი დაბრკოლებების დაძლევით, დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. მან სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდების მიხედვით გათვალისწინებული იყო "ქართული მუზეუმის და ბიბლიოთეკის " დაარსება, სადაც საზოგადოება " თავს მოიყრის და დაიცავს ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და ახლანდელი ქართ-

ველი ტომების, ისე მთელის კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ". საზოგადოების პირველ დამფუძნებელ კრებაზე საბჭოს წევრად და მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად არჩეულ იქნა ილია ფერაძე. ამავე 1907 წ. შეიქმნა სამუზეუმო კომისია / ე.თაყაიშვილი, ა.სარაჯიშვილი, გ.ცეცხლაძე/, რომელსაც ევალებოდა სამუშაო გეგმის შემუშავება და ორგანიზაციული საქმეების მოგვარება. მუზეუმ-ბიბლიოთეკას პირველ ხანებში გამოუყვეს ერთი ოთახი სათავადაზნაურო გიმნაზიაში, შემდეგ კი დაუთმეს გიმნაზიის მესამე სართულის ერთი მხარე. საზოგადოება, ჩამოყალიბებისთანავე, შეუდგა სამუზეუმო ექსპონატების და წიგნების შეგროვებას. მის სახელზე მოდიოდა შემოწირულებანი, ხდებოდა ექსპონატების ძებნა საგანგებოდ გამოყოფილი სახსრებითაც. 1909 წ. 1 იანვრისათვის წიგნსაცავში იყო 44 ხელნაწერი და 95 ნაბეჭდი წიგნი.

კოლექციების შეგროვებისთანავე მკვეთრად დაისვა საკითხი ბინის შესახებაც. ეს საკითხი იდგა საერთო კრებაზეც, რომელმაც გადაწყვიტა მუზეუმისათვის შენობის აგება. აქედან მოყოლებული იწყება სახსრების მოგროვების, მიწის ნაკვეთის გამოყოფის, ნებართვის აღების და სხვათა შესახებ ხანგრძლივი მცდელობა, რასაც დიდი დრო და ენერგია შეალია საზოგადოებამ და სამწუხაროდ, უშედეგოდ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის /1912-15 წწ./ უბინაობის პრობლემამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების და საეკლესიო მუზეუმების მესვეურებიც, რომლებიც ლიკვიდაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე იყვნენ მისულები. ერთხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკება წ.კ.გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის შეერთების თაობაზე, რაც პირობებში შეუთანხმებლობის გამო ვერ განხორციელდა. ასევე ითხოვდა საეკლესიო მუზეუმიც, რომ მისთვის გამოეყო ფართობი, ისე რომ საზოგადოების მუზეუმისათვის ახალი შენობის აგება, ალბათ საბოლოოდ გადაწყვეტდა რამდენიმე მუზეუმის კოლექციების შერწყმა-შეერთებას, რაც ვერ შესრულდა.

უბინაობის მიუხედავად, მუზეუმმა დიდძალი კოლექციები შეაგროვა. 1917 წლისათვის მას ერიცხებოდა 1427 ხელნაწერი, 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, 160 ალბომი, 2432 არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთი, 550 ნაქსოვი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ტილო. გარდა ექსპონატების შეგროვებისა, მუზეუმი საზოგადოებასთან ერთად [illegible] ეკლესიებიდან ფრესკების გადმოღებას. ამ პერიოდისათვის მუზეუმში იყო დაცული 73 ფრესკა. მეტად მდიდარი იყო მუზეუმი ნუმიზმატიკური მასალებით. მის კოლექციებში იყო 38893 მონეტა. ნუმიზმატიკური კოლექციების მოწესრიგებასა და დაკომპლექტებაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ნუმიზმატმა ე.პახომოვმა.

1907-1908 წწ. მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი იყო ი.ფერაძე. იგი შეცვალა კლ.ცინცაძემ, მაგრამ მცირე ხნით. 1908-1909 წწ. ს.გორგაძე განაგებდა მას. 1909-1914 წწ. ა.სარაჯიშვილი. 1915 წ. ამ თანამდებობაზეა დ.კარიჭაშვილი. ამავე წელს მას სცვლის იუსტინე აბულაძე.

მუზეუმ-ბიბლიოთეკა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ძირითად ბირთვს შეადგენდა, რომელმაც თავისი არსე-

ბოზის პერიოდში ფასდაუდებელი საქმიანობა გასწია ეროვნული კულტურის ამსახველი მასალების შეგროვებისა და დაცვის საქმეში. ამჟამად, საზოგადოების კოლექციები დაცულია თბილისის მუზეუმებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში.

X

X X

1910 წ. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის დაარსების 35 წლისთავზე, შეიქმნა ქალაქ თბილისის მუზეუმი, რომელსაც "ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი ეწოდა". ის, 1925 წლამდე თამამშევის ყოფილ ქარვასლაში იყო მოთავსებული. მუზეუმი ძირითადად თავს უყრიდა ქალაქის ისტორიის ამსახველ მასალებს და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ საინტერესო კოლექციები იქნა შეკრებილი. მუზეუმი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების მმართველობის დროს დაიხურა. 1924 წ. მუზეუმი აღდგენილ იქნა და მას "თბილისის აღმასკომის მუზეუმი" ეწოდა. 1943 წლიდან ის იქცა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად. 1969 წ. მიენიჭა ი.გრიშაშვილის სახელი.

როგორც ითქვა მუზეუმს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დიდი წარმატებები არა ჰქონია /დახურული იყო და ამდენად მისი როლი რევოლუციამდელი საქართველოს სამუზეუმო ცხოვრების განვითარებაში არ ჩანს/.

## თავი II მუზეუმების სპეციფიკა

როგორც აღვნიშნეთ, იყო მუზეუმების რიგითი და სულიერი კულტურის, ასევე ბუნების მოვლენების ამსახველი კოლექციები პირველ წყაროებს წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების და ბუნების მოვლენების შესწავლების მიზნით. კოლექცი-

ების მრავალფეროვნება, განსხვავებული მასალის პირობებში ძირითადად განსაზღვრავს მუზეუმების დანიშნულებას და [illegible] სპეციფიკას. სამუშაოთა შინაარსით და მრავალფეროვანი საქმიანობის ციკლით მუზეუმები წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ერთი საერთო და მთავარი ხაზი- საგანმანათლებლო სამუშაო, ყველა მათგანის უმთავრესი და აუცილებელი, განმსაზღვრელი მომენტია, რომელიც გულისხმობს მეცნიერულად გაანალიზებული მასალის ვიზუალური შემეცნების პოპულარიზაციას. რაც შეეხება მიზნობრივ განზოგადებას, აქ უფრო ვრცელი და ყოვლისმომცველი ასპარეზი ჩნდება, ვიწროპროფილიანი დაწესებულებით: სამეცნიერო-კვლევითი /ამ კატეგორიაში ექცევა მუზეუმების უმეტესობა/ სამეცნიერო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-სასწავლო /ძირითადად უმაღლეს სასწავლებლებთან, პროფილის მიხედვით/ და სხვა.

საქმე არ უნდა იყოს, რომ მუზეუმები კოლექციების ხასიათით და აქედან გამომდინარე, სამუშაოთა სპეციფიკური მხარეებით, რითაც განისაზღვრება მუზეუმის პროფილი, ისინი ამა თუ იმ დარგის სამეცნიერო უჯრედებს წარმოადგენენ. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერი მუზეუმის სახე განისაზღვრება მისი კოლექციებით და, როდესაც მუზეუმების სპეციფიკაციაზეა საუბარი, სწორედ აღნიშნული ნიშნის მიხედვით უნდა მოხდეს მათი დიფერენცირება. ეს საკითხი მეტად რთულია და თანამედროვე მუზეუმმცოდნეობის ერთ-ერთ მთავარ საკითხს შეადგენს.

თუ თვალს გადავავლებთ მუზეუმების საპროფილო მონაცემებს და მსგავსი სურათის მოხაზვას შევეცდებით, ვნახავთ, რომ ძირითადად საქმე გვაქვს ორი სახის მაპროფილებელ კოლექ-

ეროვნული

ციებთან, თუ, რა თქმა უნდა, ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ ადამიანს და მისი შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ისტორიულ ჭრილში.

პირველი სახის კოლექციებს შეადგენენ ბუნებიდან აღებული მასალები, რომელთაც ადამიანის ზემოქმედების კვალი არ ატყვია.

მეორე რიგის კოლექციები, შედგენილი ადამიანთან დაკავშირებული ნივთებით, რომლებიც შექმნილია ადამიანის მიერ, საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე და რომელთა მეშვეობითაც შეიძლება შევისწავლოთ უშუალოდ მწარმოებელთა ისტორია. ესაა ადამიანის შრომით შექმნილი ან მისი სულიერი შემოქმედების ნაყოფი- ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები.

საზოგადოებრივი ამოცანების მიხედვით, მუზეუმების სხვადასხვა პროფილიანი და განსხვავებული კოლექციები სპეციფიკის საკითხის განსაზღვრის მეტად რთულ სურათს წარმოადგენენ, თუმცა კი ერთი საერთო სპეციფიკა, რაც არ უნდა მრავალფეროვანი იყოს მუზეუმების ცხოვრება, მაინც არსებობს, და ის მუზეუმების ერთიანი, უმთავრესი მიზნის განხორციელებაში ვლინდება.

მუზეუმების არსის გარკვევაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთიანი შემუშავებული აზრი არ არსებობდა და არაერთი ერთმანეთის გამომრიცხავი თეორია იყო წამოყენებული. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სამუზეუმო კოლექციების შეგროვება უკავშირდება ადამიანის თანდაყოლილ სწრაფვას სიმშვენიერისაკენ, რაც იძულებულს ხდიდა ადამიანს ესთეტიკური ემოციების აღმძვრელი ნივთების გარემოცვაში მოხვედრილიყო, მით უმეტეს,

რომ ადამიანში კოლექციონერული ინსტინქტი თითქოს ყოველთვის მძაფრი გამოვლინებით არის გამომჟღავნებული. ზოგადად, მოსაზრებით სამუზეუმო საქმის დაწყება ყველა ქვეყანაში უკავშირდება ანტიკურ საბერძნეთს- მუზეუმების ერთიან წინასამშობლოს, ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მუზეუმების წარმოქმნა სხვა არაფერია თუ არა მიბაძვა ანტიკური საბერძნეთის მუზეუმებისადმი.

სამუზეუმო თეორიების შექმნის ადრეულ საფეხურებზე სხვა მოსაზრებებიც არსებობდა, ყველა მათგანი დროის და სოციალური გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებით ერთგვარ ეტაპს ქმნიდა სამუზეუმო თეორიის განვითარებაში, რაც ჯეროვნად არის შეფასებული და გაანალიზებული თანამედროვე მუზეუმცოდნეობაში. დღეს უკვე გარკვეულია, რომ მუზეუმების წარმოშობა საზოგადოებრივი მოთხოვნილებების, საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგად ხდებოდა და სამუზეუმო კოლექციების შექმნაც სტიქიურად თუ მიზანსწრაფულად ამ ამოცანას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა ესთეტიკური ემოციები და ვიზუალური ტკბობა კოლექციების ექსპონირების დროს, ისევე როგორც განსაკუთრებული ხაზგასმა ნივთის უნიკალურობის თუ იშვიათობის აღსანიშნავად, არასდროს გამორიცხული არა ყოფილა.

მაშასადამე, დღიდან მუზეუმების ჩამოყალიბებისა და განვითარებისა, სათანადო სამუზეუმო კოლექციების მიხედვით თანდათანობით დადგინდა მუზეუმების პროფილი და გამოიკვეთა სპეციფიკაც. როგორც ზევით იყო აღნიშნული სამუზეუმო ფონდების ხასიათით და, აქედან გამომდინარე, პროფილის მიხედვით, სხვადასხვაგვარი სურათი დგინდება, უპირატესად ორი სახის მასალების გათვალისწინებით. თუ შევეცდებით დიფერენცირებული სახის

წარმოდგენას, დანაწევრებული, ვიწროპროფილიანი მუზეუმების შედგენილი სამი ჯგუფის გამოყოფა გახდება შესაძლებელი:

პირველი ჯგუფი მუზეუმებისა დაკომპლექტებულია სამუზეუმო კოლექციებით, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის და საზოგადოების შრომით შექმნილ მატერიალურ ან სულიერ კულტურის ნივთებს, ე.ი. საქმე გვაქვს ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობასთან, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მუზეუმების ეს ჯგუფი შეიძლება ზოგადად აღნიშნოს როგორც ისტორიული პროფილის მუზეუმები. ისტორიული პროფილის მუზეუმების ჯგუფში, შეიძლება გავაერთიანოთ მუზეუმების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფი ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინებით, რომ კოლექციები დაკავშირებულია ადამიანთან, მის შრომით საქმიანობასთან, სულიერ კულტურასთან, ყოფით მხარესთან, სამეურნეო თუ ტექნოლოგიურ განვითარებასთან, ერთი სიტყვით, ადამიანთან და საზოგადოებასთან, მისი მეურნეობრივი, კულტურული, ესთეტიკურ-რელიგიური ცხოვრების მრავალმხრივ ასახვასთან, ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. მუზეუმების ამ ჯგუფში შედიან ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სამხედრო-ისტორიული, სამხედრო-საზღვაო, ხელოვნების, არქიტექტურის და სხვ. მრავალი მუზეუმი. ამავე ჯგუფში შედის მემორიალური მუზეუმების საკმაოდ რიცხვმრავალი ჯგუფიც.

მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის მუზეუმები, რომელთა კოლექციებიც შედგენილია ადამიანის ბუნებრივი გარემოდან აღებული მასალებით და, რომელთაც ადამიანის შემოქმედების, მისი შრომის და გონებრივი შემოქმედების კვალი არ ატყვია. კოლექციების ეს ჯგუფები დაკომპლექტებულია ორგანული თუ

არაორგანული მასალებით- ნიალისეულის ნიმუშებით, [illegible] ქანებით, მინერალებით, ზღვიური ნალექებით, პალეონტოლოგიური მონაცემებით, მცენარეული საფარით, ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებით და სხვ. მუზეუმების ამ ჯგუფს საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმები შეიძლება ვუწოდოთ.

მესამე ჯგუფის მუზეუმები კომპლექსური ხასიათისაა. მათი კოლექციები წარმოდგენილია როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელი მასალებით. ასეთი მუზეუმები, რომლებიც შერწყმული კოლექციებით არიან წარმოდგენილი ქმნიან მუზეუმების საკმაოდ დიდ ჯგუფს და ისინი მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების სახელით არიან ცნობილი.

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი   მ უ ზ ე უ მ ე ბ ი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებია, რომლებიც ახორციელებენ ნივთიერ და სულიერ კულტურის ძეგლების შეგროვებას, მოვლა-პატრონობას, მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას, ისტორიული მუზეუმები ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამსახველი ნივთიერი პირველწყაროების ძირითად სამეცნიერო საცავებს წარმოადგენენ. რიგი ისტორიული მუზეუმებისა, ხასიათდება ფართო ისტორიული პროფილით- ზოგად ისტორიული მიმართულებით და ასახავენ რომელიმე ქვეყნის, რესპუბლიკის, ქალაქის და სხვა ისტორიას, ანდა მათი პროფილი რომელიმე ვიწრო სპეციალობით განისაზღვრება. ასეთებია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მუზეუმები.

როგორც ვთქვით, ისტორიული მნიშვნელობის მატერიალური, სულიერი თუ დოკუმენტური ძეგლების შეგროვება და სამუზეუმო კოლექციებად ქცევა სტიქიურად მიმდინარეობდა უძველესი დროიდან მოკიდებული. აღორძინების ხანიდან სამუზეუმო საქმე შედარებით

სისტემური ხასიათი მიიღო, ისე რომ XVIII საუკუნიდან უკვე გამოიკვეთა თანამედროვე მუზეუმების სპეციფიკური სახე, რამაც XIX საუკუნის დასაწყისიდან გარკვეული ორგანიზებული მიმართულება მიიღო.

ისტორიული მუზეუმების წამყვანი სახეა ზოგადისტორიული მუზეუმები, რომლებმაც განვითარების გრძელი და რთული გზა გაიარეს როგორც ჩვენში ისე უცხოეთში.

როგორც აღვნიშნეთ ისტორიული და მხატვრული ძეგლების შეგროვებლობითი საქმიანობა დასავლეთ ევროპაში განსაკუთრებული წარმატებებით ვითარდება აღორძინების ეპოქაში, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო გვიან აღმოცენებული სამუზეუმო ფონდების კვლევა-ძიებას. შეკრებილმა მასალებმა კი შეადგინა ძირითადი ბირთვი ამ დიდ სამუზეუმო გაერთიანებებში /ფრანცისკ I-ის იშვიათ ნივთთა კაბინეტი ფონტენებლოში, კუნსტკამერები ტიროლში, დრეზდენში, მიუნხენში, საუნივერსიტეტო კოლექციები და სხვა/.

კაპიტალიზმის აღმავალი სვლის და მსოფლიო სავაჭრო კონტაქტების გაღრმავების შედეგად იღვიძებს ინტერესი იშვიათ ნაკეთობათა, სიძველის ძეგლთა, ხელნაწერთა და სხვათა ინტენსიური შეგროვებლობისა და თავმოყრისათვის. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ვაჭარმა ჯ.მანეტიმ დაიწყო რა ანტიკური ხანის წარწერების შეგროვება, საფუძველი დაუდო ეპიგრაფიკას. შეგროვებლობამ უამრავი სიძველის ნიმუში მოუყარა თავი ევროპის სახელმწიფოებში /ძირითადად აღმ.ქვეყნებიდან წაძარცვი ძეგრა-ულობით/; 1683 წ. ოქსფორდში დაარსდა აშმოლის მუზეუმი; 1753 წ. ბრიტანეთის მუზეუმი; 1844 წ. დიუ სომერარის მდიდარი კოლექციების საფუძველზე ა მოეწყო კლიუნის ისტორიული მუზეუმი პარიზში; 1837 წ. ვერსალის სასახლე იქცა საფრანგეთის

ეროვნულ მუზეუმად. ესპანეთში და პორტუგალიაში ისტორიული ძეგლები თავმოყრილია ხელოვნების მუზეუმებში. ბერლინში 1825 წ. დაარსდა "ძველი" და 1855 წელს "ახალი" მუზეუმები.

მუზეუმების აღმოცენება XIX ს. მიმდინარეობდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, თუმცა ეს საქმე კოლონიური რეჟიმის პირობებში სათანადო გასაქანს ვერ პოულობდა. XIX ს. შუა ხანებში ჩაეყარა საფუძველი კაიროში ეგვიპტური სიძველეების მუზეუმს / დღეს ეგვიპტის ნაც.მუზეუმი/, ინდოეთში ინდოეთის ეროვნულ მუზეუმს კალკუტაში /1814/.

აშშ-ში პირველი ისტორიული მუზეუმი დააარსა პენსილვანიის ისტორიულმა საზოგადოებამ ფილადელფიაში 1834 წ; ეროვნული მუზეუმი დაარსდა ვაშინგტონში 1875 წ. ლათინურ ამერიკაში ყველაზე ძველია 1700 წ. დაარსებული გვადალახარის მუზეუმი /მექსიკა /.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის და ბურჟუაზიული რევოლუციების გამარჯვების შედეგად აზიის რიგ ქვეყნებში XX ს. დაჩქარდა სამუზეუმო საქმიანობა. 1914 წ. ჩინეთში, ყოფილ იმპერატორთა სასახლეში, პეკინში, დაარსდა ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმი /"ჰუგუნი"/; 1919 წ. დაარსდა სირიის ეროვნული მუზეუმი დამასკოში; 1923 წ. ეროვნული მუზეუმი ბაღდადში; 1923 წ. სტამბოლში დაარსდა თურქული და ისლამის კულტურის მუზეუმი და ეთნოგრაფიული მუზეუმი ანკარაში; 1924 წ. თოფკაპის სასახლის მუზეუმი და სხვ. 1938 წ. დაარსდა ირანის სიძველეთა მუზეუმი თეირანში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სოციალისტურ ქვეყნებში აღმოცენდა ფაშიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის,

ასევე სოციალიზმის მშენებლობის ამსახველი მუზეუმები, მაგ.: მირისაა პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის მუზეუმი – ვარშავაში; ვარშავის ისტორიის მუზეუმი; ჩეხოსლოვაკიაში – მუშათა მოძრაობის მუზეუმი /პრაღაში და ბრატისლავაში/; ბულგარეთში რევოლუციური მოძრაობის მუზეუმი / სოფიაში/ და სხვ.

ზოგადსაგანმანათლებლო მუზეუმების წინასახეები რუსეთში ცალკეული კოლექციების სახით ძველი დროიდან არსებობდა. XVI ს. შეიქმნა "იარაღის სასახლე"- ძვირფასეულობათა საგანძური რუსი მეფეებისადმი ელჩების მიერ ძღვნად მირთმეული ნივთებისა.

XVII-XVIII სს. აღმოცენდნენ დიდებულთა, ბოიარ-მემამულეთა და სამეფო გვარეულობის წევრთა კერძო კოლექციები, რამაც ხელი შეუწყო პირველი მუზეუმის-კუნსტკამერის შექმნას 1714 წ. /გახსნა 1719 წ./. სამუზეუმო კოლექციები რუს მეცნიერთა კვლევის ობიექტად იქცა და ისინი სამეცნიერო გამოკვლევების და ინტენსიურ დამუშავებასთან ერთად საფუძვლად დაედო ძეგლთა დაცვის პირველსავე საკანონმდებლო აქტებს.

XIX ს. დასაწყისში დაარსდა რამდენიმე ისტორიული მუზეუმი – პეტრე I-ის მუზეუმი 1823 წ. აზიის მუზეუმი 1818 წ. პეტერბურგში; სიძველეთა მუზეუმი ოდესაში 1825 წ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა [illegible] და მეფის ოჯახის [illegible] მუზეუმები. გაუქმებული მუზეუმების კოლექციები [illegible] რისა და ფიქსაციის შე-[illegible] [illegible] სახელმწიფო მუზეუმებს; საბჭოთა ხელისუფლების [illegible] მუზეუმები [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] მუზეუმების [illegible], რომლებშიც ახალი ისტორიული და რევოლუციური მუზეუმები; 1919 წ. პეტროგრადში დაარსდა რევოლუციის მუზეუმი;

1922 წ. მოსკოვის ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმი, რომელიც შემდგომად გადაკეთდა რევოლუციის მუზეუმად /1924 წ./; წითელი არმიის მუზეუმი / 1919 წ./ მოსკოვში და პეტროგრადში /1920 წ./. გარდა ამისა, ამავე პერიოდში არსდება არაერთი ეროვნული ისტორიული მუზეუმი და ისტორიულ-კულტურული ნაკრძალი, ასევე ისტორიულ-არქეოლოგიური, ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმები. ისტორიული მუზეუმები გაიხსნა აზერბაიჯანში /1921 წ. ბაქოში/; სომხეთში /1921 წ. ერევანში/; ყირგიზეთში /1926 წ. ფრუნზეში/; თურქმენეთში /1927 წ.აშხაბადში/; და სხვ. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში ისტორიული მუზეუმები გაიხსნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

დიდი სამამულო ომის წლებში მუზეუმებმა, რომლებიც ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ დიდი ზარალი განიცადეს. სამუზეუმო ცხოვრების აღდგენა და ახალი მუზეუმების ქსელის შექმნა ომის ბოლო წლებშივე დაიწყო, იქმნება ისტორიული პროფილის სხვადასხვა სპეციალობის მუზეუმები: ქ.ტარტუს მუზეუმი /1955 წ./; ბელორუსიის ისტორიული მუზეუმი / მინსკში, 1956 წ./; რევოლუციის მუზეუმი ერევანში /1957 წ./; ნარვის საქალაქო მუზეუმი /1965 წ./; ათეიზმის მუზეუმი ბაქოში /1970 წ./; და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1950-1970 წწ. ათასობით შექმნილი მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე /სკოლებში, საწარმოო-დაწესებულებებში.../

ისტორიული მუზეუმების მუშაობის ასპექტები ძლიერ ფართოა. იგი მოიცავს აქტიურ მეცნიერულ მუშაობას ისტორიის ყველა ეტაპზე; საფონდო და მოძიებით საქმიანობას, ფონდების აღრიცხვასა და მოვლა-პატრონობას; საექსპოზიციო სამუშაოებს; მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას და პოპულარიზაციას უშუალო საექს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიციო დარბაზებში, ასევე რელიკვიურ ძეგლებზე, მოძრავი გამოფენების მოწყობას და სხვა..

არქეოლოგიური მუზეუმები წარმოადგენენ სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ანარმოებენ მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლების მოძიებას, დაცვას, მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას. ამ სახის მუზეუმებისათვის სამუზეუმო კოლექციების მოძიების ძირითადი საშუალებაა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი.

საზღვარგარეთ, ცალკეული არქეოლოგიური კოლექციები, რომელთა შორისაც პირველ რიგში ანტიკური ხელოვნების ნიმუშები იგულისხმება, ჯერ კიდევ აღორძინების ხანის მუზეუმებში გაჩნდა. სპეციფიკური არქეოლოგიური მუზეუმები წარმოიშვნენ უპირველესად XIX საუკუნეში, საეკლესიო და კერძო კოლექციების ბაზაზე.

არქეოლოგიური მუზეუმი, როგორც ისტორიული მუზეუმების ერთ-ერთი სპეციფიკური დაწესებულება, დიდი პოპულარობით სარგებლობს, მას შეხვდებით თითქმის ყველა ქვეყანაში. ბუნებრივია, რომ ამ სახის მუზეუმები მრავლადაა წარმოდგენილი ისეთ ქვეყნებში, სადაც მეტად მდიდარი არქეოლოგიური ძეგლებია თავმოყრილი /იტალია, საბერძნეთი, თურქეთი.../.

მეცნიერული არქეოლოგიური კვლევა-ძიების სამშობლოდ იტალიაა მიჩნეული და ამდენად გასაკვირი არ არის, რომ აქ არქეოლოგიური მუზეუმების განვითარებას მდიდარი ტრადიციები გააჩნია. პომპეისა და ჰერკულანუმის გათხრებით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები დაცულია ქ.ნეაპოლში, სპეციალურად აღნიშნული მასალებისათვის შექმნილ მუზეუმში / 1738-1740 წწ./. დასახელებული ძეგლებიდან, ასევე სამხრეთ იტალიის უმნიშვნელო-

ვანეში არქეოლოგიური კოლექციები თავმოყრილია ასევე ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმში /XVIII ს./, ბოლონიის ქალაქის მუზეუმში /1881/, ფლორენციის არქეოლოგიურ მუზეუმში. ეს უკანასკნელი / 1870/, ისევე როგორც ეროვნული მუზეუმი /1865/ ჩამოყალიბდა იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და უმდიდრესი უფიცის გალერეის /ფლორენცია/ ბაზაზე, რომელიც როგორც მხატვრულ-არქეოლოგიური საცავი-გალერეა ჯერ კიდევ XVI ს. წარმოიშვა. მსგავსადვე წარმოშობილი ვატიკანის მუზეუმებიც რომში /ცალკეული კოლექციები აღორძინების ხანიდან იღებს სათავეს, სისტემაში მოყვანა ხდება XVIII საუკუნეში. იტალიის ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კოლექციები თავმოყრილია ლატერანის /1844/ და რომის ნაციონალურ მუზეუმებში /1889/, დიოკლეტიანეს თერმებში, კაპიტოლიუმის მუზეუმში, წინაისტორიული ეთნოგრაფიის მუზეუმში /1875/ და სხვ. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალებია პალერმოს / 1806/ და სირაკუზის/ 1886/ მუზეუმებში.

საბერძნეთში უმთავრესი არქეოლოგიური კოლექციები თავმოყრილია ათენის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში /1874/ და აკროპოლისის მუზეუმში/ 1878/. არქეოლოგიური მუზეუმებია დელფოსში /1903/, ოლიმპოში და კორინთში /1932 წ./. საბერძნეთში, ისევე როგორც იტალიაში, დიდი პოპულარობით სარგებლობენ "ღია მუზეუმები", უშუალოდ არქეოლოგიურ ძეგლებზე, სადაც დამთვალიერებელს ეძლევა საშუალება გაეცნოს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ ძეგლებს, სამუშაოთა მიმდინარეობას და ნოგიერთ მონაპოვარს /ათენი, კორინთი, მიკენი, ეპიდავროსი.../.

საფრანგეთში მდიდარი არქეოლოგიური კოლექციების საცავია ლუვრი /1793/, სადაც შეიძლება გაეცნოთ პირველხარისხო-

ვან არქეოლოგიურ მონაპოვრებს ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ასევე აღსანიშნავია სენ-ჟერმენის, ლილის, დიჟონის, მარსელის და სხვა მუზეუმები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი ყურადღება, "პრეისტორიული" ღია მუზეუმების მიმართ, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ეტალონურ არქეოლოგიურ ობიექტებს როგორიცაა მადლენი, ორინიაკი, მუსტიე და სხვა, სადაც შეიძლება დამთვალიერებელმა ნახოს უშუალოდ განათხარი ძეგლი და გაეცნოს არქეოლოგიურ მასალებს ძეგლებთან არსებულ პატარა მუზეუმებში. ასევე, ყურადღებას იმსახურებენ "პრეისტორიული" ძეგლი-მუზეუმები, სადაც ადგილზევეა დაცული უძველესი მხატვრობის ნიმუშები- ზოგი მათგანი უნიკალურია და მსოფლიო აღიარებას იმსახურებს / რუფინიაკი, ლესკო, ფონ-დე-გომი/.

ინგლისში არქეოლოგიური მასალების უმდიდრესი საგანძურია ბრიტანეთის მუზეუმი ლონდონში /1753/. აქაა დაცული უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კოლექციები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა დიდი ნაწილი მოპოვებულია ბრიტანეთის მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ. ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი ლონდონში ,1852/ ყველაზე მდიდარია მსოფლიოში აღმოსავლური კერამიკული მასალებით. მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარია დაცული ინგლისის ყველაზე ძველ აშმოლის მუზეუმში ოქსფორდში /1683/.

ევროპული მუზეუმებიდან, სადაც მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კოლექციებია თავმოყრილი, შეიძლება დავასახელოთ მიუნხენის, ნიურნბერგის, მაინცის/გფრ/, დრეზდენის, ჰალეს, ვაიმარის /გდრ/ მუზეუმები; შვეიცარიის ხალხთმცოდნეობის მუ-

ზეუმი ციურიხში /1890/, ბაზელის /1890/, კოპენჰაგენის ეროვნული /1907/, მადრიდის არქეოლოგიური /1867/ მუზეუმები; სოფიის /1878/ და პლოვდივის /1882/ არქეოლოგიური მუზეუმები ბულგარეთში; ბუდაპეშტის ისტორიული მუზეუმი და აკვინკუმი უნგრეთში; ბელგრადის სახალხო მუზეუმი /1884/ იუგოსლავიაში; ვარშავისა /1928/ და პოზნანის/1857/ არქეოლოგიური მუზეუმები პოლონეთში და სხვა.

აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კოლექციებია დაცული ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში /1870/.

აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაში არქეოლოგიურ მუზეუმებს, შეიძლება ითქვას, წამყვანი ადგილი უკავია. ამ მიმართებით შეიძლება დავასახელოთ სტამბულის /1869/ და ანკარის /1923/ არქეოლოგიური მუზეუმები თურქეთში; ეგვიპტის ეროვნული მუზეუმი კაიროში /1900/ და ბერძნულ-რომაული სიძველეების მუზეუმი ალექსანდრიაში /1892/; თეირანის არქეოლოგიური მუზეუმი /1936/; ბაღდადის /1923/, ბაბილონის /1949/ და სამარის /1936/ მუზეუმები.

არქეოლოგიური კოლექციები მდიდრულად არის წარმოდგენილი ინდოეთის მუზეუმებში: არქეოლოგიური მუზეუმი მადურაიში /1874/; ინდოეთის ეროვნული მუზეუმი დელიში /1948/; ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი ბომბეიში /1855/.

ჩინეთის არქეოლოგიური მასალები დაცულია რამდენიმე დიდ მუზეუმში- პეკინის ჰუგუნის მუზეუმში /ყოფილ იმპერატორთა სასახლეში 1914/; ნანკინის და ხარბინის ეროვნულ მუზეუმებში; ასევე სიანის არქეოლოგიისა და წარწერების მუზეუმში.

რევოლუციამდელ რუსეთში არქეოლოგიური კოლექციების ყველაზე ძველსა და მნიშვნელოვან საცავებს წარმოადგენდნენ "იარაღის სასახლე", კუნსტკამერა და კერძო კოლექციები. არქეოლოგიური

სპეციალიზებული მუზეუმები არმოცენდნენ ძირითადად XIX საუ-
კუნის დასაწყისიდან, ამ დროიდან იწყება არქეოლოგიური კვლე-
ვა-ძიების განვითარება. აქ უპირატესად თავს იყრიდა შემთხ-
ვევით აღმოჩენილი მასალები. 1806 წ. ნიკოლაევის შავი ზღვის
დეპოში დაიდო ბინა ქერჩისა და ხერსონის ნაქალაქარებიდან
მომდინარე არქეოლოგიურმა კოლექციებმა. 1811 წ. დაარსდა
ფეოდოსიის, 1825 წ. ოდესის და 1826 წ. ქერჩის სიძველეთა მუ-
ზეუმები. 1840 წ. დაარსდა ოდესის ისტორიისა და სიძველეთა
საზოგადოების მუზეუმი, რომელსაც იმავე წელს შეუერთდა შავი
ზღვის დეპოს და 1858 წ. კი ოდესის სიძველეთა მუზეუმის კო-
ლექციები. 1846 წ. ყალიბდება რუსეთის არქეოლოგიური საზოგა-
დოების მუზეუმი პეტერბურგში; 1860 წ. -არქეოლოგიური კომისიის
მუზეუმი; 1864 წ.-მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მუზეუ-
მი; 1878 წ.- ყაზანის არქეოლოგიურ-ისტორიული და ეთნოგრაფიუ-
ლი საზოგადოების მუზეუმი. არქეოლოგიური მასალების დიდმა ნა-
წილმა თავი მოიყარა ფართო პროფილის მუზეუმების არქეოლოგიურ
განყოფილებებში. მათ შორის აღსანიშნავია კავკასიის მუზეუმის
არქეოლოგიური კოლექციები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, არქეოლო-
გიური სამუშაოების მთავარ დაწესებულებად იქცა 1919 წ. დაარ-
სებული მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია. ზემოთ ჩამო-
თვლილი არქეოლოგიური მუზეუმები, თუ არ მი ვიღებთ მხედველობა-
ში ცალკეულ ორგანიზაციულ ცვლილებებს, ასევე არქეოლოგიური გა-
ნყოფილებები სხვადასხვა მუზეუმებთან წარმატებით ახორციელებენ
არქეოლოგიური კოლექციების მოძიებისა და დაცვის სამუშაოებს.
ამავე დროს არქეოლოგიური, სპეციალიზებული განყოფილებები
შეიქმნა 500-ზე მეტ მუზეუმში.

არქეოლოგიურ მუზეუმებზე საუბრისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე კარგა ხანია რაც მსგავსივე დანიშნულების ორგანიზმები გაჩნდნენ და დიდი მასშტაბის სამუშაოებსაც ახორციელებენ უშუალოდ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოცენებული მუზეუმები, რომლებიც ერთი მხრივ მოწოდებულნი არიან ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის და რაც მთავარია ეწევიან დიდ პროპაგანდისტულ სამუშაოებს ადგილზე.

X

X X

ეთნოგრაფიული მუზეუმები – ისტორიული პროფილის წამყვანი სამუზეუმო დაწესებულებებია, მათ განვითარების რთული და საინტერესო გზა აქვთ გავლილი, რიგ შემთხვევებში, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზმებს, ზოგჯერ – როგორც რომელიმე მუზეუმში შემავალ უჯრედებს.

ეთნოგრაფიული მუზეუმები ახორციელებენ ხალხის ყოფისა და კულტურის, სოციალური მდგომარეობის და საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი მასალების შეკრებას, დაცვას, მეცნიერულ შესწავლას, პოპულარიზაციას. ეთნოგრაფიულ სამუზეუმო უჯრედებთანაა დაკავშირებული ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩასახვა და განვითარება. სიმპტომატურია, რომ ევროპული საეთნოგრაფიო სკოლების გაჩენა და განვითარება დაიწყო არა ადგილობრივი ყოფიერი მასალების მოძიება-დამუშავებით, არამედ ახალაღმოჩენილი, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლით, რამაც სტიმული მისცა გლობალური მასშტაბით ეთნოგრაფიული კვლევაძიების გავრცელებას. აღორძინების ხანას, ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვისაც და კონკრეტულად კი სამუზეუმო ცხოვრებაში მი-

სი დანერგვისათვის, ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ფონზე განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთში ეთნოგრაფიული მუზეუმების ცალკეული უჯრედები ყალიბდება XIX ს.-ის დასაწყისიდან პეტერბურგის კუნსტკამერის ბაზაზე. ასე შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სააკადემიო მუზეუმი: აზიის ხალხთა /1818/, სადაც დაიდო ძირი მახლობელი აღმოსავლეთის, შუა აზიის, ციმბირის, კოლგასპირეთის და შორეული აღმოსავლეთის ეთნოგრაფიულმა კოლექციებმა; ეგვიპტის /1825/, რომელსაც გადაეცა ეგვიპტის ხალხთა ეთნოგრაფიული მასალები; ეთნოგრაფიული /1836/, სადაც თავი მოიყარა რუსეთის ევროპული ნაწილის და ევროპის კოლექციებმა. აღნიშნული ეთნოგრაფიული ფონდების დიდი ნაწილი 1879 წ. გადაეცა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს, რომელიც იქცა ეთნოგრაფიული კვლევის მნიშვნელოვან ცენტრად. აქ იყო დაცული ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევისათვის საჭირო უმდიდრესი კოლექციები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

1831 წ. პეტერბურგში, ოკეანიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფიული კოლექციების ბაზაზე დაარსდა რუმიანცევის მუზეუმი. იგი 1861 წ. გადატანილ იქნა მოსკოვში, დაემატა მას ახალი მასალები ევროპის ქვეყნების, რუსეთის და კავკასიის ეთნოგრაფიული რეგიონებიდან.

ძალზე საინტერესო მასალები დაგროვდა 1896 წ. პეტერბურგში დაარსებული რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომელიც იკვლევდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ეთნო-ჯგუფების, ასევე სლავების და მათი მეზობელი ქვეყნების ეთნოგრაფიულ ყოფას.

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალები გროვდება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმების, ასევე საგუბერნიო და სა

მხარე მუზეუმების ფონდებში. კავკასიის რეგიონის, ასევე მისი მომიჯნავე არეალების მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციები თავს იყრიდა კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში /თბილისში/.

დღეისათვის მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მუზეუმებია- მოსკოვის, სსრკ ხალხთა მუზეუმი, რომელიც რუმიანცევის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა და ლენინგრადის სსრკ ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმი. მდიდარი და პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული კოლექციებია დაცული ყველა მოძმე რესპუბლიკის ცენტრალურ მუზეუმში.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც უამრავი ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა კოლექციების შეგროვება და თვით მუზეუმების განმსაზღვრელი პროფილის ჩამოყალიბება; ერთი მხრივ, ხდებოდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფის დემონსტრირება /ჰოლანდიის კოლონიალური მუზეუმი ჰარლემში, დაარსებული 1865 წ.; ლეიდენის მუზეუმი, დაარს. 1837 წ. ცენტრალური აფრიკის მუზეუმი ბრიუსელში, დაარს. 1897 წ. და სხვ./ მრავალფეროვანი ექსპონატებითა და ბუნების თავისებურებათა ჩვენებით, ხშირად ცალმხრივად, იზოლირებულად საერთო ისტორიულ-კულტური განვითარებიდან მოწყვეტით, თუმცა ეგზოტიკური ბუნების სახეებით და შესანიშნავი საგამოფენო მასალებით ეს მუზეუმები დიდძალ ხალხს იზიდავდა. მეორე მხრივ, ჩნდებიან მრავალპლანიანი ეთნოგრაფიული მუზეუმები, რომელთა კვლევა-ძიებაც წმინდა მეცნიერული ინტერესებით კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით წარიმართებოდა.

ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ყველაზე თვალნათლივ იგრძნობა მეცნიერული კვლევის კომპლექსური მეთოდის აუცილებლობა და

ეროვნული

სხვა მომიჯნავე დისციპლინების -არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის და სხვა მონაცემების გამოყენება. ამიტომაც იყო, რომ არაერთი მუზეუმი ჩამოყალიბდა შერეული პროფილით, მაგალითად, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი ლენინგრადში /აღმოცენდა კუნსტკამერის ბაზაზე/; კემბრიჯის /ინგლისი/, ჰარვარდის და პენსილვანიის /აშშ/ უნივერსიტეტების არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმები; ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი პარიზში /"ადამიანის მუზეუმი", შეიქმნა 1878 წ. დაარსებული ტროკადეროს მუზეუმის ბაზაზე, 1930 წ./ და სხვა. მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებთან სიახლოვის და პარალელების გამოა, რომ ეთნოგრაფიის განყოფილებები იქმნებოდა ისტორიული პროფილის ბევრ დიდ მუზეუმში /ბრიტანიის მუზეუმი- ლონდონში; აშმოლის მუზეუმი-ოქსფორდში.../. ეთნოგრაფიული პროფილი აქვს სხვადასხვა დასახელების მუზეუმებს, როგორიცაა- ხალხთმცოდნეობის მუზეუმები /დას. ბერლინში, მიუნხენში, ჰამბურგში, ვენაში.../, ქვეყნისა და ხალხის მუზეუმები პარიზსა და როტერდამში; ეთნოლოგიის მუზეუმი /ოსაკაში, იაპონია/ და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების მიხედვით ეთნოგრაფიული მუზეუმების ძირითადი და წამყვანი ნაწილის ჩამოყალიბება მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ეთნოგრაფიული მუზეუმის პროფილი, ზემოაღნიშნული მომენტების გათვალისწინებით უკვე ასე თუ ისე გამოკვეთილად გამოიყურება. ჩვენს საუკუნეში, აქ, ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება იშვიათ მოვლენათა ჯგუფს განეკუთვნება.

გარდა ზემოჩამოთვლილი მუზეუმებისა, მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციებია დაცული ნიუ-იორკისა /1869/ და ჩიკაგოს /1893/ ბუნებისმეტყველების მუზეუმებში; სტოკჰოლმის, კოპენ-

ჰაგენის, ლეიპციგის, დრეზდენის და სხვა ეთნოგრაფიულ მუზეუმებში.

დიდი წარმატებები აქვს, არცთუ დიდი ხნის წინ დაარსებულ /1974/ იაპონიის ეთნოლოგიურ ეროვნულ მუზეუმს ქ.ოსაკაში, რომელიც დღითი დღე ივსება ახალ-ახალი კოლექციებით მსოფლიოს ყველა კუთხიდან და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.

დღეს, ეთნოგრაფიული პროფილის მუზეუმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუზეუმებს "ღია ცის ქვეშ". დიდი ხანია ასეთი მუზეუმების შექმნის იდეა არსებობდა და იგი ჩანაფიქრის მიხედვით ეხმაურებოდა ძეგლებზე არქეოლოგიური მუზეუმების ჩამოყალიბების განზრახვას. იყო კიდევაც შექმნილი რამდენიმე ეთნოპარკი /მაგ., სტოკჰოლმში 1891 წ./, მაგრამ დღეს ამ იდეამ მიიღო სრულყოფილი სახე და იგი აუცილებელ მომენტად იქცა ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში. ეს საინტერესო იდეა წარმოშვა საექსპოზიციო ფართობის გაზრდის აუცილებლობამ, რადგანაც საქმე გვქონდა დიდგაბარიტიან მასალებთან /საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვ. ნაგებობანი, მოწყობილობანი/, და მცირემასშტაბიანი რეკონსტრუქციები და მულაჟები კი ნორმალური აღქმის საშუალებას არ იძლეოდა. ასე თანდათან ექსპონატების ერთმა ჯგუფმა დაიწყო გადანაცვლება საექსპოზიციო დარბაზებიდან ჯერ მუზეუმების ეზოებში და შემდეგ კი საამისოდ გამოყოფილ ვრცელ ტერიტორიაზე "ღია ცის ქვეშ". ასეთი შესაძლებლობების გაჩენის შემდეგ, შეზღუდვა ეთნოგრაფიული კოლექციების მოზიდვისა მუზეუმებში, გაბარიტების გამო, მოიხსნა. ეს საინტერესო და ზოგ შემთხვევაში გამოუვალი მდგომარეობის გამო წარმოშობილი იდეა განვითარდა სათანადოდ და მას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა, უპირატესად იმ აზრით, რომ "ღია ცის ქვეშ" გამოტანილი ექსპონატები რაც

შეიძლება მეტად დაუახლოვდეს მის ბუნებრივ გარემოს, ზედმიწევნით ზუსტი სურათის აღდგენით.

დღეისათვის ასეთი მუზეუმები საკმაოდ მომრავლდა და ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობენ /ნიდერლანდების მუზეუმი ღია ცის ქვეშ არნემში, დაარსებული 1912 წ. ბუქარესტის მუზეუმი დაარსებული 1936 წ. და სხვ./. ასეთივე მუზეუმი შეიქმნა თბილისშიც / ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი/ 1960 წ.

თანამედროვე ეთნოგრაფიული მუზეუმები, თავისი მრავალდარგობრივი ექსპოზიციებით მძლავრ სამეცნიერო უჯრედებს წარმოადგენენ, სადაც თვალნათლივ შეიძლება გავეცნოთ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მდიდარ და მრავალფეროვან ყოფით მასალებს, სულიერი კულტურის ამსახველ ექსპონატებს, რომელთა მეცნიერული შესწავლის შედეგადაც საზოგადოების ფართო წრეს შეუძლია წარმოდგენა იქონიოს ეთნიკური ჯგუფების სოციალური ვითარების, რწმენა-წარმოდგენების, მეურნეობის სახეების, კულტურის, ხალხური შემოქმედების, ყოფითი საქმიანობის და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ. ასეთ მუზეუმებში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ყოფის ასახვას და იმ დიდ გარდაქმნებს, რაც ცივილიზაციის შედეგად მიიღო ადამიანმა.

სამხედრო-ისტორიული მუზეუმები- აწარმოებენ სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, დროშების, დოკუმენტების, რელიკვიების და ომების ისტორიასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, დაცვას, მეცნიერულ შესწავლას და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას.

სამხედრო-ისტორიული მუზეუმები ისტორიული პროფილის მუზეუმების ერთ-ერთი მეტად პოპულარული სახეა, რომლებიც თა-

ვისი არსებობის მანძილზე თანდათანობით განვითარების და დახვეწის შედეგად დღეს წარმოგვიდგებიან მრავალდარგობრივი მეცნიერული მიმართულების დაწესებულებებად, როგორც ზოგადი განხრით, ისე დარგობრივი პროფილით /სამხედრო-საზღვაო, არტილერიის, ავიაციის.../. გარდა ამისა, სამხედრო-ისტორიულ მუზეუმებს შორის აღმოცენდნენ სხვა უჯრედებიც- სამხედრო-მემორიალური მუზეუმები; მუზეუმი-ძეგლები /ბრძოლების ადგილებზე/; სასწავლო მუზეუმები და სხვა.

სამხედრო-ისტორიულმა მუზეუმებმა განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლეს სამხედრო იარაღის მარტივი კოლექციებიდან თანამედროვე დიდ მუზეუმებამდე. გარდა ამისა, სამხედრო იარაღი ისტორიული პროფილის მუზეუმების მხრიდანაც არ იყო ყურადღებას მოკლებული და თანამედროვე მუზეუმების კოლექციებში მას არცთუ მცირე ადგილი უკავია.

შეიარაღების ნიმუშების კოლექციების აღმოცენება ადრეულ საფეხურებზე უპირატესად კერძო კოლექციონერებს უკავშირდება. რუსეთში ამ მხრივ დიდი გატაცება იგრძნობა -მაღალი ფენების წარმომადგენლები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ძველი თუ მათი თანადროული იარაღშექურვილობის მიმართ, რის გამოც მრავლდებოდა იარაღის კერძო კოლექციები. "იარაღის სასახლის" ძვირფასი ფონდების აღმოცენება ასეთი განსაკუთრებული ინტერესის გამოხატულება იყო. პირველი სამხედრო-ისტორიული მუზეუმი რუსეთში აღმოცენდა XVIII ს. დასაწყისში; 1702-1725 წწ. პეტრე I-ის მიერ გამოცემული იყო არაერთი ბრძანება რუსული და ტროფეული იარაღის, ასევე სამხედრო-საზღვაო გემების მოდელების შენახვის თაობაზე. პირველი ტროფეული საარტილერიო გამოფენა მოეწყო 1760 წ. მოსკოვში.

XIX საუკუნეში სამხედრო ისტორიული მუზეუმების ფონდები საგრძნობლად იზრდება. იზრდება თემატიკაც- ბრძოლების ისტორია, გამოჩენილი მხედართმთავრები, სამხედრო ტექნიკის კონსტრუქტორები, გამომგონებლები, იარაღის ცნობილი ოსტატები და სხვ. ასე, ცალკეული თემების მიხედვით ხდებოდა კოლექციების შევსება და ექსპონირება, თუმცა ცენტრალური სამხედრო-ისტორიული მუზეუმები მხოლოდ სამხედრო სპეციალისტების ვიწრო წრისათვის იყო განკუთვნილი და სახალხო აღიარება მათ არა ჰქონიათ. ზოგი სამხედრო მუზეუმი მაგ., თბილისის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, /არსებობდა 1822-1917 წწ./, ცარიზმის საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას ისახავდა მიზნად და კოლექციებიც ასეთ თვალსაზრისით იყო შერჩეული.

სამხედრო მუზეუმები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაუქმებული იქნა. არსებული მასალების გადახალისების და რეორგანიზაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ახალ სამხედრო-ისტორიულ მუზეუმებს. წითელი არმიის პირველი მუზეუმები დაარსდა 1919 წ. მოსკოვში და 1920 წ. პეტროგრადში. 1971 წლისათვის სსრკ არსებობდა 75 სამხედრო-ისტორიული მუზეუმი.

სსრკ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამხედრო-ისტორიული მუზეუმებია: სსრკ შეიარაღებული ძალების ცენტრალური მუზეუმი მოსკოვში; სამხედრო-საზღვაო ცენტრალური მუზეუმი ლენინგრადში; სსრკ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მედიცინის მუზეუმი ლენინგრადში და სხვა.

სამხედრო ისტორიული ხასიათის მნიშვნელოვანი კოლექციები-იარაღი, დროშები, საბრძოლო დიდების რელიკვიები და

სხვა თავმოყრილია სსრკ სხვა დიდ მუზეუმებშიც- ერმიტაჟში, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, იარაღის სააახლეში, რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში.

უცხოეთის მნიშვნელოვანი სამხედრო-ისტორიული მუზეუმებიდან შეიძლება დავასახელოთ: ინგლისში- საიმპერიო სამხედრო მუზეუმი /ლონდონი, 1917/; ტაუერი /ლონდონი, იარაღ-საჭურველი შუა საუკუნეებიდან დაწყებული/; საზღვაო-მუზეუმი /გრინვიჩი, 1934/; საფრანგეთში: "ინვალიდების სახლი" /პარიზი 1670/; არმიის მუზეუმი /პარიზი, 1905/; ომის მუზეუმი /პარიზი, 1918 წ./; სამხედრო-საზღვაო მუზეუმი /პარიზი, 1827/; იტალია: სანტ-ანჯელოს ციხე-სიმაგრის მუზეუმი /რომი 1925/; "არმერია რეალე " /ტურინი, 1837/; საზღვაო მუზეუმი /გენუა/; აშშ- ნაციონალური მუზეუმი /ვაშინგტონი/; მეზღვაურთა მუზეუმი /ნიუპორტი, 1930/; მეტროპოლიტენ მუზეუმი /ნიუ-იორკი, აქაა იარაღის და სარაინდო შეჭურვილობის ისტორიის განყოფილება/; ესპანეთი: მადრიდის სამხედრო /1804/ და საზღვაო /1843/ მუზეუმები, ბარსელონის ზღვაოსნობის მუზეუმი; შვეცია: სამეფო არმიის მუზეუმი /სტოკჰოლმი, 1879/; საზღვაო-მუზეუმი /სტოკჰოლმი, 1938/; დანია: სამეფო მუზეუმ-არსენალი /1838/; იაპონია: იცუკუსიმას ტაძრის მუზეუმი /ხიროსიმას პრეფექტურა, 1845, სამურაების იარაღის კოლექციები/.

<u>სამხატვრო მუზეუმები</u>. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული პროფილის მუზეუმებიდან ფართო წრის დამთვალიერებლებისათვის წმინდა შემეცნებითი თვალსაზრისით, სამხატვრო მუზეუმები ყველაზე უფრო პოპულარულია. აქ საქმე ეხება ადამიანის შემოქმედების მწვერვალებს, ხელოვნების მაღალი ოსტატობით შექმნილი უნაზესი ქმნილებების ვიზუალურ აღქმას და განცდას, რაც მნახველში ყოველთვის სათუთ გრძნობებს იწვევდა.

სამხატვრო მუზეუმების ორგანიზაცია, სტრუქტურა და მოღვაწეობა განისაზღვრება იმ კოლექციების მიხედვით, რომლებიც დაცულია აღნიშნულ დაწესებულებებში. არსებული კოლექციებითვე ყალიბდება მთლიანად მუზეუმის საპროფილო სახეც, რომელიც განმსაზღვრელია და წამყვანი ყველა მუზეუმში / ფერწერა, სკულპტურა, არქიტექტურა.../, თუმცა უნდა ითქვას, რომ უდიდესი სამხატვრო მუზეუმები კომპლექსური ხელოვნებათმცოდნეობითი მიმართულებით ხასიათდებიან.

სამხატვრო მუზეუმები ხელოვნების პროფილის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც აწარმოებენ სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების მოძიებას, მეცნიერულ შესწავლას, ექსპონირებას და პოპულარიზაციას. სამუშაოების ეს ციკლი ხელოვნების ყველა მუზეუმში შრომატევადია და მნიშვნელოვნად დაკავშირებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო საქმიანობასთან.

თუ მუზეუმთმცოდნეობაში არსებული მუზეუმების წარმოშობის იმ თეორიას გავყვებით, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ეძლევა ადამიანის შემეცნებაში ესთეტიკურ ტკბობას, სიმშვენიერის ამაღლებული გრძნობების ემოციებს, მაშინ ხელოვნების მუზეუმების წინა სახეები, სწორედ ამდაგვარი კოლექციებით შეიქმნება წარმოვიდგინოთ და მათი ისტორია დავიწყოთ ძველი რომის ეკლესია-მონასტრების განძეულობებით, ტაძრებით, და ხელოვნების იმ ნიმუშებით, რომელთაც თავს უყრიან აღორძინების ხანაში, და რომელთაც შევს ლუვრი პარიზში, ერმიტაჟი პეტერბურგში; პრადო მადრიდში და სხვა.

ევროპის ხელოვნების მუზეუმების წარმოშობის და ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირების ისტორია მრავალსაუკუნოვანია, ის დასრულდა XIX საუკუნეში, როცა მუზეუმები ხელმისაწვდომი შეიქმნა ფართო საზოგადოებისათვის, როცა "სასახლეების ხელოვნებამ" ხალხში გადმოინაცვლა.

სამხატვრო მუზეუმებში კოლექციების დამუშავება და ექსპონირება ისტორიული პრინციპით წარიმართება, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელსაც ენაცვლება სამხატვრო სკოლები რეგიონების მიხედვით. ასე ჩამოყალიბდა სტრუქტურული დანაყოფები მსხვილ მუზეუმებში- საბერძნეთ-რომისა, აღორძინების ხანისა, ისლამის ხელოვნებისა და სხვ. საბჭოთა კავშირში ხელოვნების მუზეუმი არსებული სტრუქტურით, რომელიც კოლექციების ხასიათზეა დამყარებული, გაირჩევა: ეროვნული ხელოვნების /ყველა რესპუბლიკაში/; რუსული ხელოვნების /ტრეტიაკოვის გალერეა, რუსული მუზეუმი/; საზღვარგარეთის ხელოვნების /პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი/; ხალხური ხელოვნების /მოსკოვში და ზოგიერთ რესპუბლიკების დედაქალაქებში/ და სხვა მუზეუმები.

ხელოვნების მუზეუმების ერთი ჯგუფი ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა ნამუშევრებითაა წარმოდგენილი /როდენის და ბურდელის მუზეუმები პარიზში, პიკასოს მუზეუმი პარიზსა და ბარსელონაში, სალვადორ დალის მუზეუმი ფიგერასში, მ.შაგალის მუზეუმი ნიცაში და სხვა/.

ხელოვნების მუზეუმების კოლექციების პოპულარიზაცია ხდება არა მარტო უშუალოდ მუზეუმებში არსებული ექსპოზიციების მეშვეობით, არამედ დიდი რაოდენობის კატალოგებით, ალბომებით, ღია ბარათებით, სლაიდებით. პოპულარიზაციის ეს ხერხი ფართოდაა დღეისათვის გავრცელებული.

მიუხედავად აღნიშნული სამხატვრო მუზეუმების ცალ-

კაული პროფილით დანაწილებისა, ხსენებული მუზეუმები მაინც კომპლექსურ დაწესებულებებს წარმოადგენენ, სადაც დაცულია და ექსპონირებული ხელოვნების მომიჯნავე დარგების ნიმუშები /ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, ოქრომჭედლობა.../. მსოფლიოს დიდი სამხატვრო მუზეუმები სწორედ ასეთი სინთეზური კოლექციებით წარმოგვიდგებიან. დღეს სამხატვრო მუზეუმების აღიარებულ ლიდერებად არიან ჩათვლილი ერმიტაჟი /ლენინგრადი/, ლუვრი/ პარიზი/, ბრიტანეთის მუზეუმი /ლონდონი/; მეტროპოლიტენ მუზეუმი /ნიუ-იორკი/; ვატიკანი /რომი/, პრადო/მადრიდი/.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ისტორიული პროფილის რამდენიმე წამყვანი სამუზეუმო დაწესებულება, მაგრამ ეს სია, რა თქმა უნდა, სრული არ არის. განსაკუთრებით დღეს, როცა სამუზეუმო ცხოვრება დიდ აღმავლობას განიცდის, მნიშვნელოვან სამუზეუმო ცენტრებად იქცნენ რევოლუციური ცხოვრების ამსახველი მუზეუმები, რომლებიც ყველა მოძმე რესპუბლიკაში დიდსა და მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან რევოლუციის ცალკეული საკითხების შესწავლასა და გამომზეურებაში, რევოლუციური მონაპოვრის პროპაგანდაში. დიდი პოპულარობა მოიპოვეს მემორიალურმა მუზეუმებმა, რომელთა რიცხვიც ყოველდღიურად იზრდება. გამოჩენილ რევოლუციონერთა, პოლიტიკურ, სამხედრო თუ საზოგადოებრივ მოღვაწეთა, გამოჩენილ მწერალთა, ხელოვნების სახელმოხვეჭილ ოსტატთა მრავალდარგობრივი პროფილით წარმოდგენილი მემორიალური მუზეუმები დღევანდელი კულტურული ცხოვრების განუყრელ თანამგზავრებად იქცნენ და დიდი პოპულარობა მოიპოვეს. ასევე აღსანიშნავია ლიტერატურის, ხელოვნების და სხვა მუზეუმები.

## საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმები

ზოოლოგიური მუზეუმები - სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც თავმოყრილია ზოოლოგიური კოლექციები და მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ცხოველთა სამყაროს სისტემატიკის, ფაუნისტიკის, ზოოგეოგრაფიის, ცხოველთა შედარებითი მორფოლოგიის და ანატომიის, ცხოველთა სამყაროს ისტორიული განვითარების, ევოლუციის თეორიის და სხვა პრობლემებზე.

ზოოლოგიური მუზეუმების მეცნიერული მიღწევების პროპაგანდის ძირითადი სახეა ექსპოზიცია. ამასთანავე ისინი ეწევიან საგანმანათლებლო სამუშაოებს მოსახლეობაში, ასევე კონსულტაციებს სათანადო ორგანიზაციებში ზოოლოგიის პრობლემურ საკითხებზე, ბუნების დაცვის და პოპულარიზაციის პრობლემებზე, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, სამონადირეო მეურნეობების მეცნიერულად დასაბუთებული ექსპლუატაციის და ბუნების დაცვის პრობლემებზე.

ზოოლოგიურ მუზეუმებში ფონდები დალაგებულია მიღებული ნომენკლატურული სისტემატიკის წესზე. ცხოველთა ცალკეული სახეები წარმოდგენილია სხვადასხვა სქესის და ასაკის მიხედვით გეოგრაფიული წარმომავლობის თავისებურებების გათვალისწინებით, კოლექციები დაყოფილია ორ ჯგუფად: რომლებიც გამოტანილია ექსპოზიციაში და უშუალოდ მეცნიერულ პროპაგანდას ემსახურება და, რომლებიც დაცულია ფონდებში.

ზოოლოგიურ მუზეუმებში საფონდო საქმიანობა რთული პროცესებით ხასიათდება. მასალის მიღების შემდეგ ციკლი გულისხმობს შრომატევად ოპერაციებს ექსპონატისათვის საჭირო საკოლექციო სახის მისაცემად. არსად მუზეუმში ისე უხვად არ გამოიყენება დამხმარე საექსპოზიციო მასალები, როგორც ზოოლოგიურ

მუზეუმებში /გაპრეპარების რუკები, რეკონსტრუქციები, აღმოჩე-
ნის ბუნებრივი გარემოს ფოტოები და სხვ./.

ზოოლოგიურ მუზეუმებს შემეცნების დიდი ეფექტურობა ახასიათებს და ისინი მჭიდროდ იქმნებიან სასწავლო პროცესის დაჩქარების მიზნით უნივერსიტეტებთან და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან.

საბჭოთა კავშირში ყველაზე მსხვილი ზოოლოგიური მუზეუმებია ლენინგრადში, მოსკოვსა და კიევში. ლენინგრადის მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუზეუმია მსოფლიოში, რომელიც დაარსებულია 1832 წ. კუნსტკამერის ბაზაზე, ეკუთვნის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს. მის ფონდებში დაცული 15 მილიონზე მეტი ექსპონატი. მოსკოვში ზოოლოგიური მუზეუმი ეკუთვნის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი დაარსდა 1791 წ. როგორც ბუნების ისტორიის კაბინეტი /დამთვალიერებელთათვის გაიხსნა 1805 წ./. კიევის ზოოლოგიური მუზეუმი ეკუთვნის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს. გარდა ამისა ზოოლოგიური განყოფილებები არსებობს საბჭოთა კავშირის ბევრ სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში. მნიშვნელოვანი ზოოლოგიური კოლექციებია თავმოყრილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებაში.

უცხოეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი კოლექციებია თავმოყრილი საბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმებში /ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმი ნიუ-იორკში; ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი ვაშინგტონში; ბუნების ისტორიის მუზეუმი ჩიკაგოში. ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი პარიზში; ბრიტანეთის მუზეუმის საბუნებისმეტყველო სექტორი, ლონდონში/. აქვე უნდა დავასახელოთ უნივერსიტეტებთან და ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიის ინსტიტუტებთან არსებული ცნობილი ზოოლოგიური მუზეუმ_ჰი- ბერლინში/ გდრ/, ვენაში, პრაღაში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში და სხვ.

ზოოლოგიურ მუზეუმებში საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობს, რაც ასახვას პოულობს პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში, მონოგრაფიებში, და უამრავ საცნობარო ლიტერატურაში.

ბოტანიკური მუზეუმები სამეცნიერო დაწესებულებებია, რომლებიც აგროვებენ ბოტანიკურ კოლექციებს, იცავენ მათ, სისტემაში მოყავთ და გამოაქვთ ექსპოზიციებში. ისინი აწარმოებენ აგრეთვე სამეცნიერო კვლევას და ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას, მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას ბოტანიკური მეცნიერების მიღწევების, ასევე ბუნების დაცვის და ადამიანის ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური პირობების შესახებ. ევროპის და ამერიკის ქვეყნებში- აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, ნორვეგიაში და სხვ როგორც წესი, ბოტანიკური მუზეუმები არსებობენ საბუნებისმეტყველო -ისტორიულ, მხარეთმცოდნეობის და სხვა მუზეუმებში ან ბოტანიკურ ბაღებში როგორც ცალკე განყოფილებები. ასეა მაგალითად, ჩიკაგოს ბუნების ისტორიის მუზეუმში, სადაც ბოტანიკური განყოფილება წარმოდგენილია მცენარეთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი ექსპოზიციით და ფაქტიურად ის ქმნის ტონს ზოოლოგიური ექსპონატებისათვის.

საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან ბოტანიკურ მუზეუმს წარმოადგენს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბოტანიკურ ინსტიტუტთან არსებული ბოტანიკური მუზეუმი, რომელიც დაარსდა საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღთან 1823 წელს. ბოტანიკური განყოფილებები არსებობს ზეგ

სამხარეთმცოდნეო მუზეუმთან, მუზეუმები კი უნივერსიტეტებთან და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან. საინტერესო ბოტანიკური კოლექციებია თავმოყრილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკის განყოფილებაში. აქ, ყველაზე ძველი კოლექცია თარიღდება 1804 წლით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მუზეუმებისა, საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმებში შეიძლება გავიხსენოთ პალეონტოლოგიური და მინერალოგიური მუზეუმები, რომლებშიც მნიშვნელოვანი კოლექციებია თავმოყრილი პროფილის მიხედვით.

კომპლექსური მუზეუმები

როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი კომპლექსური ხასიათისაა, სადაც წარმოდგენილია როგორც ისტორიული ისე საბუნებისმეტყველო პროფილების უჯრედები. ასეთ შერეული პროფილის მუზეუმებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს უწოდებენ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმებიც სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, სადაც ხდება ფართო პროფილის კოლექციების- საბუნებისმეტყველო, ნივთიერი და სულიერი კულტურის, ყოფითი მასალების შეკრება, დაცვა-მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება და მეცნიერული პროპაგანდის წარმოება. მუზეუმებში მხარეთმცოდნეობითი პროფილის ჩამოყალიბება ადრევე შეინიშნება და ის დაკავშირებულია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პოპულარიზაციასთან. მას დიდი გაქანება ეძლევა განსაკუთრებით XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში. კომპლექსურ მუზეუმებს შორის ყველაზე ცნობილი და დიდია ბრიტანეთის მუზეუმი ლონდონში / ამჟამად, მისი საბუნებისმეტყველო სექციები ტერიტორიულად გამოყოფილია ძირითადი მუზეუმისაგან და ცალკე აქვს ექსპოზიციები/.

რუსეთში სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსება- არ-მიეკუთვნება ხდება XIX საუკუნეში. ისინი ყალიბდება ძირითა-დად სასწავლებლებთან, გეოგრაფიულ საზოგადოებებთან. XIX საუკუნის შუა ხანებში 12 ასეთი მუზეუმი იყო- ბარნაულში, ირკუტსკში, ორენბურგში, თბილისში და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისში არსებული კავკასიის მუზეუმი / დღეს საქ.სახელმწიფო მუზეუმი/, რომე-ლიც იმთავითვე ერთ-ერთი მეტად საინტერესო კომპლექსური ხა-სიათის მუზეუმს წარმოადგენდა.

სამხარეთმცოდნეო მუზეუმების ქსელი საბჭოთა კავშირ-ში განსაკუთრებით იზრდება 20-იანი წლებიდან, როდესაც ფარ-თო მასშტაბის კულტურული საქმიანობა საერთო-სახელმწიფო მო-ძრაობაში გადაიზარდა და მიზნად ისახავს ყოფილ ჩამორჩენილ გუ-ბერნიებში კულტურული დონის ამაღლებას. ამ დროს 250-ზე მეტი მუზეუმი დაარსდა და ამოქმედდა, რამაც ძლიერ შეუწყო ხელი სამხარეთმცოდნეო მოძრაობას. 1920 წლიდან მოქმედებდა მხარეთ-მცოდნეობის ცენტრალური ბიურო, ხოლო 1931 წ. კი სამხარეთმცო-დნეო სამუშაოების მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ დროს გამოდიოდა ჟურნალები " Краеведение " და " Совет - ское краеведение ". 1940 წლისათვის მხარეთმცოდნეობის მუზე-უმების რიცხვმა 400 მიაღწია.

აღნიშნული მუზეუმების კომპლექსური პროფილის შესა-ბამისად მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ჩამოყალიბდა და დად-გინდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დისციპლინების სტრუქტურული სახე, რომელიც მოიცავს სამ დიდ საბუნებისმეტყ-ველო, ჰელოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ განყოფილებებს.

# თ ა ვ ი III

## სამუზეუმო საქმიანობის შინაარსი და განვითარების ეტაპები

მუზეუმი რთული ორგანიზაციული აპარატია და მის მიერ განხორციელებულ სამუშაოთა მოცულობა მეტად რთული და მრავალფეროვანია. საქმეში ჩაუხედავი პირისათვის, რომელიც მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებს ათვალიერებს, ალბათ ძნელი მისახვედრი იქნება, რომ სანამ ნივთი იქცევა სამუზეუმო საგნად, ადგილს დაიკავებდეს ექსპოზიციაში და უშუალოდ შემეცნების წყაროდ იქცეოდეს, ძნელი და რთული გზა უნდა გაიაროს. სწორედ ეს გზა განსაზღვრავს მუზეუმის მუშაობის შინაარსს და სპეციფიკურ მხარესაც. მოკლედ რომ ითქვას, სანამ ნივთი იქცევა შემეცნების საგნად ფართო აუდიტორიისათვის ცალკეული ეტაპები უნდა გაიაროს. ეს საფეხურებია: ნივთის მიკვლევა და განსაზღვრა მისი სამუზეუმო მნიშვნელობისა; მისი მოძიება და მოტანა მუზეუმში; შემოსვლის სათანადოდ ფიქსირება; წინასწარ დამუშავება; დავთარში გატარება და საკოლექციო ნომრის მიცემა; ფონდში დაუნჯება; მეცნიერული დამუშავება; ექსპონირება; მისი პოპულარიზაცია.

### მოძიებით- შემგროვებლობითი საქმიანობა

შემგროვებლობითი საქმიანობა ყველა მუზეუმის მუშაობის სპეციფიკის ძირითადი მხარეა, განურჩევლად იმისა, თუ რა პროფილის მუზეუმთანა გვაქვს საქმე. მარტივად რომ ვთქვათ, ეს გულისხმობს სამუზეუმოდ საჭირო ნივთების შეგროვებასა და მოტანას მუზეუმში ძირითადი ფონდის შესავსებად და გასამდიდრებლად.

საერთოდ, სამუზეუმო ნივთის მუზეუმში მოხვედრის სამი საშუალება არსებობს- შემოწირულობის გზით / კერძო პირთაგან თუ ორგანიზაციებიდან/; შესყიდვით და უშუალოდ მუზეუმის მიერ შემკრებლობითი საქმიანობის მეშვეობით. პირველი ორი გზის შესახებ არაფერს ვიტყვით, რამდენადაც ეს გასაგებია და განსაკუთრებულ განმარტებას არ მოითხოვს.

რაც შეეხება შემკრებლობას, ეს რთული გზაა და გულისხმობს სამუზეუმო საქმიანობის კომპლექსურ ღონისძიებებს, მის სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საექსპოზიციო მუშაობასთან დაკავშირებით.

ახალი სამუზეუმო კოლექციების შეგროვება და მუზეუმში მოტანა, ძირითადი ფონდის გამდიდრება და შევსება ყველა მუზეუმის ყოველდღიურ საზრუნავს შეადგენს, რამდენადაც ეს არის მთავარი საშუალება ექსპოზიციების და ფონდების შევსებისა და სრულყოფისათვის.

ძირითადი ფონდის ყოველდღიური შევსების, ახალი კოლექციების მეცნიერული პირველწყაროების სისტემური და გეგმაზომიერი მოძიების გარეშე, ძნელია წარმოვიდგინოთ ექსპოზიციების გაშლა-განახლება, სამეცნიერო კვლევა-ძიების და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სამუშაოების გაღრმავება, ეს არის მუზეუმების წარმატებით მოღვაწეობის მთავარი პირობა.

კარგად არის ცნობილი, რომ ყოველგვარი მუზეუმის დაარსება-ჩამოყალიბება და სამუზეუმო ფუნქციის განსაზღვრა მთლიანად ემყარება სამუზეუმო კოლექციების შევსებას, დაცვას და ექსპონირებას, ისე რომ მუზეუმისათვის უმთავრესი პირობაა სამუზეუმო კოლექციების მოპოვება და ფონდების შექმნა. მაგრამ ეს სრულიადაც არ გულისხმობს, რომ ყველა კოლექცია, თუ სამუ-

ზეუმო ნივთი აუცილებელია ექსპოზიციის საგნად
შემთხვევაში ამა თუ იმ თემის გასახსნელად საჭიროებ
დებიდან მხოლოდ უმთავრესი ნაწილია ექსპონირებული. მხედვე-
ლობაშია მისაღები, რომ მუზეუმები არა მხოლოდ სამეცნიერო-
საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, ისინი ამა-
ვე დროს მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით უჯრედებად გვევ-
ლინებიან. აქედან გამომდინარე მოძიებითი სამუშაოების დაგე-
გმვის დროს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მასალების
მოძიებას უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხო-
რციელების საჭიროებისათვის; მუზეუმების პროფილის შესაბამი-
სად.

აღნიშნული მომენტის შეუფასებლობამ ან იგნორირებამ
შეიძლება დიდი ზარალი მიაყენოს მეცნიერებისა და კულტურის
განვითარებას. ცხოვრებამ არაერთი მაგალითი გვიჩვენა, რომ
მუზეუმების მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სა-
მუშაოები მასშტაბურობითა და შესრულების დონით მათ მიერ გა-
წეული სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის გვერდით,
მნიშვნელოვანი შენაძენია მეცნიერების განვითარებაში.

სამწუხაროდ, ზოგი მუზეუმის ცხოვრებაში, კერძოდ კი
მოძიებითი სამუშაოების განხორციელებისას, თავს იჩენდა ტენ-
დენციები- თავი მოეყარათ მუზეუმებში მხოლოდ და მხოლოდ,
ექსპოზიციებისათვის გამიზნული მასალებისათვის, რაც პრინცი-
პულად არასწორად უნდა ჩაითვალოს, ასეთი ცალმხრივი მიდგომა
ზარალს აყენებს ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვის დიდ-
მნიშვნელოვან, სახელმწიფოებრივ საქმეს. გარკვევით უნდა ით-
ქვას, რომ საჭიროა ესა თუ ის ნივთი შეფასდეს არა მხოლოდ
დოევანდელობის პოზიციებიდან, არამედ მისი პოტენციური მეც-
ნიერული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ასეთი გონიერული და ფრთხილი მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე ცხოვრებისეულიძეგლების ამსახველი, ასევე ყოფითი საგნების მოძიების საქმეში; საქარხნო წარმოების მზარდი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, ტექნიკური პროგრესი, აჩქარებს ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური ყოფის თუ სამეურნეო საშუალებების ფუნქციონალურად განდევნილი საგნების წარმოებას და გამოყენებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის განვითარების შესწავლაში, და რომლის პოტენციური, ისტორიული ღირებულებაც დღითი დღე მატულობს. ისე რომ მუზეუმების მოძიებით-შემგროვებლობით საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუზეუმო ფონდებში კულტურის ძეგლების თავმოყრა და სადღეისო თუ პოტენციური, ისტორიულ თუ მხატვრულ ღირებულებათა გათვალისწინებით, და არა იმ მოტივით- დაიჭერენ თუ არა თავის ადგილს ექსპოზიციაში, მოძიებისთანავე.

ჩვენი ქვეყნის მუზეუმების უპირველესი ამოცანაა, როგორც ვთქვით, მოიძიონ და ფონდებში დააუნჯონ ისტორიული, მხატვრული, ასევე ბუნებიდან აღებული მეცნიერული ღირებულების მქონე ძეგლები და გულდასმით შესწავლის შედეგად აქციონ ისინი მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის წყაროდ, ამდენად, მუზეუმებში თავს იყრის ეროვნული ღირებულების მქონე დიდძალი მასალა, რითაც მუზეუმები ახორციელებენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმიანობას. 1948 წ. 14 ოქტომბერს სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ "კულტურის ძეგლების დაცვის დებულებაში" ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ " სსრკ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ყველა ძეგლი, რომელსაც აქვს სამეცნიერო, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა წარმოადგენენ საერთო-სახალხო საკუთრებას და იმყოფებიან სახელმწიფო დაცვის ქვეშ".

აქვეა მითითებული, რომ "კულტურის ძეგლების" კოლექციების მთავარ საცავებს წარმოადგენდნენ მუზეუმები". ისე რომ სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტებას მუზეუმებში მტკიცე სახელმწიფოებრივი საფუძველი აქვს, რომლის განხორციელებაც უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით.

ნებისმიერი სამუზეუმო ნივთის თუ კოლექციის მეცნიერული, ისტორიულ თუ მხატვრული ღირებულების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი მეცნიერული ანალიზის შედეგად. სწორედ კარგად აწყობილი მეცნიერული კვლევა იძლევა გარანტიას მოძიებითი საქმიანობის მაღალ დონეზე შესასრულებლად, რაც ნაყოფს იძლევა როგორც საექსპოზიციო, ისე პროპაგანდისტული საქმიანობის გაშლისას.

მოძიებითი ხასიათის სამუშაოების განხორციელებისას, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ მუზეუმს ახასიათებს პროფილის შესაბამისად. ეს მომენტი უმთავრესია ფონდების დაკომპლექტების დროს. რაც უფრო ფართოპროფილიანია მუზეუმი, მით უფრო ვრცელია მისი ასპარეზი და მოძიებითი სამუშაოებიც მრავალფეროვანია. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ხასიათის ძეგლები შეიძლება რიგი თავისებურებების გათვალისწინებით მოძიებულ იქნეს და მოხვდეს სხვადასხვა პროფილის მუზეუმებში ისე, რომ არ დაირღვეს პარალელიზმის პრინციპი.

მუზეუმში ნივთების მოზიდვა არამც და არამც არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და ის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად, რისთვისაც საჭიროა მუშაობა წარმოებდეს მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით. ასეთი სამუშაოების დაგეგმვა, რა

თქმა უნდა, დაკავშირებულია სიძნელეებთან და მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, რაც თავისებურ მიდგომას საჭიროებს, თუმცა უმთავრესი- რაც გულისხმობს მოძიებით საქმიანობის დაკავშირებას სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საექსპოზიციო მუშაობასთან პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული.

მოძიებითი სამუშაოების დაგეგმვის უპირველესი ამოცანაა, გამახვილდეს ყურადღება ისეთ მასალებზე, რომელიც მუზეუმში აწ არ არის, ანდა სუსტადაა წარმოდგენილი. ამისთვის საჭიროა მუზეუმის ფონდების ზედმიწევნით ცოდნა. ასევე გასათვალისწინებელია ამა თუ იმ, მუზეუმისათვის საჭირო საგნების მიღების რეალური შესაძლებლობები. არქეოლოგიურმა მუზეუმმა, რომელსაც არ გააჩნია მაგალითად, გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა, შეიძლება მიზნად დაისახოს მისი მოძიება და ის რეალური იქნება თუ ასეთი ძეგლები ხელმისაწვდომია აღნიშნულ რეგიონში, მაგრამ თუ ხელოვნების მუზეუმს სუსტად აქვს წარმოდგენილი ან არა აქვს აღორძინების ხანის ნახატების ნიმუშები, უაზრობა იქნება გეგმით დაისახოს მიქელანჯელოს, რაფაელის და სხვათა ნამუშევრების მოძიება. ასეთი რამ მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისით ხდება, ე.ი. მოძიებითი სამუშაოების დაგეგმვა რეალურ შესაძლებლობებს უნდა ითვალისწინებდეს.

მოძიებითი სამუშაოების განხორციელების მრავალი გზა არსებობს. ყველაზე ეფექტურია და სანდო, ადგილზე კარგად ორგანიზებული ექსპედიციების მოწყობა და მივლინებები, რომელთაც წინ უნდა უძღოდეს სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება, ადგილზე ან წინასწარული მოსამზადებელი საქმიანობის განხორციელება, გამოკითხვის, სათანადო ლიტერატურის, დოკუ-

მეწღების თუ სხვა მასალების გულდასმით დამუშავების გზით.

სამუზეუმო კოლექციების მოძიება და შეგროვება, მუზეუმებში მოტანა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამდენად აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას მუზეუმები ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ. სწორედ მათი დახმარებით შეიძლება ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარება. ასეთი საქმიანი ურთიერთობის არაერთი მაგალითი ვიცით და სწორედ პრაქტიკა გვკარნახობს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით და თანამშრომლობით მუშაობას სამუზეუმო კოლექციების მოძიებისას. ამავე დროს, გასათვალისწინებელია თუ რა დახმარება შეუძლიათ აღმოუჩინონ მუზეუმებს მოძიებითი სამუშაოებისას ადგილობრივმა მოსახლეობამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ, ადგილობრივმა მხარეთმცოდნეებმა, რომელთა შორისაც არცთუ იშვიათად ვხვდებით ბუნებისა თუ კულტურის ძეგლების შესანიშნავ მცოდნეებს, კოლექციონერებს, მათი ცოდნის და მონდომების დახმარებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა ასეთ პირებთან, ადგილზე საუბრების ჩატარება, ახსნა-განმარტება, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მოძიებით სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის და დაცვის თვალსაზრისით. ასეთი ურთიერთობა სამუზეუმო კოლექციების მოძიების თვალსაზრისით შეიძლება განხორციელდეს როგორც ადგილზე ისე შესაბამისი პირთა მუზეუმებში მოწვევით მათთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით.

ყველაზე ეფექტური საშუალება სამუზეუმო კოლექციების მოძიებისათვის არის საექსპედიციო სამუშაოების წარმოება. ექსპედიციები როგორც წესი თემატური ხასიათისაა და ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით ატარებენ სამუშაოებს.

უფრო მრავალფეროვანია და შედეგიანობითაც გამოირჩევა კომპლექსური ექსპედიციები, მართალია, ექსპედიციების, განსაკუთრებით კი კომპლექსური ექსპედიციების ორგანიზება დაკავშირებულია სირთულეებთან, მაგრამ ისინი მაღალი ეფექტურობით ხასიათდებიან. კომპლექსური ექსპედიციების ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ცალკეულ მუზეუმებში, ისე სხვადასხვა მუზეუმების თუ სამეცნიერო დაწესებულებების ერთობლივი ღონისძიების შედეგად.

კარგად ორგანიზებული ექსპედიციების თუ მივლინებების განხორციელების შედეგად მოძიებული მასალები, კერძო პირთაგან შემოსული მასალებისაგან განსხვავებით, სრულად არის ფიქსირებული და უფრო ზუსტი ცნობებით არის აღჭურვილი, რაც ასერიგად არის საჭირო კოლექციის შესასწავლად და მეცნიერული ატრიბუციის შესადგენად. ნივთის შესახებ ამომწურავი ცნობების შეგროვება, მასალის აღწერა და დაწვრილებითი ანგარიშის შედგენა, რაც უშუალოდ მოძიების ადგილზე უნდა განხორციელდეს, უმთავრესი პირობაა მოძიებითი სამუშაოების განხორციელებისას. ყოველივე ეს საგრძნობლად აადვილებს კოლექციის თუ ნივთის შემდგომ /უკვე მუზეუმის კედლებში/ დამუშავებას და მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანას.

## საფონდო სამუშაოები

### სამუზეუმო ნივთების აღრიცხვა. ფონდების ინვენტარიზაციის და დაცვის ძირითადი პრინციპები

სამუზეუმო საქმიანობაში მოძიებითი სამუშაოების შემდგომი ეტაპია და სამუზეუმო ცხოვრების ერთ-ერთ განმსაზღვრელ და მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საფონდო სამუშაოები, იგი მოიცავს შრომატევადსა და მრავალფეროვან ციკლს ნივთის მუზეუმში მოსვლიდან [illegible] ფონდში დაუნჯებამდე. შუალედური

ჯაჭვი გულისხმობს ნივთის კამერალურ დამუშავებას, სათანადო გაფორმებას დოკუმენტურად და სხვა მომენტებს, რომლითაც შესახებაც გზადაგზა შევჩერდებით.

სამუზეუმო ფონდები- როგორც მატერიალური ფასეულობანი ზუსტ აღრიცხვასა და გარანტირებულ დაცვას მოითხოვს. ერთიცა და მეორეც საჭირო და აუცილებელი საქმიანობაა, რამდენადაც საქმე ეხება სახელმწიფო საკუთრების აღრიცხვასა და დაცვას. სამუზეუმო კოლექციის მხატვრული და მეცნიერული ღირებულების გარეშე, რის გარანტიასაც მისი შემოსავლის ზუსტი და სწორი აღრიცხვა იძლევა, ნივთი კარგავს თავის მნიშვნელობას და არცთუ იშვიათად ასეთი ნივთები, რომლის წარმომავლობის და ზუსტი კოორდინატების შესახებ არაფერი ვიცით, იქცევიან მუზეუმისათვის ზედმეტ ტვირთად.

ნებისმიერი მუზეუმის ნორმალური მუშაობის ყველაზე უმთავრესი და აუცილებელი პირობაა სამუზეუმო კოლექციების კარგად ორგანიზებული აღრიცხვიანობა.

## სამუზეუმო ნივთების პირველადი აღრიცხვა

ყველა ნივთი, რომელიც მუზეუმშია დაცული, უფრო სწორად, მუზეუმის ფარგლებში იმყოფება, მიუხედავად იმისა, ფონდშია თუ ექსპოზიციაში, აუცილებლად საჭიროა არსებული წესის დაცვით გაფორმდეს დოკუმენტურად და აყვანილ იქნეს აღრიცხვაზე.

სამუზეუმო აღრიცხვის საწყისი ეტაპი გულისხმობს სამი ოპერაციის შესრულებას: ა/ სამუზეუმო ნივთის დააქტება; ბ/ ნივთის შეტანა პირველადი აღრიცხვის წიგნში /ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნი; მთავარი საინვენტარო წიგნი; შემოსულობათა წიგნი/; გ/ სამუზეუმო ნივთისათვის შიფრის მიცემა.

ა/ სამუზეუმო ნივთების დააქცევა

მუზეუმში ნივთის შემოსვლა ან მისი გაცემა, აუცილებლად წარმოებს სათანადო დოკუმენტის გაფორმებით.

სამუზეუმო ნივთის რეგისტრირება პირველადი აღრიცხვის წიგნში შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ნივთს თან ახლავს სათანადო დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტია დადგენილი ფორმით შედგენილი მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: 1. აქტის ნომერი; 2.აქტის შედგენის დრო; 3. დაწესებულების სრული დასახელება და მისამართი ან პირის აღნიშვნა, ვინც აწარმოებს ნივთის მიღება-ჩაბარებას; 4. მუდმივ შესანახად თუ დროებით გადაეცემა ექსპონატი; 5. აქტით გადაცემული ნივთების ჩამოთვლა, მათი დაცულობის აღნიშვნით; 6. ნივთების რაოდენობის აღნიშვნა სიტყვებით; 7. ნივთის ფასი / თუ შეძენილია/; 8.ნივთების მიმღებ და ჩამბარებელ პირთა ხელმოწერა თანამდებობის აღნიშვნით.

მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც იურიდიული დოკუმენტი, უნდა გაფორმდეს ზემოჩამოთვლილი ყველა პუნქტის აღნიშვნით. მიმღები და ჩამბარებელ პირთა ხელმოწერის გვერდით, ფრჩხილებში უნდა იწერებოდეს გვარები. აქტი მტკიცდება ბეჭდით დირექტორის მიერ.

მუზეუმში შემოსული ნივთების მიღება-ჩაბარების აქტები დიდი მნიშვნელობის იურიდიული დოკუმენტია, მაგრამ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ასეთი გზებით არ შეიძლება შეუფასოთ. აღნიშნულ დოკუმენტებს სამეცნიერო ხასიათი აქვთ. ამდენად აქტში ზუსტად უნდა იყოს შეტანილი ნივთის შესახებ ცნობები, მისი წარმომავლობის და მფლობელის შესახებ, რა ისტორიულ ფაქტებთან არის დაკავშირებული, და სხვა. აღნიშ-

წელი ცნობების სიზუსტე ყველა ეტაპებშია საჭიროა, მიუ-ხედავად იმისა, სამუზეუმო ნივთი შემოწირულობით თუ შეძენი-ლი თუ ექსპედიციის გზით.

მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებისას საჭიროა განსა-კუთრებული ყურადღება მიექცეს ე.წ. "ლეგენდის" შედგენას, სა-დაც დაწვრილებით უნდა აისახოს ნივთის ისტორია, მისი წარმო-მავლობა, რომელ ისტორიულ ფაქტებთან და მოვლენებთან არის ის დაკავშირებული, ვის ეკუთვნოდა, როდის გაკეთდა, რა მიზნით და სხვ. ლეგენდა უნდა შედგეს რაც შეიძლება დაწვრილებით და ინა-ხებოდეს აქტთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როცა მუზეუმში შემოსული ნივთი გან-საკუთრებულ, სპეციალურ მიდგომას მოითხოვს, რისი საშუალებაც არ არის მუზეუმში, იწვევენ სათანადო სპეციალისტს. სპეციალის-ტის დასწრება და ვინაობა აღინიშნება აქტში.

აღნიშნული დოკუმენტების შედგენა-დამოწმება, როგორც ვთქვით, ორმაგი მნიშვნელობის შემცველია–როგორც იურიდიული დო-კუმენტისა, რადგან საქმე ეხება სახელმწიფო საკუთრებას და რო-გორც სამეცნიერო საბუთისა, რომლისაც დიდი მნიშვნელობა ენიჭე-ბა სამუზეუმო კოლექციის და ნივთის შემდგომი მეცნიერული ათვი-სების საქმეში. ამიტომ, ხსენებულ საქმიანობას მუზეუმებში უნდა ახორციელებდნენ გამოცდილი მეცნიერები, მაღალი კვალიფი-კაციის სამუზეუმო მუშაკები.

მიღება-ჩაბარების აქტი ლეგენდასთან ერთად მიდის აღ-რიცხვის განყოფილებაში, და [illegible] დოკუმენტები კი უნდა ჩაბა-რდეს არქივს.

სამუზეუმო ნივთების და კოლექციების მოძრაობა-მუზე-უმში შემოსვლა, დროებით გადაცემა სხვა მუზეუმისათვის, გადა-ცემა იმავე მუზეუმის სხვა განყოფილებისათვის და სხვა, აუცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლად უნდა დაფიქსირდეს სათანადო აქტებით.

ძვირფასი ლითონების და ძვირფასქვებიანი ნივთების მიღება-გაცემის აქტებში აღინიშნება თითოეული ნივთის სახელწოდება და მოკლე აღწერა ცალ-ცალკე: ჯერ მასალა /ოქრო, ვერცხლი, პლატინა, მათი შენადნობები/ შემდეგ წონა /გრამებში/, ზომა, დაცულობა. ძვირფასქვიანი ნივთის მიღება-გაცემის დროს აღინიშნება მისი სახელწოდება, რაოდენობა, წონა /კარატებში/, ზომა /მმ-ში/, ნივთის საერთო წონა და დაცულობა.

ძვირფასი ლითონებისა და ქვების მიღებისას საჭიროა ჩატარდეს ექსპერტიზა. შემოწმდეს ძვირფასი ქვების და მასალის უტყუარობა, ნივთები აიწონოს სპეციალურ სასწორზე, სასურველია სასინჯ-პალატაში ან იუველირის მონაწილეობით. ექსპერტიზის დასკვნას ხელს აწერს ექსპერტი და დასტურდება ექსპერტიზის ჩამტარებელი დაწესებულების ან მუზეუმის ბეჭდის დასმით.

ცნობები, ძვირფასი ლითონების შესახებ, შეიტანება საინვენტარო წიგნში მხოლოდ ექსპერტის დოკუმენტურად დამოწმებული დასკვნის შემდეგ.

დროებით შესანახად ექსპონატების მიღების ან გაცემის აქტში უნდა მიეთითოს რა მიზნით იღებენ, ან გასცემენ ნივთს /ექსპერტიზა, ექსპოზიცია, რესტავრაცია და ა.შ./. აქტში უნდა აღინიშნოს "დროებით შესანახად".

ნივთების დროებით გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტში უნდა აღინიშნოს: მიღების თუ გადაცემის მიზანი და ვადა; ნივთის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ან დაწესებულება და საფუძველი ნივთის გადაცემის თაობაზე. სამუზეუმო ნივთების გადაცემაზე ნებართვას იძლევა ზემდგომი ორგანო, რომელიც განაგებს

აღნიშნულ მუზეუმს, ამ უკანასკნელის თანხმობით. ნივთის — დაბრუნებისას აქტში უნდა აღინიშნოს მიწოდებ[illegible] და დაცემის თარიღი, რის საფუძველზედაც დაიცემა სამუზეუ-მო ნივთი.

მუზეუმის შიგნით სამუზეუმო ნივთების გადაცემა უნდა ხდებოდეს სათანადო აქტით, რომელსაც ხელს აწერენ ნივთის გადამცემი და ნივთის მიმღები-მატერიალურად პასუ-ხისმგებელი პირები, ასევე ფონდების მცველი და განყოფილების ხელმძღვანელები. აქტი მტკიცდება დირექტორის მიერ.

სამუზეუმო ნივთის დაკარგვის შემთხვევაში დგება სათანადო აქტები, რომელთაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანო, სა-დაც აღნიშნული მუზეუმი შედის. დაკარგვის აქტებთან ერთად უნდა ინახებოდეს ნივთის მოსაძებნად მიღებული ზომების ამ-სახველი დოკუმენტებიც.

ბ/ ექსპონატების პირველადი რეგისტრაცია
/პირველადი აღრიცხვის წიგნი/

ყველა ნივთი, რომელიც კი მუზეუმში შევა, როგორც სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ დაუყოვნებლივ შეიტანება შემოსულობათა წიგნ-ში /ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნი; მთავარი საინვენტა-რო წიგნი; შემოსულობათა წიგნი/.

პირველადი აღრიცხვის წიგნში ნივთის რეგისტრაციას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგანაც ის გულისხმობს სახელმწიფოებრივი ქონების ბალანსზე აყვანას და ოფიციალურ რეგისტრაციას. პირველ ყოვლისა, შემოსულობათა წიგნის /მთა-ვარი საინვენტარო წიგნის/ რიგითი ნომერი აუცილებლად უნდა აღინიშნოს მიღება-ჩაბარების აქტზე.

შემოსულობათა წიგნი / მთავარი საინვენტარო წიგნი/, როგორც დაცვითი ხასიათის სახელმწიფო დოკუმენტი, შევსებამდე უნდა დაინომროს, ზონარი გაეყაროს და დაიბეჭდოს.

მუზეუმში მუდმივი სარგებლობისათვის შემოსული ნივთების რეგისტრაციისათვის წესდება შემოსულობათა წიგნის /მთავარი საინვენტარო წიგნის/ გარკვეული ფორმა. დროებითი სარგებლობისათვის შემოსული ექსპონატების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს სპეციალურ, დროებით შემოსულობათა წიგნში.

შემოსულობათა წიგნის რიგითი ნომერი, რის მიხედვითაც ნივთი არის რეგისტრირებული, ეწერება უშუალოდ ნივთს ან ნივთზე მიმაგრებულ მუყაოს ეტიკეტს.

დროებით შესანახად მიღებული საგნები, ასევე ღებულობენ დროებით შემოსულობათა წიგნის რიგით ნომერს.

შემოსულობათა წიგნში ნივთის ჩაწერამდე და მასზე საარიცხვო ნომრის დასმამდე ექსპონატის გაცემა დაუშვებელია.

რაც შეეხება ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვებით შემკულ ექსპონატთა აღრიცხვას შემოსულობათა წიგნში, ის ხორციელდება სსრკ კულტურის სამინისტროს 1975 წლის 18 სექტემბერს დამტკიცებული ინსტრუქციით.

მუზეუმის პირველადი აღრიცხვის წიგნი მოიცავს აღნიშნული მუზეუმის ძირითადი ფონდის ყველა სამუზეუმო ნივთს.

ჩვეულებრივ, მუზეუმში ორგვარი საინვენტარო წიგნია; ძირითადი - ფონდში შემავალი სამუზეუმო ნივთების აღრიცხვისათვის და სამეცნიერო-დამხმარე ფონდში შემავალი დამხმარე მასალების აღრიცხვისათვის.

ძირითად ფონდში დაცული და შესაბამისად ძირითადი ფონდის პირველად დავთარში გატარებულია დედანი, ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები, დოკუმენტები, ბუნებიდან აღებული

მასალები, რომელთაც დიდი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია.

დანარჩენი მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსპოზიციებში, როგორც დამხმარე მასალა, განეკუთვნება სამეცნიერო-დამხმარე ფონდს და აღირიცხება სამეცნიერო-დამხმარე ფონდის სპეციალურ წიგნში.

საინვენტარო წიგნის ფორმა საუწყებო ხელმძღვანელობის მიერაა დადგენილი, მისი შეცვლა დაუშვებელია, წიგნი მკვრივ ყდაში უნდა იყოს ჩასმული, მასზე უნდა ეწეროს მკვეთრი შრიფტით წიგნის ნომერი და მუზეუმის დასახელება. საინვენტარო წიგნი სამუზეუმო ნივთების აღრიცხვის ერთადერთი დოკუმენტია, ამდენად მისი მოვლა და შევსების წესების ყოველმხრივი დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. წიგნის ყველა გვერდი ინომრება ბოლო ფურცელზე, სიტყვიერად აღინიშნება გვერდების რაოდენობა დამოწმებული მუზეუმის დირექტორის მიერ. წიგნი ზონარგაყრილი უნდა იყოს, დაბეჭდილი მუზეუმის ბეჭდით.

საინვენტარო წიგნში სამუზეუმო ექსპონატების ჩაწერა შეიძლება როგორც ცალკეული ნივთების მიხედვით, ასევე კოლექციებით.

ცალკეული ნივთების შეტანისას, ნივთი უნდა ვაღიაროთ დამოუკიდებელ ერთეულად და წიგნში შევიდეს ერთი ნომრით.

კოლექციებით ჩაწერა გულისხმობს, ერთ კოლექციაში გაერთიანებული ნივთების ერთი ნომრით აღრიცხვას. ცალკეულ ნივთს ეძლევა კოლექციის ნომერი და ასევე საკოლექციო აღწერის ნომერი.

საინვენტარო წიგნში გრაფები ნაწილდება ისეთნაირად, რომ ამომწურავი იყოს ნივთის შესახებ ცნობები. თანმიმდევრობით ეს გრაფები ასე გამოიყურება: 1. რიგითი ნომერი; 2. ჩაწერის თარიღი; 3. შემოსვლის დრო და წყარო, აქტის ნომერი; 4. ნივთის დასახელება და აღწერა, კოლექციის დახასიათება; 5. ნივ-

ტების რაოდენობა; 6. მასალა, დამზადების ტექნიკა; 7. ზომა, წონა; 8. დაცულობა. 9. რომელ ადგილებიდან შემოვიდა ნივთი; 10. ნივთის ან კოლექციის ფასი, 11. სისტემატური აღრიცხვის და სამეცნიერო ინვენტარიზაციის ნომერი; 12. შენიშვნა.

პირველ გრაფაში იწერება რიგითი ნომერი, რომელიც ეძლევა ექსპონატს ან კოლექციას საინვენტარო რეგისტრაციის დროს. პირველადი აღრიცხვის წიგნის ეს ნომერი რჩება ნივთს და კოლექციის მუზეუმში ყოფნის მთელს მანძილზე. ის არის სამუზეუმო ნივთის შიფრის პირველი ნაწილი.

მეორე გრაფაში აღინიშნება ჩანაწერის თარიღი, რითაც შეიძლება კონტროლი გაეწიოს ნივთის ფონდებში რეგისტრაციის ვადების დაცვას.

მესამე გრაფაში სრული პასუხი უნდა გაეცეს ნივთის მუზეუმში შემოსვლის პირობებს, როგორ შემოვიდა, რა გზით, ნაყიდია თუ შემოწირული. თუ ექსპედიციის გზითაა შემოსული, აქვე უნდა იყოს მითითება სათანადო დოკუმენტზე.

მეოთხე გრაფა ითვალისწინებს ნივთის ზუსტ დასახელებას და ამიტომაც გრაფა ივსება ხოლმე შემოსული ნივთის საგნობრივი დასახელებით: -თოფი, სატევარი, ისარი... შემდეგ კი მოდის აღწერა -მოკლე, ლაკონური და ამავე დროს სრული, დამახასიათებელი და გამოსარჩევის აღნიშვნით.

მეხუთე გრაფა ნივთების იურიდიული აღრიცხვის და დაცვის საქმიანობას ემსახურება და მისი ზუსტი მითითება აუცილებელია.

მეექვსე გრაფა ივსება მოკლედ და ამომწურავად; მასალა- ბრინჯაო, რკინა, სპილენძი... თუ საქმე გვაქვს ძვირფას ლითონებთან უნდა მიეთითოს სინჯი და წონა. ტექნიკაც ასევე

მიკრო ჩაიწერება – ჩამოსხმული, მორგვზე ნაკეთები, ხელით ნაძერწი და სხვა.

ზომა და წონა მეშვიდე გრაფაში შედის. ზომა გადმოიცემა მეტრული სისტემით. ძვირფასი ლითონები და ქვები იწონება მოწვეული სპეციალისტის მიერ, რის შესახებაც დგება სათანადო აქტები.

ნივთის დაცულობის ზუსტი ანალიზი და შეფასება /მერვე გრაფა/ წიგნში, ნივთის მუზეუმში შემოსვლის დროის ზუსტი ფიქსაციის საშუალებას გვაძლევს, შემდეგში აღნიშნულ მონაცემებზე დაკვირვებით შესაძლებელი იქნება შემოწმდეს ნივთის მუზეუმებში შენახვის მდგომარეობა.

მეცხრე გრაფა ივსება იმის მიხედვით თუ რომელ განყოფილებაში მოხვდა ნივთი. ეს მნიშვნელოვანი მითითებაა ნივთის ადგილის აღნიშვნით, რაც დამატებით ცნობას იძლევა მის მისაგნებად.

მეათე გრაფა /ლიტერულება/ მხოლოდ მაშინ შეივსება თუ სამუზეუმო ნივთი შესყიდულია.

მეთერთმეტე გრაფა გულისხმობს სამუზეუმო ნივთისათვის სამეცნიერო დამუშავების მეორე ეტაპზე ნომრის მიცემას. წიგნის ეს გრაფა შეივსება სამეცნიერო ინვენტარიზაციის შემდეგ. პირველადი სამეცნიერო დამუშავების მომენტში, პირველადი აღრიცხვის წიგნში ეს გრაფა არ შეივსება.

სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაციისათვის წესდება საინვენტარო წიგნების გარკვეული ფორმები, ზემოაღნიშნული დარგების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიის სამუზეუმო საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით. საინვენტარო წიგნის ფურცლები შესაბამისად უნდა დაინომროს, ზონარი გაეყაროს და დამოწმდეს ორგანიზაციის ბეჭდით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ძველი საინვენტარო წიგნების შეცვლა შეიძლება ახლით, ოღონდ ზემდგომი ორგანოს ნებართვით, დაქვემდებარების მიხედვით.

ახალი საინვენტარო წიგნის შემოღებისას მასში ძველი წიგნიდან უნდა გადავიდეს ყველა მონაცემი, და გაკეთდეს მითითება ახალ წიგნში გაუქმებული წიგნების საინვენტარო შიფრსა და ნომერზე. ისევე როგორც ძველ წიგნში, ახალი საინვენტარო შიფრი და ნომერი უნდა დაისვას თითოეული საგნის პირდაპირ.

აღნიშნული ექსპონატების ამორიცხვის შესახებ, ახალ საინვენტარო წიგნში მთლიანად უნდა გადმოვიდეს ისე, რომ ექსპონატებზე ძველი საინვენტარო ნომერი არ შეიცვალოს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საინვენტარო წიგნების შედგენისას კატეგორიულად აკრძალულია ძველი საინვენტარო წიგნების განადგურება ან მათი ნაწილობრივ დარღვევა. ისინი უნდა ინახებოდეს, ისევე როგორც სხვა მოქმედი დოკუმენტები.

დაკარგული ნივთის ჩამოწერა, ისევე როგორც ისეთი ნივთების ჩამოწერა, რომელთაც დაკარგეს სამუზეუმო მნიშვნელობა, უნდა ხდებოდეს დაქვემდებარების მიხედვით, ზემდგომი ორგანოების ნებართვით. ნებართვა გაიცემა მუზეუმის შუამდგომლობის საფუძველზე, ყველა საჭირო დოკუმენტის დართვით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა: რესტავრატორების და საფონდო კომისიის დასკვნები ექსპონატის მდგომარეობაზე, მისი რესტავრაციის შეუძლებლობაზე; აქტი, სადაც იქნება აღნიშნული ექსპონატის დაკარგვის თუ დაზიანების პირობები. დაზიანების ან სერიოზული დაზიანების შემთხვევაში, საჭიროა ნარჩენები

იქნეს დოკუმენტები მუზეუმის დირექტორის მიერ მიღებული ზომების თარიღზე.

ზემდგომი ორგანოს ნებართვის საფუძველზე, მუზეუმის საინვენტარო სიიდან ექსპონატის ამორიცხვისას, წიგნის შენიშვნების გრაფაში კეთდება სათანადო აღნიშვნა იმ დოკუმენტების დამოწმებით, რომელთა საფუძველზედაც ხდება ამ ნივთის გაცემა ან ამორიცხვა საინვენტარო სიიდან. მუზეუმის საინვენტარო წიგნიდან ექსპონატის ამორიცხვის აღნიშვნას ხელს აწერს მუზეუმის დირექტორი ან მთავარი მცველი და მოწმდება ბეჭდის დასმით.

ექსპონატების ამორიცხვის შემდეგ გამოთავისუფლებული საინვენტარო ნომრის გამოყენება სხვა ექსპონატების ჩასაწერად კატეგორიულად აკრძალულია.

თუ მუზეუმი მიიღებს ნივთის შესახებ ახალ არსებით ცნობებს, რაც ცვლის აქტში აღნიშნულ მის თავდაპირველ განმარტებას შემოსულობათა წიგნში, მაშინ ამ უკანასკნელში შეიტანება სათანადო დამატებანი. ამის შესახებ დგება საგანგებო აქტი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მთავარი მცველი, განყოფილების გამგე და ის პირი ვინც წარმოადგინა ახალი მონაცემები ნივთზე.

საინვენტარო წიგნში შესწორების შეტანა აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია, ოღონდ ეს უნდა მოხდეს წითელი მელნით, ხაზის გადასმით, მაგრამ ისე, რომ გასაგები იყოს, თუ რა არის გადახაზული. ასეთ შემთხვევაში, შესწორების შესახებ საინვენტარო წიგნის, იმავე გვერდზე კეთდება სათანადო განმარტება, რომელსაც ხელს აწერს და ბეჭდის დასმით ამტკიცებს ფასეულობათა აღრიცხვისათვის პასუხისმგებელი პირი.

## ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვის შესახებ *

ძვირფასი ლითონებისგან და ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ან შემკული ნივთები აღირიცხება პირველადი აღრიცხვის წიგნში ძირითადი ფონდის სხვა ნივთების პარალელურად. გარდა ამისა, შემოღებულია ხსენებული ნივთების აღრიცხვა-დაცვის განსაკუთრებული წესი /იხ. სსრკ კულტურის სამინისტროს 1975 წ. 18.09. №29-166 ინსტრუქცია/, რომლის განხორციელებაც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო მუზეუმისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სადაც დაცულია ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სამუზეუმო ფასეულობანი.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სამუზეუმო ფასეულობებს განეკუთვნებიან ის ნივთები /ასევე დაუმუშავებელი ნიმუშები/, რომლებიც დამზადებულია ძვირფასი ლითონებისაგან /პლატინა, ოქრო, ვერცხლი/ და ძვირფასი ქვებისაგან /ალმასი, ბრილიანტი, ლალი, საფირონი, ზურმუხტი, მარგალიტი/ ან რომლებშიც ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ქვები შედიან როგორც შემადგენელი ნაწილები.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყველა ნივთი, რომელიც შემოდის მუზეუმში დაუყოვნებლივ აყვანილ უნდა იქნეს აღრიცხვაზე. ასეთი საგნები განსაზღვრულ რეგისტრაციას გადიან დადგენილი წესის მიხედვით.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების განსაზღვრას, წონისა და სინჯის დადგენას, ახორციელებს მუზეუმის დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომელშიც აუცილებლად

უნდა მონაწილეობდნენ ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ექსპერტები. ექსპერტიზის აქტი უნდა შედგეს შემდეგი ფორმის მიხედვით:

1. ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების დასახელება.
2. ნივთზე არსებული შემკულობის დასახელება.
3. ძვირფასი ლითონების სინჯი.
4. ნივთების რაოდენობა.
5. ნივთების წონა /მიეთითება ცალკეული ადგილების რაოდენობა, თუ ასეთი არის და მათში არსებული ლითონის თუ ქვის დანაკარგები/.
6. ძვირფასი ქვების რაოდენობა და წონა კარატებში, ასევე ცალკეული ბუდეების რაოდენობა.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყველა საგანი, რომლებიც ინახება მუზეუმებში, პირველადი რეგისტრაციისა და სამეცნიერო ინვენტარიზაციის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ კულტურის სამინისტროს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის საერთო ინსტრუქციებით /1968 წ; 1971 წ./, აღირიცხება სპეციალურ საინვენტარო წიგნებში - ცალ-ცალკე ძვირფასი და განსაკუთრებული ფონდების განყოფილებათა მიხედვით /სპეცშენახვის ფონდი/;

საგნები, რომლებშიც ძვირფასი ქვები ჩასმულია ინკრუსტაციის, მოზაიკის და ჩარაჭრილი სახით, ქსოვილის ექსპონატები, რომლებშიც ძვირფასი ლითონები გამოყენებულია ძაფის, მავთულის და სხვა ნაწილობრივი მორთულობის სახით / ქარგულობა, ფარჩა, მაქმანი, ფოჩი და სხვ./, აგრეთვე ნახევრადძვირფასი და სხვა ქვები /აკვამარინი, ჰიაცინტი, ამეთვისტო, ტოპაზი, ქრიზოლიტი,

ფირუზი, მარჯანი, ოპალი, ბროლი, იასპი, აქატი, მალაქიტ[illegible] სხვ./ აღირიცხება იმავე წესით, რაც დადგენილია სხვა [illegible] უმო საგნების აღრიცხვისათვის /შემოსულობათა და სამეცნიერო-საინვენტარო წიგნები/ და ჩაიწერება დასახელებათა მითითებით.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების აღრიცხვის სპეციალური საინვენტარო წიგნები ფურცლებდანომრილი, ზონარგაყრილი და მუზეუმის ბეჭდით უნდა იყოს დალუქული.

საინვენტარო წიგნის უკანასკნელი ფურცლის მეორე გვერდზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი: "აღნიშნულ საინვენტარო წიგნში დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქულია /რაოდენობა ნაწერით/ ფურცელი N -დან N -მდე".

ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნსა და ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სპეციალურ საინვენტარო წიგნში ჩანაწერების მიხედვით ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისათვის მიცემული რიგითი ნომრები დაესმება თითოეულ ნივთს ან ერთგვაროვანი საგნების ჯგუფს. შემოსულობათა წიგნის ნომერი დაესმება ფანქრით ნივთზე ჩამობმულ ეტიკეტს. პატარა ნივთების ნომრები შეიძლება დაიწეროს მუყაოზე და ჩაიდოს ნივთთან ერთად ყუთში ან პაკეტში.

ამგვარად, აღნიშნულ ნივთებზე, გარდა შიფრისა, დასმული უნდა იქნეს ორი ნომერი: ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნის და სპეციალური საინვენტარო წიგნის ნომრები.

მუზეუმების განსაკუთრებულ ფასეულობათა საგანძურსა და განყოფილებებში, სადაც ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების საგნებია მოთავსებული, გარდა სპეციალური საინვენტარო წიგნებისა, აწარმოებენ აგრეთვე აღრიცხვის დამხმარე-"ტოპოგრაფიულ აღწერას" და "ტოპოგრაფიულ ბარათებს". "ტოპოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიული აღწერა" რჩება ცალ-ცალკე თითოეულ საგნზე, [illegible] ყუთზე, ვიტრინაზე, მისი დანიშნულებაა ნივთის ზუსტი ადგი-ლმდებარეობის განსაზღვრა და შედგება შემდეგი სვეტებისაგან: 1-რიგითი ნომერი; 2- შემოსულობათა წიგნის N; 3-ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნის N; 4- ძვირფასი ლითონებისა და ქვების სპეციალური საინვენტარო წიგნის N; 5- საგნის დასა-ხელება; 6-რაოდენობა; 7- საგნის ადგილმდებარეობა /თარო, ყუთი, ვიტრინა და სხვ./; 8- შენიშვნა.

აღწერა რჩება ორ ეგზემპლარად; ერთი ხელუხლებლად ინახება სეიფში, ვიტრინაში, ყუთში და სხვ. მეორე სამუშაოა.

"ტოპოგრაფიული კარტოთეკა" /საბარათო მაჩვენებელი/ მოიცავს ყველა მონაცემს ნივთის შესახებ დაცვითი აღწერილობის ელემენტების და ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების მიხე-დვით. ბარათი რჩება შემდეგი სვეტების მიხედვით: 1-ძირითადი ფონდის საინვენტარო N; 2- შემოსულობათა წიგნის N; 3-სპეცი-ალური საინვენტარო წიგნის N; 4- საგნის მოკლე აღწერილობა; 5- რაოდენობა; წონა, სინჯი, ზომა; 6-საგნის ადგილმდებარეო-ბა; 7-დაცულობა /ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების მი-თითებით/; 8- შენიშვნა.

ტოპოგრაფიულ აღწერებს და კარტოთეკებს აქვთ დამხმა-რე-სამსახურეობრივი ხასიათი და საცავიდან არ გაიცემა.

x

x x

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების მუზეუმში მიღების და გაცემის გაფორმება /აქტების შედგენა, საინვენტა-რო წიგნში ჩაწერა/ ხორციელდება დაუყოვნებლივ ნივთის მუზეუმ-ში მიღებისას ან გაცემისას. სამუზეუმო პასუხისმგებლობათა განსა-

კუთრებულ საგანძურში აკრძალულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტების გაუფორმებლად და შემოსავალში აუღებელი ნივთების შენახვა.

ძვირფასი და განსაკუთრებული ფონდების შემოსულობათა წიგნში ჩაწერა წარმოებს მიღების ან გაცემის აქტების საფუძველზე, რომლებიც დგება ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების მიღების ან გაცემის მომენტში.

სპეციალურ საინვენტარო წიგნებში ჩაწერა წარმოებს მიღებისა და გაცემის აქტების, აგრეთვე ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების განსაზღვრის და გასინჯვის აქტების საფუძველზე.

მიღებისა და გაცემის ყველა აქტი მუზეუმებში მტკიცდება დირექტორის მიერ.

ნივთების განსაკუთრებული საგანძურიდან სხვა ფასეულობათა განსაკუთრებულ საგანძურში ან ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებაში გადაადგილება, ან მათი გადაცემა ექსპოზიციისათვის მუზეუმის შიგნით წარმოებს მუზეუმის დირექტორის განკარგულებით და ფორმდება გადაცემის აქტით.

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების საგნების გაცემა მუზეუმის ფონდიდან მუდმივ ან დროებით სარგებლობისათვის სხვა მუზეუმზე, ან დაწესებულებაზე წარმოებს დაქვემდებარების მიხედვით, სამინისტროების ან უწყებების განკარგულებით. ასეთ შემთხვევაში, მუზეუმი ან დაწესებულება, რომელმაც მიიღო საგნები, გასცემს საგარანტიო წერილს მის მიერ მიღებული საგნების დაცვის და დროულად დაბრუნების შესახებ. დროებითი სარგებლობისათვის გაცემული ექსპონატების აქტები რეგისტრაციაში გატარდება "დროებითი გაცემის წიგნში".

დროებითი სარგებლობისათვის შემოსული ექსპონატები სა-ინვენტარო წიგნებში არ ჩაიწერება. ისინი რეგისტრაციაში გატარ-დება "დროებით შემოსულობათა წიგნში".

ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების საგნები, რომლებიც არ არის ექსპოზიციაში გამოფენილი, უნდა ინახებოდეს მუზეუმის სპეციალურ სათავსოებში. თუ მუზეუმში ასეთი ნივთე-ბის უმნიშვნელო რაოდენობაა, მათი შენახვა შეიძლება ცეცხლ-გამძლე კარადებსა და სეიფებში.

ყველა სათავსო, აგრეთვე ცეცხლგამძლე კარადები და სეიფები, რომლებშიც ინახება ძვირფასი ლითონების და ძვირფა-სი ქვების ნივთები უნდა იქნეს დალუქული, ჰყავდეს დაცვა და ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. აღნიშნულ სა-თავსოებში, ცეცხლგამძლე კარადებსა და სეიფებში სხვა სამუ-ზეუმო საგნების შენახვა სასტიკად აკრძალულია.

ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ნივთები საექსპოზიციო დარბაზებში უნდა მოთავსდეს სპეციალურ ვიტრი-ნებსა ან კარადებში, დაკეტილი უნდა იყოს კლიტით, დალუქული, ან დაბეჭდილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ბეჭდით, ჰყავდეს დაცვა და აღჭურვილი იყოს ხანძარსაწინააღმდეგო სი-გნალიზაციით.

ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ნივთები, რომლებიც მოთავსებულია მუზეუმების განსაკუთრებულ საგანძურ-ში და საექსპოზიციო დარბაზებში, უნდა იმყოფებოდეს იმ პირთა განკარგულებაში, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან მათი შენახვისა და დაცვისათვის. ასეთი პირები ინიშნებიან მუზეუმის დირექტორის სპეციალური ბრძანებით.

მუზეუმებში ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების

ნივთების შენახვისათვის პასუხისმგებელი პირები ექსპონატე-ბის დაკარგვის შემთხვევაში პასუხს აგებენ ექსპერტების მიერ შე-ფასების, დაკარგული ექსპონატის ისტორიული და მხატვრული ღირებულების მიხედვით, როგორც გათვალისწინებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1968 წ. 16 აგვისტოს N 634 დადგენილებით- "ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და სხვა სავალუტო ფასეულობათა დატაცებაში, დანაკლისს და ზენორმატულ დანა-კარგებში დამნაშავე მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ".

ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების შესანახი ადგილების გასაღებები ტოპრაკში ჩაწყობილი და დალუქული ბარ-დება მუზეუმის განსაკუთრებულ სეიფს, სადაც უნდა იყოს "გასაღე-ბის მიღების და გაცემის ჟურნალი". გასაღების შენახვის პასუ-ხისმგებლობა, სეიფში მათ ჩაბარებამდე, ეკისრება მატერიალუ-რად პასუხისმგებელ პირებს, განსაკუთრებულ სეიფში ყოფნის დროს კი იმ პირს, რომელიც განაგებს ამ სეიფს. გასაღებების მეორე ეგზემპლარები, მატერიალური პასუხისმგებელი პირების მი-ერ დალუქული პირადი ბეჭდებით ინახება მუზეუმის სპეც-განყოფი-ლებაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს ასეთი განყოფი-ლება- მუზეუმის დირექტორთან ან მთავარ მცველთან.

სამუზეუმო ნივთების აღრიცხვის სხვა

წიგნები

ის სამუზეუმო ნივთები, რომლებიც არ შედიან მუზეუმის ძირითად ფონდში, მაგრამ შეიძლება მათი გამოყენება საექსპო-ზიციო თუ სამეცნიერო სამუშაოებში, შეადგენენ მუზეუმის სა-მეცნიერო დამხმარე ფონდს და აღირიცხებიან დამხმარე ფონდის წიგნში. ამ კატეგორიის მასალებია: ნახატები, რუკები, დიაგ-

რამები, მულიაჟები, მაკეტები, მასიური ტირაჟით გამოცემული
კარტოგრაფიული და მხატვრული ალბომები, რომლებიც გამოიყე-
ნება ექსპოზიციაში და სხვ. სამუზეუმო ნივთების გატარები-
სას საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს მასალის მიკუთვნებას
ძირითადი თუ დამხმარე ფონდისადმი, რამდენადაც ამ მხრივ
უგულისყურო დამოკიდებულება ხშირად გამხდარა გაუგებრობის
საფუძველი. დამხმარე მასალა არამც და არამც არ უნდა მოხ-
ვდეს ძირითად ფონდში, ისევე, როგორც ძირითადი ფონდის ნივ-
თების შეტანა დამხმარე ფონდში არ შეიძლება.

ნივთის მიკუთვნების საკითხი ძირითადი თუ დამხმარე
ფონდისადმი უნდა გადაწყდეს კომისიის მეშვეობით.

სამეცნიერო-დამხმარე ფონდი, როგორც ვთქვით, დამო-
უკიდებელსა და ძირითადი ფონდებისაგან გამოყოფილ ფონდს შე-
ადგენს, რომლის ნივთებიც აღირიცხება სამეცნიერო დამხმარე ფო-
ნდის აღრიცხვის წიგნში. წიგნში უნდა იყოს შემდეგი გრაფები:
I-ნომერი რიგზე; 2- ნივთის დასახელება და მოკლე აღწერა;
3-დაცულობა, 4-ნივთის შემოსულობის თარიღი, 5-ღირებულება
/თუ შეძენილია ან დამზადებული დაკვეთით/; 6-რა მიზნითაა
შეძენილი ან დამზადებული; 7- დოკუმენტები: ბუღალტრიის ან-
გარიში, ბუღალტერიაში ანგარიშის ფიქსაციის თარიღი, 8-ჩამო-
წერის აქტი; 9- სად ინახება; 10- შენიშვნა.

დამხმარე ფონდის აღრიცხვის წიგნში ნივთები შეიტა-
ნება როგორც ძირითად წიგნში, ოღონდ უფრო მარტივად; შიფრიც
ეძლევა ისევე, როგორც ძირითად წიგნში, მაგრამ ძირითადი
ფონდის შიფრის ნაცვლად ეძლევა სამეცნიერო დამხმარე ფონდის
შიფრი /დფ/ და ის მიიღებს ასეთ თანმიმდევრობას: მუზეუმის
დასახელება,"დფ", ნომერი.

სამეცნიერო-დამხმარე ფონდის ნივთების აღრიცხვა [illegible] ვე წარმოება, როგორც ძირითადი ფონდისა, აქცესიონ[illegible] ჟურნალზე.

მუზეუმებში არცთუ იშვიათად შემოდის ნივთები დროებით საჭიროებისათვის, ძირითადად საექსპოზიციოდ. ასეთი ნივთებისათვის შემოღებულია სპეციალური აღრიცხვის წიგნი, რომელსაც ეწოდება "დროებით შემოსულობათა წიგნი". ასეთ აღრიცხვის წიგნში შეიძლება იყოს შემდეგი გრაფები: 1-რიგითი ნომერი; 2- შემოსვლის თარიღი; 3- ნივთის დასახელება და მოკლე აღწერა; 4- ღირებულება; 5-რაოდენობა; 6-საიდანაა შემოსული, აქტის ნომერი; 7- მუზეუმში მისი გამოყენების ხასიათი; 8- დაბრუნების ვადა; 9- შენიშვნა.

დროებით შემოსულობათა ნივთებსაც ესაჭიროება შიფრის მიცემა და განსხვავებით სხვა წიგნების შიფრებისაგან აქ ემატება "დშ" ისე რომ შიფრი იქნება შემდეგი თანმიმდევრობით: მუზეუმის დასახელება "დშ"., ნომერი.

## სამუზეუმო ნივთების სააღრიცხვო ნიშნები

სამუზეუმო ნივთებს პირველადი აღრიცხვის და საინვენტარო წიგნში შეტანისას უნდა მიეცეს შიფრი და ნომერი, აგრეთვე მუზეუმის შემოკლებული სახელწოდება ან შიფრი. ყველა ეს აღნიშვნა, როგორც წესი, უნდა დაკეთდეს უშუალოდ ნივთებზე. თუ ამის საშუალება არ არის, ნომერი და შიფრი უნდა დაეწეროს ექსპონატზე მიმაგრებულ იარლიყზე.

სამუზეუმო ექსპონატის სააღრიცხვო მონაცემები უნდა შეიცავდეს: მუზეუმის შემოკლებული სახელწოდებისაგან /მაგალითად, სსმ- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი/, წილადისაგან, რომლის მრიცხველში იქნება ნივთის ნომერი შემ-

სულობათა წიგნის მიხედვით და კოლექციის ნომერი; [illegible]-
საინვენტარო წიგნის აღნიშვნა და საქნის ნომერი, საინვენტარო
წიგნის მიხედვით. მაგალითად, სსმ $\frac{\text{შნ2150/ 10}}{\text{ღ-III,1560}}$ ნიშნავს, რომ
ექსპონატი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში; ჩანაწერი-
ლია შემოსულობათა წიგნში /შნ/ 2150 ნომრით; კოლექციის შემა-
დგენლობაში აქვს № 10; ინახება ლითონის ფონდში /ღ/; ჩანაწერი-
ლია III საინვენტარო დავთარში 1560 ნომრით. აღნიშვნა შეიძ-
ლება გაკეთდეს წილადის გარეშეც /სსმ შნ 2150/10:ღ-II,1560/.

ექსპონატების საააღრიცხვო მონაცემები უნდა იწერებოდეს გარკვევით, სალებავით. ვიწრო ფონი, უნდა შეიღებოს წინასწარ ღია ფერით, რომელზეც დაიწერება საააღრიცხვო მონაცემები. მიღებულია თეთრ ფონზე შავი ტუშის გამოყენება. სასურველია შემდეგ შელაკის დადასმა. ქიმიური ფანქრის და მელნის გამოყენება არ შეიძლება.

ყველა სხვა აღნიშვნა ნივთებზე არ უნდა ამოიფხიკოს, არამედ იგი უნდა გადაიხაზოს ირიბი ზოლით.

ზემოთ მითითებული საააღრიცხვო აღნიშვნები სავალდებულოა სამუზეუმო ძირითადი ფონდის ყველა ექსპონატისათვის.

მუზეუმებში არსებობს დამხმარე სამუზეუმო აღრიცხვაც, რაც ხორციელდება ძირითადად სამუზეუმო ნივთებზე სამეცნიერო მუშაობის გასაადვილებლად და უპირველესად საცნობარო ხასიათი აქვს. ასეთი აღრიცხვა ხდება სხვადასხვა კარტოთეკების საშუალებით. კარტოთეკებში ბარათების სისტემატიზაცია ხდება მუზეუმის განყოფილებების მიხედვით- ანბანური, საავტორო, საგნობრივი, თემატური, ქრონოლოგიური, ტოპოგრაფიული და სხვა ნიმუშების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეცნიერო პასპორტიზაცია

სამუზეუმო ექსპონატებზე პასპორტების შედგენას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, ნივთის პასპორტი აღრიცხვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და მეორეც, ის აუცილებელი ატრიბუტია საკატალოგო სამუშაოებისათვის. აქედან გამომდინარე, სამუზეუმო ნივთების პასპორტიზაცია ყველა მუზეუმისათვის აუცილებელი განსახორციელებელი სამუშაოა.

სამეცნიერო პასპორტიზაცია სამუზეუმო ნივთის აღრიცხვისა და მეცნიერული დამუშავების ერთ მეტად საჭირო ეტაპია, რომელიც აისახება საპასპორტოდ განკუთვნილ ბლანკებზე, გარკვეული კითხვარის მიხედვით. არსებობს პასპორტების სტანდარტული ფორმები, რომელიც უნდა შეივსოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ, შემდეგი თანმიმდევრობით: საინვენტარო ნომერი და კოლექცია; ნივთის დასახელება; დამზადების ტექნიკა; წარმომავლობა /დამზადების ან აღმოჩენის ადგილი/, თარიღი; ზომა; წონა; ზუსტი და ამომწურავი აღწერილობა; ანალოგები; ლიტერატურა; დაცულობა; რესტავრაცია; შენახვის ადგილი; შედგენის თარიღი. პასპორტს ერთვის ფოტოსურათი და ნეგატივის ნომერი.

პასპორტების ფორმა და შინაარსი შესაძლებელია ცვალებადი იყოს სამუზეუმო კოლექციების რაგვარობასთან შეფარდებით.

პასპორტის მონაცემები ძირითადი საფუძველია სამუზეუმო კატალოგებისა, რომელთა გამოქვეყნებაც ყველა მუზეუმის აუცილებელი მოვალეობაა.

## სამუზეუმო კოლექციების შემოწმება და შეჯერება

სამუზეუმო ექსპონატების დაცულობის და მათი არსებობის შემოწმების მიზნით პერიოდულად უნდა ხდებოდეს შეჯერება შემოსულობათა წიგნებთან, აქტებთან, და საარიცხვო დოკუმენტებთან.

შემოწმება-შეჯერება უნდა ხდებოდეს დირექციის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით. შემოწმება უნდა ჩატარდეს კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შედიოდეს აუცილებლად ფონდის პასუხისმგებელი მცველი. კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ სამი კაცით. შეჯერების შედეგები უნდა დაფიქსირდეს სპეციალური აქტით.

## საარიცხვო დოკუმენტების აღრიცხვის და შენახვის წესი

ყველა საინვენტარო წიგნი, აქტი, დროებითი და მუდმივი შემოსულობათა წიგნი, დამხმარე მასალების აღრიცხვის წიგნი, საკოლექციო აღწერები, ძვირფასი ლითონების აღრიცხვის წიგნი და სხვა საარიცხვო დოკუმენტური მასალა ინახება მუზეუმის მთავარ მცველთან, ხოლო იმ მუზეუმებში, სადაც ეს თანამდებობა არ არის- მუზეუმის დირექტორთან, ცეცხლგამძლე კარადაში, დაკეტილ და დალუქულ ოთახში და ისინი არ გაიცემა; აღნიშნული დოკუმენტები მუზეუმის მუშაკებს მიეცემა სამუშაოდ განსაზღვრულ დღეებსა და საათებში, მათი გატანა მუზეუმიდან აკრძალულია.

აქტებში, საინვენტარო და შემოსულობათა წიგნებში წაშლა, ამოფხეკა და შესწორების შეტანა სათანადო ხელმოწერითი ახსნა-განმარტების გარეშე სასტიკად აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუზეუმო ფონდების აღრიცხვის ყველა დოკუმენტი რეგის-ტრირებულ უნდა იქნეს საფონდო წიგნებში.

სამუზეუმო ფონდების შენახვის და დაცვის

წესები

მუზეუმის ყველა კოლექცია ერთიანდება სამუზეუმო ფონდებში, მიუხედავად იმისა დაცულია ფონდსაცავებში თუ ექსპონირებულია გამოფენებზე.

სამუზეუმო ფონდების შენახვის და დაცვის მთავარი ამოცანაა ფონდსაცავებში და ექსპოზიციაში არსებული ექსპონატებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ რათა თავიდან იქნეს აცილებული და გამოირიცხოს ექსპონატების დაზიანების და დაღაცების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ფონდების შენახვის და დაცვის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა მუზეუმის შენობების საიმედო დაცვა, მისი ელექტრომეურნეობის, გათბობის სისტემის, წყლით მომარაგების ქსელის და საინჟინრო სისტემების არსებული წესების მიხედვით ექსპლუატაცია და გამართულ მდგომარეობაში ყოფნა.

აკრძალულია მუზეუმის შენობების არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება. ყოვლად დაუშვებელია მუზეუმის შენობებში, სადაც განლაგებულია ექსპოზიციები, ფონდსაცავები, დამხმარე სარესტავრაციო და სხვა ლაბორატორია-სახელოსნოები, მობინადრეთა ცხოვრება და სხვა დაწესებულებების არსებობა. ასევე დაუშვებელია მუზეუმის შენობების სარდაფის გამოყენება ნახშირის, ბოსტნეულის, მარილის, კირის და აგრეთვე ააღებაი წივთიერებათა- ნავთობის პროდუქტების, ზეთის, სპირტის, ლაქების და სხვათა საწყობად.

მუზეუმის შენობაში არსებული სანიტარული კვანძები, სამზარეულოები და სასადილოები იზოლირებული უნდა იქნეს ფონდსაცავებისა და ექსპოზიციებისაგან.

მუზეუმის სხვენების საწყობად ან საკუჭნაოდ გამოყენება დაუშვებელია.

სამუზეუმო ფონდსაცავების და ექსპოზიციებისათვის განკუთვნილი შენობა უნდა იყოს ცეცხლგამძლე, სრულიად იზოლირებული, ქვით ან რკინაბეტონის კონსტრუქციებით აგებული, რკინა-ბეტონის სართულშუა გადახურვით, თუნუქის ან კრამიტის სახურავიანი. მას უნდა ჰქონდეს გამწოვი ვენტილაცია, წყლით გათბობის სისტემა და ჰაერის კონდიცირების მოწყობილობა.

სხვენში ხის კონსტრუქციების არსებობა არ არის მიზანშეწონილი, სადაც ხის კონსტრუქციებია, პერიოდულად უნდა მუშავდებოდეს ცეცხლგამძლე ხსნარით. თუ შენობა ღუმლით თბება,- გათბობის წესი უნდა შეუთანხმდეს სახანძრო ზედამხედველობას. ასევე ზედამხედველობა უნდა კონტროლდებოდეს თუ მუზეუმის ნაგებობა ხისაა და არქიტექტურის ან ისტორიისა და ხელოვნების ძეგლს წარმოადგენს.

ახალი სამუზეუმო შენობის დაპროექტებისას საქვაბე დანადგარები უნდა დაიდგმის ცალკე ცეცხლგამძლე შენობაში. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაიშვება საქვაბის მოწყობა მუზეუმის შენობის ცეცხლგამძლე სარდაფებში, იმ პირობით თუ დაიდგმება დაბალი წნევის ქვაბი.

მუზეუმის შენობებში დასაშვებია მხოლოდ ელექტროგანათება- ენერგეტიკის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესების და ნორმების მიხედვით. უნიკალური ხასიათის არქიტექტურის ძეგლებში, სადაც მუზეუმია მოთავსებული, დასაშვებია მხოლოდ დღის სინათლეზე მუშაობა.

არასამუშაო საათებში მუზეუმის ელექტროგაყვანილობა უნდა გამოითიშოს, რჩება მხოლოდ სამორიგეო განათება მცველისათვის.

მუზეუმის შენობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადღეღამისო ხანძარსაწინააღმდეგო დაცვით და ქალაქის სახანძრო დაცვის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. ამასთანავე მოწყობილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი აღჭურვილობით. თუ მუზეუმის ტერიტორიაზე წყალსადენი არ არის, უნდა მოეწყოს ხელოვნური წყალსაცავი სულ მცირე 200 კუ.მ წყლის მარაგით.

მუზეუმის ფონდსაცავებში და საექსპოზიციო დარბაზებში თამბაქოს მოწევა აკრძალულია. საამისოდ უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილი.

მუზეუმის ყველა ფონდსაცავში, საექსპოზიციო დარბაზში, სათავსოებში, სახელოსნოებში უნდა იყოს საკმაო რაოდენობით ცეცხლმქრობები.

საექსპოზიციო დარბაზებში თუ ვესტიბიულებში, ყველგან, სადაც კედლები დაფარულია ქსოვილით, ეს უკანასკნელი პერიოდულად, უნდა იჟღინთებოდეს ცეცხლგამძლე ხსნარით.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი /ჰიდროპულტები, ნიჩბები, აზბესტის საბნები, ნაჯახი, ხერხი და სხვ./ უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. მათი სამეურნეო მიზნით გამოყენება აკრძალულია.

მუზეუმის დირექცია ვალდებულია ცალკეულ შენობებში, ფონდსაცავებში, დარბაზებსა და სხვა სათავსოებში გამოყოს სახანძრო უშიშროებისათვის პასუხისმგებელი პირები.

მუზეუმის მომსახურე პერსონალი სავალდებულო წესით-

ხელწერილით ეცნობა მუზეუმის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის წესებს და ხანძრის ჩაქრობის ხერხებს. მუზეუმის დირექციამ უნდა შეიმუშაოს მუზეუმის ფასეულობათა ევაკუაციის გეგმა ხანძრის შემთხვევაში.

მუზეუმის ტერიტორია უნდა შემოიღობოს და უზრუნველყოფილი იყოს ეზოს ღამით განათება. მუზეუმის ეზო-მიდამოებში არც ერთი ხის ნაგებობა არ უნდა იყოს, ეზოში მხოლოდ ცეცხლგამძლე მასალით შეიძლება აშენდეს ნაგებობანი.

დაუშვებელია მუზეუმის შენობის ახლოს ბენზინის და ნავთსაცავების, გარაჟების, შეშის საწყობების და სხვა ცეცხლსაშიში ობიექტების განლაგება.

მუზეუმის ფონდსაცავებსა და საექსპოზიციო დარბაზებში საჭიროა მოეწყოს სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაცია. დაცვის სიგნალიზაცია უნდა მოეწყოს მუზეუმის ყველა შესასვლელში, ასევე პირველი სართულის სარკმლებში, საიდანაც მუზეუმის ხელყოფის შესაძლებლობა არსებობს.

როგორც წესი, სამუზეუმო ფონდები უნდა განლაგდეს მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ და მოწყობილ საცავებში. სათავსოები უნდა იქნეს ნათელი, მშრალი და მყუდრო, უზრუნველყოფილი ვენტილაციით და გათბობით.

ფონდსაცავები უნდა აკმაყოფილებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ყველა მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეს სათადარიგო გასასვლელები და საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა.

სასურველია ფონდსაცავების შენობის ქვედა სართულზე მოთავსება, იატაკის დატვირთვის შესაძლებლობების წინასწარი გაანგარიშებით.

პირველ სართულზე მოთავსებულ ფონდსაცავის სარკმლებს, ასევე იმ სარკმლებს, რომლებიც მეზობელი შენობის სახურავზე გამოდის, უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები.

ფონდსაცავებში გარეშე პირთა დაშვება შეიძლება მხოლოდ სათანადო ნებართვით, რომელსაც იძლევა მუზეუმის დირექტორი ან მისი მოადგილე.

ფონდსაცავების მოწყობისას პირველ რიგში საჭიროა ზრუნვა ადგილის რაციონალურად გამოსაყენებლად; ავეჯი უნდა დაიდგას კედლების გასწვრივ. კარადები და სტელაჟები შეიძლება დაიდგას კედლების პერპენდიკულარულადაც ისე, რომ დარჩეს ცენტრალური გასასვლელი და სტელაჟებს შორის ადგილი 1-1,5 მ სიგანისა.

საფონდო ავეჯი უნდა დამზადდეს მშრალი ხისაგან და დამუშავდეს ანტისეპტიკური ცეცხლგამძლე ნივთიერებით. საჭიროა ავეჯის პერიოდული შემოწმება ხის მავნებლების გავრცელების შემოწმების მიზნით.

ავეჯის დამზადებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ლითონის კარკასები, ასევე ლითონის თხელფურცლოვანი სტელაჟები და კარადები.

საფონდო შესანახი ავეჯის დამზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ექსპონატების რაოდენობა და გაბარიტები. ფურცლოვანი ქაღალდის მასალის შესანახად გამოიყენება შეუმინავკარიანი პატარა უჯრებიანი კარადები. ასეთი კარადები გამოიყენება ქსოვილების, ასევე ნუმიზმატიკური მასალის შესანახად.

კერამიკული მასალის შესანახად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტელაჟები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიტულების /ფრინველების, ძუძუმწოვრების/ [illegible] ძვლოვანი მასალების შენახვისათვის გამოიყენება სპეციალური სკივრები.

ნუმიზმატიკური კოლექციების შესანახად საჭიროა გამოყენებულ იქნეს კარადები, სადაც გამოსაწევ თხელ თაროებზე დაეწყობა ცალ-ცალკე კოლოფები. მონეტების ჩაწყობა შეიძლება პატარა კონვერტებში.

მცირე მოცულობის ნივთების შესანახად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუყაოს სახურავიანი კოლოფები, რომლებიც მჭიდროდ შეიდგმება სტელაჟებში.

ფონდსაცავებში მიზანშეწონილია იყოს რაიმე სათავსო, სადაც შევა ახალი ექსპონატი გადასარჩევად.

ყოველ მუზეუმს უნდა ჰქონდეს ე.წ. "იზოლატორი" საგანგებო ოთახი, ახალშემოსული ექსპონატების დროებით შესანახად და შესამოწმებლად. ასევე სასურველია მუზეუმს ჰქონდეს სადეზინფექციო საკანი.

სამეურნეო ინვენტარი, რაც საჭიროა ფონდსაცავისათვის / ფუნჯები, ბონარი, მტვერსასრუტი, სალებავი.../ უნდა ინახებოდეს სპეციალურ საკუჭნაოში.

ფონდსაცავების კარი მჭიდრო და საიმედო უნდა იკეტებოდეს და ილუქებოდეს.

სამუზეუმო კოლექციების თვალსაჩინო ნაწილი, რომელიც სამეცნიერო მნიშვნელობით და აღქმის თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეულია, თავმოყრილია ექსპოზიციებში, ამდენად მისი დაცვის უზრუნველყოფა და საგანგებო ზომების მიღება ყველა მუზეუმის უპირველეს საზრუნავს შეადგენს. აქვეა გასათვალისწინებელი, რომ ექსპონირებულ მასალებში უფრო მეტია დაზიანე-

ბის პროცენტი. ექსპონატების დატაცების თავიდან აცილების მიზნით საექსპოზიციო ავეჯს უნდა ჰქონდეს საიმედო საკეტები და სპეციალური მოწყობილობა პლომბის დასადებად. შეუმინავ სტენდებზე და ღია ექსპოზიციებში კეთდება ბარიერი, საჭიროების შემთხვევაში კი ექსპონატები იხურება მინის ხუფებით.

გახურებისა და ცეცხლის თავიდან აცილების მიზნით ექსპონატები, როგორც წესი, განლაგებული უნდა იყოს სათბობი ხელსაწყოების, ნათურების და ელექტროფარებისაგან სულ მცირე 1,5-2 მ დაშორებით. საექსპოზიციო დარბაზებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია და მოწყობილობანი.

ძვირფასი ლითონებისა და ქვების ექსპონირება ხდება დაკეტილ, შემინულ კარადებში და ვიტრინებში.

მუზეუმის დაცვა ეკისრებათ დარაჯებს, რომლებიც შენობის კომენდანტის ან დაცვის უფროსის განკარგულებაში იმყოფებიან. დაცვა ხორციელდება სადღეღამისო მორიგეობით, სპეციალური ინსტრუქციების მიხედვით.

როგორც ვთქვით, ხანძარსაწინააღმდეგო სადღეღამისო დაცვისათვის მოწოდებულია მეხანძრეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, ისე, რომ მუზეუმის დაცვა უნდა განხორციელდეს ერთიანი სახანძრო-სადარაჯო კომპლექსური სამსახურით.

საცავებისა და საექსპოზიციო დარბაზების ყველა კარს, ასევე კარადებს და ვიტრინებს უნდა ჰქონდეს რიგითი ნომერი, მარყუჟი პლომბისათვის და საკეტი ორი გასაღებით. საცავებისა და საექსპოზიციო დარბაზების გასაღებების პირველი ეგზემპლარი უნდა ინახებოდეს სპეციალურ დაკეტილ კარადაში, რომლის გასა-

ლები ინახება პასუხისმგებელ მორიგესთან ან შენობის დაცვის უფროსთან. გასაღებების მეორე ეგზემპლარები ინახება მთავარ მცველთან ან მუზეუმის დირექტორთან. მუზეუმიდან გასაღების გატანა აკრძალულია.

არასამუშაო საათებში შენობა, რომელშიც ფონდსაცავები და საექსპოზიციო დარბაზებია, იკეტება და ილუქება სპეციალური პლომბით ან ბეჭდით.

საექსპოზიციო დარბაზების დაბეჭდვა წარმოებს მუზეუმის მცველისა და მუზეუმის მსახურის თანდასწრებით. პლომბს ხსნის კომენდანტი მუზეუმის მცველისა და მუზეუმის მსახურის თანდასწრებით.

პლომბის დადება და ახსნა ტარდება საგანგებო რვეულში, რომელიც ინახება კომენდანტთან.

ძვირფასი ლითონებისა და ქვების ექსპონატების საცავი იზოლირებული უნდა იქნეს სხვა ფონდებისაგან. ასეთ საცავებს უკეთდება რკინის კარი და რკინის გისოსები სარკმლებზე.

ძვირფასი ლითონების და ქვების ექსპონატები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში, ასეთ საცავში უნდა იყოს განსაკუთრებული ჟურნალი, რომელშიც მცველის ხელმოწერით აღინიშნება საცავის გახსნის და დაკეტვის ყველა შემთხვევა.

სამუზეუმო ფონდების მოვლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ნორმალური ტემპერატურისა და ჰაერის საჭირო ტენიანობის დაცვა.

მუზეუმის შენობის გათბობა უნდა დაიწყოს შემოდგომით, გათბობის ინტენსივობის თანდათანობითი მატებით, ამინდების მიხედვით. გათბობის ინტენსივობა თანდათან უნდა შემცირდეს გაზაფხულზე და ბოლოს შეწყდეს.

მუზეუმის შენობაში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს + 12 + 18 გრადუსის ფარგლებში ცელსიუსით, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა კი 55%-დან 70%-მდე. დღე-ღამეში დასაშვებია 5% მერყეობა.

ტემპერატურისა და ტენიანობის რეგისტრაციისათვის, ყოველ ფონდსაცავში და საექსპოზიციო დარბაზში უნდა დაიდგას თერმომეტრი, ფსიქომეტრი და უნდა განხორციელდეს ყოველდღიური კონტროლი სათანადო ჩანაწერების გაკეთებით სპეციალურ ჟურნალში.

თუ შენობაში მეტისმეტად მშრალი ჰაერია, დასატენიანებლად რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი აორთქლება, რისთვისაც სათავსოებში უნდა დაიდგას წყლით სავსე ღია ჭურჭლები.

ყველა სათავსო, სადაც ექსპონატებია მოთავსებული, რეგულარულად უნდა ნიავდებოდეს, ოღონდ დაუშვებელია ჰაერის ნაკადის უშუალოდ ექსპონატებზე. განიავება უნდა მოხდეს მზიან ამინდში, როდესაც შიდა და გარე ტემპერატურას შორის მკვეთრი სხვაობა არ არის. ექსპონატებზე ცუდად მოქმედებს ჰაერის გაბინძურებული აირები /ამიაკი, გოგირდოვანი აირი, მანქანების გამონაბოლქვი და სხვ./; ამიტომ საჭიროა თვალყურის დევნება მუზეუმის შენობების ირგვლივ სისუფთავეზე და საჭირო შემთხვევებში სავენტილაციო არხებში დაიდგას ფილტრები.

მუზეუმის სათავსოები უნდა იწმინდებოდეს მტვერსასრუტებით, იატაკი უნდა დაიგავოს მშრალი მაუდის ქეჩებით, ქვის და ფილაქნის იატაკები- კარგად გაწურული ჩვრით.

ხელოვნური განათება, ასევე პირდაპირი მზის სხივები ცუდად მოქმედებს ექსპონატებზე, განსაკუთრებით ორგანული

წარმოშობის ნივთებზე /ხე, ქაღალდი, ტყავი, ძვალი და სხვ./. სინათლისადმი ნაკლებად მგრძნობიარეა ლითონი, ქვა და კერამიკა. სინათლის მოქმედება უფრო ძლიერია თუ მას თან ერთვის ტენიანობა. აქედან გამომდინარე, სინათლისადმი მგრძნობიარე ექსპონატები უნდა ინახებოდეს სინათლის წყაროსაგან იზოლირებულ კარადებში ან საქაღალდეებში და საცავები რეგულარულად ნიავდებოდეს და შრებოდეს.

სამუზეუმო ფონდების მოვლა-პატრონობის წესები დადგენილია სათანადო ინსტრუქციებით და მათი დაცვა ყველა მუზეუმის აუცილებელ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს.

## სამეცნიერო მუშაობა

სამუზეუმო საქმიანობის მრავალფეროვანსა და რთულ კომპლექსში სამეცნიერო მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა, უყოყმანოდ უნდა ვაღიაროთ, რომ სამუზეუმო მასალის მოძიება, ფონდში დაცვა, მეცნიერული აღწერა თუ დოკუმენტური დამუშავება ისევე, როგორც ექსპოზიციის მოწყობა, სამეცნიერო საქმიანობის ცალკეული მხარეებია და ისინი არ უნდა გამოვრიცხოთ საერთო-სამუზეუმო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიდან. აქ განსაკუთრებით იგულისხმება შემაჯამებელი მეცნიერული კვლევა, მონოგრაფიული შესწავლა-დამუშავება, რაც სამუზეუმო მასალების სწორი მეცნიერული ანალიზის და ინტერპრეტაციის საფუძველზე თანამედროვე მეცნიერების დონის შესაფერისი მეცნიერული პროდუქციის მიღებას ვარაუდობს.

თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს დიდი მუზეუმების ისტორიას, ვნახავთ, რომ სწორედ მუზეუმებში იქმნებოდა ფუნდამენტური ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა დარგში- ხელოვნებაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, პალეონტოლოგიაში, ბიოლოგიაში

და სხვ. იმ დისციპლინებში, რომელთა კვლევაც უშუალოდ ნივთიერი მასალის შესწავლასთან იყო დაკავშირებული. ეს ცხადია და არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც მასალები მუზეუმებში იყო დაცული და ხელმისაწვდომი პირველ რიგში მუზეუმების მუშაკებისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თუ ბუნების მოვლენების შემეცნების შესწავლაში სამუზეუმო ექსპონატებს, როგორც პირველწყაროებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მუზეუმის ნივთიერი ძეგლების გაანალიზება, გულდასმითი მეცნიერული კვლევა მხოლოდ მასალის ყოველმხრივ შესწავლის შედეგად შეიძლება მოხდეს, რაც გულისხმობს ცალკეული კოლექციის და ცალკეული ნივთის მონოგრაფიულ შესწავლას და დასკვნას. ასეთი მიდგომით თავიდან იქნება აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა, რაც შეიძლება მოჰყვეს ძეგლის ზერელე და ზედაპირულ გაშუქებას, მის შეტანას ექსპოზიციაში და მცდარი ინფორმაციის მიწოდებას დამთვალიერებლისათვის, მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის დროს.

სამუზეუმო ნივთის მონოგრაფიული შესწავლა საშური საქმეა და საჭიროა საზოგადოება იცნობდეს მას, უნდა მოხვდეს სამეცნიერო მიმოქცევაში. სამუზეუმო ნივთების შესწავლას, დაწყებული ექსპონატების ზედმიწევნით მეცნიერული აღწერილობიდან, დამთავრებული მონოგრაფიული კვლევით, აქვს დიდი სამეცნიერო ღირებულება. კარგად არის ცნობილი, რომ მუზეუმების დიდ ნაწილში თავმოყრილია უნიკალური, იშვიათი კოლექციები, რომელთაც ფასდაუდებელი მეცნიერული რეზონანსი აქვთ და მეცნიერული თუ ხელოვნების თვალსაზრისით განუზომელ ინტერესს აღძრავენ. ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ ექსპოზიციებში ხვდება მხოლოდ სა-

მუზეუმი კოლექციების მხოლოდ მცირე ნაწილი. ამ მხრივ ზოგადი კრიტერიუმი არ არსებობს, და ყველა მუზეუმი საექსპოზიციო სამუშაოების დროს ახერხებს არსებული პირობების შესაბამისად. ცნობილია, რომ შედარებით მეტი ნივთებია ექსპონირებული სამხატვრო მუზეუმებში. არც ერთ დიდ მუზეუმში არსებული მასალების სრული ექსპონირება არ არის ცნობილი, ე.ი. როგორც ჩანს სამუზეუმო კოლექციების უდიდესი უმეტესობა, თანაც მეტად დიდი მეცნიერული ღირებულებისა ფონდსაცავებშია მოთავსებული. სწორედ ასეთი ეთაერების დამო სამუზეუმო ნივთების მეცნიერულ შესწავლას და პუბლიკაციას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება და ამიტომაც არის, რომ მუზეუმი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ ექსპოზიციებთან და ფონდებთან დაკავშირებულ კვლევას, არამედ ფონდებში დაცული მასალების მონოგრაფიულ შესწავლას.

სამუზეუმო სამეცნიერო სამუშაოების თემატიკის მასშტაბები რამდენადმე განისაზღვრება უშუალოდ იმ კოლექციებით, რომლებიც დაცულია ამა თუ იმ მუზეუმში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სამუზეუმო მასალიდან გამომდინარე თეორიული და ზოგადი კვლევის შესაძლებლობებსაც. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მუზეუმი საექსპოზიციო სამუშაოების დროსთან დაკავშირებით, დგება ზოგი მწვავე, ჯერ კიდევ გადაუჭრელი მეცნიერული პრობლემის წინაშე, რომლის ნივთიერი ძეგლებით გახსნაც, ილუსტრებით არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში მუზეუმს უნდა შეუძლოს საკუთარი მეცნიერული ძალებით საქმის მოგვარება. ასევე არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც რომელიმე სამეცნიერო თემის გახსნისათვის მუზეუმის კოლექციები ხარვეზიანად

გამოიყურება და საჭიროა პირველ ყოვლისა, მოძიებით სამუ-შაოების დაგეგმვა და შემდეგში კი მოპოვებული მასალების მეცნიერული დამუშავება და ადგილის მიჩენა ექსპოზიციაში.

ამდენად, თუ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მუზეუმების სამეცნიერო კვლევა მრავალსახიან და მრავალფე-როვან ჭრილში შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა თქმა უნდა სა-მუზეუმო მეცნიერული პროფილის შესაბამისად. ასევე მრავალ-ნაირი სახისაა მეცნიერული პროდუქციაც, რაშიც იგულისხმება ნივთების თუ კოლექციების მეცნიერული პუბლიკაციები, მეცნი-ერული სტატიები, მონოგრაფიები, განმაზოგადებელი და თეორი-ული გამოკვლევები და სხვა.

მეცნიერული კვლევის ობიექტებს პირველ რიგში შეად-გენენ როგორც ვთქვით სამუზეუმო კოლექციები, რომლებიც და-ცულია მუზეუმებში.

სამუზეუმო პრაქტიკაში ხანგრძლივი გამოცდილების შე-დეგად დამკვიდრდა სამუზეუმო კრებულების გამოცემის ჩამოყა-ლიბებული არაერთი სახე /"მოამბე", "შრომები", "აღწერილო-ბანი", "სიძველეები" და სხვ./, რომელიც დღესაც გამოიყენება.

სამუზეუმო გამოცემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული სახეა საკატალოგო აღწერილობანი. კატალოგი ძირითადი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მეცნი-ერულად დამუშავებული და შესწავლილი სამუზეუმო კოლექციების პუბლიკაცია. დღეისათვის ძალიან გავრცელებულია სათანადო სა-ილუსტრაციო მასალების, საკოლექციო [illegible] აღწერილობის და საჭირო ავტორის მიმთითებებით შედგენილი ზედმიწევნით სრული და ზუსტი კატალოგების [illegible] ფორმა, რომ-ლის მიხედვითაც შესაძლებელია სამუზეუმო კოლექციის გამო-

ბა. კატალოგების ბეჭდვით შესაძლებელია გავეცნოთ ნებისმიერი მუზეუმის არა მარტო საექსპოზიციო მასალებს, არამედ ფონდსაცავებში დაცულ კოლექციებსაც. ზოგ მუზეუმებში შემოღებულია კატალოგების სერია, რომლის თითოეული ნაკვეთი ეძღვნება ამა თუ იმ კოლექციის გამოქვეყნებას. ზოგჯერ წესდება სერიები ხელოვნების ან მეცნიერების რომელიმე დარგის, ან მიმდინარეობის კოლექციების პუბლიკაციებისათვის, მაგ., "ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები", "ისლამის ხელოვნება", "ძველი ბერძნული ხელოვნება" და სხვ. ასეთი სერიები ეთმობა არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაციასაც.

სამეცნიერო მუშაობა მუზეუმებში თავისთავად გულისხმობს არა მარტო კოლექციების მეცნიერულ შესწავლას და პუბლიკაციას, არამედ სამუშაოთა მთელ კომპლექსს, მუზეუმების გეგმიური საქმიანობის სერიიდან. სამუშაოთა ამ რიგში განსახილველია სამუზეუმო მასალების მოძიება სამეცნიერო პრობლემის მიხედვით, რაც ხორციელდება მივლინებების და ექსპედიციების მეშვეობით; სამუზეუმო დოკუმენტაციის შედგენა; კამერალური დამუშავება; საექსპოზიციო მასალის შერჩევა და მრავალმხრივი მეცნიერული ანალიზი. ადრეც იყო აღნიშნული და კვლავ გავიმეორებთ, სამუზეუმო მეცნიერული კვლევა-ძიება არ გამორიცხავს თეორიული და განზოგადებული სამეცნიერო ნაშრომების შექმნას. პირიქით, როგორც წესი, ნივთიერი კულტურის ძეგლების ორიგინალზე ასეთი სახის მონოგრაფიები სწორედ სამუზეუმო ლაბორატორიებში იქმნება სამუზეუმო კოლექციების სრულყოფილი მეცნიერული შესწავლის კვალდაკვალ.

სამუზეუმო მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, ასევე მუზეოლოგიური ნაშრომების შექმნა არა მარტო ად-

ნიშნული დისციპლინის თეორიული საკითხების ირგვლივ, არამედ მისი ცალკეული პრაქტიკული საქმიანობის შესახებაც. სწორედ მუზეუმებში ყალიბდება ის მეცნიერული რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე მუზეუმების განვითარებას.

## საექსპოზიციო მუშაობა

ექსპოზიცია მუზეუმის და მისი მეცნიერული მიღწევების სახეა. ამიტომ ეს ორივე ელემენტი /ექსპოზიცია და მეცნიერული დონე/ თანაფარდობაში უნდა იმყოფებოდეს. მაშასადამე, ექსპოზიციის ხასიათი და დონე პირდაპირ დამოკიდებულებაშია გაწეულ მეცნიერულ შრომასთან და მეცნიერულ მიღწევებთან; ექსპოზიციების მაღალ ხარისხზე შეიძლება საუბარი მხოლოდ მისი მაღალი მეცნიერული ღირებულებით, როდესაც ლაპარაკია მაღალ მეცნიერულ მიღწევებზე და მის შესაბამისობასთან ექსპოზიციასთან. იგულისხმება შესაფერი ტექნიკური შესაძლებლობანიც, რომლებიც მხატვრული ფორმების შერჩევასთან ერთად ინდივიდუალური დონის, ყველა შემთხვევაში თანამედროვეობის შესაფერისი დონის ამსახველი უნდა იყოს.

დიდი მეცნიერული და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ფასეულობანი- ხალხის ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები, ბუნების ამსახველი მასალები, რომლებიც მუზეუმშია დაცული, ხალხის საკუთრებაა. ხალხს კი მუზეუმები ძირითადად ექსპოზიციებით ხვდებიან, ამიტომ საექსპოზიციო მუშაობა ხანდახან ურთიერთობის, მეცნიერული ცოდნის გავრცელების და პროპაგანდის მთავარი საშუალებაა.

ექსპოზიციის მოწყობა რთული და შრომატევადი სამუშაოების კომპლექსია, მისი შექმნისათვის, საექსპოზიციო თემა-

ტიკასთან დაკავშირებით საჭიროა საკითხების ყოველმხრივ დამუშავება, საგამოფენო მასალის შესწავლა და შერჩევა. ამასთანავე არ უნდა შემოვიფარგლოთ არსებული მასალებით და საჭიროების შემთხვევაში გადაიდგას ნაბიჯი აუცილებელი და საჭირო მასალების მოსაძიებლად. სწორედ საექსპოზიციო სამუშაოების საჭიროების მიხედვით უნდა იგეგმებოდეს მოძიებითი სამუშაოები და ივსებოდეს მუზეუმების ფონდები.

ამრიგად, ექსპოზიციის მომზადების და ექსპონატების პროცესში არა მარტო არსებული ფონდები და მათი შესწავლის მეცნიერული შედეგები უნდა იყოს გამოყენებული, მომავალმა ექსპოზიციებმა უნდა მისცეს სრული და მეცნიერული გამოხომიერი მიმართულება ფონდების გამდიდრებას და სამეცნიერო კვლევა-ძიების გაშლას საჭირო თემატიკის მიხედვით.

საექსპოზიციო თემატიკის შერჩევა მუზეუმის პროფილის მიხედვით, სამეცნიერო რეკომენდაციით შეიძლება მოხდეს. კარგადაა ცნობილი, რომ ნებისმიერი სამუზეუმო ნივთი პირველწყაროა საზოგადოების ან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მისი ჩვენება გარკვეული სისტემის გარეშე რაიმე მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს. საჭიროა სამუზეუმო ნივთების თუ კოლექციების დაჯგუფება, გაერთიანება, განვითარების სრული სურათის მიღების თვალსაზრისით, გარკვეული თემატიკის მიხედვით. ექსპოზიციის მიზანი უნდა და გამოხატავდეს მუზეუმის პროფილის და შესაბამისი მასალების არსებობის გათვალისწინებით.

ისტორიული პროფილის მუზეუმებში ნივთიერი და საერთოდ ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე ძეგლები, რომლებიც ასახავენ საზოგადოების რომელიმე მხარეს, ექსპოზიცია შეიძლება აიგოს

ქრონოლოგიურ პრინციპზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით. ექსპოზიციის ცალკეულ ნაწილებში შეიძლება ვაჩვენოთ ისტორიული პროცესის არსებითი მოვლენები.

საისტორიო პროფილის მუზეუმების ექსპოზიციები მრავალფეროვანი თემატიკით შეიძლება განხორციელდეს და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპოზიცია შეიძლება შეიქმნას გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით, შესაბამისი არსებული ნივთიერი და ისტორიული ძეგლების გამოყენებით.

საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმებში ექსპოზიციების მოწყობა ძირითადად ემყარება ბუნების განვითარების ისტორიული პროცესების ასახვას, ადამიანის მიერ მისი გამოყენების და გარდაქმნის გზებისა და მეთოდების ჩვენებით. აქ, კომპლექსური ასახვის მეთოდით მხედველობაშია მისაღები ლანდშაფტური და ზონალური თავისებურებები დადგენილი ნომენკლატურული სახეების თანმიმდევრული განვითარებით. გარდა ამისა, საკმაოდ პოპულარულია დარგობრივი ექსპოზიციების მოწყობის პრაქტიკაც /მინერალოგიური, პალეონტოლოგიური და სხვა ექსპოზიციები/.

ცხადია, პროფილის ერთგვაროვნების მიუხედავად სხვადასხვა მუზეუმში სხვადასხვაგვარი ექსპოზიციებია მოწყობილი და ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მთელი რიგი თავისებურებებით. ეს გამოწვეულია ექსპონირებული მასალების სხვაობით, რამდენადაც ყოველი მუზეუმი ექსპოზიციას ქმნის მისი ხელთ არსებული ექსპონატების მეშვეობით.

მაშასადამე, სამუზეუმო ექსპოზიციის მოწყობა როგორც ვთქვით უნდა განხორციელდეს მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული გარკვეული თემატიკის მიხედვით, ყველა საჭირო ნივთ-

ერი მასალის გათვალისწინებით. თემას, რომელიც ექსპოზიცი-აში იხსნება საგამოფენო ჩვენების ხერხებით, სამუზეუმო პრაქ-ტიკაში უწოდებენ საექსპოზიციო თემას, ხოლო მეცნიერულად დასაბუთებულ საექსპოზიციო თემების კომპლექსს ექსპოზიციის თემატურ სტრუქტურას.

საექსპოზიციო მუშაობის ასეთი თანმიმდევრული და მწყობრი სურათი სამუზეუმო საქმის მრავალწლიანი განვითარების შედეგად არის მიღებული და სამუზეუმო ნივთიერი ძალების მეშ-ვეობით კარგად ასახავს მუზეუმისა და საზოგადოების განვითარე-ბის კანონზომიერების ეტაპებს.

ექსპოზიციის მოწყობა რთულ და შრომატევად სამუშაოებთან არის დაკავშირებული. მისი განხორციელება შესაძლებელია ეტაპობ-რივად, შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ექსპოზიციის თემატიკის მეცნიერული დასაბუთება და დაგეგმვა; საექსპოზიციო მასალების შერჩევა და საექსპოზიციო თემატიკის მოცულობის განსაზღვრა.

2. თემატური გეგმის შედგენა.

3. საექსპოზიციო გეგმის შედგენა.

4. დარბაზების მომზადება, დემო-ავეჯის, დამხმარე სა-შუალებების დამზადება.

5. ექსპოზიციის მონტაჟი.

6. ექსპოზიციის დოკუმენტური გაფორმება, ჩაბარება პა-სუხისმგებელი პირებისათვის.

ასეთი თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს ექსპოზიცია ნაწილობრივ, რაც გულისხმობს დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებას.

თავდაპირველად, ექსპოზიციის მოწყობისათვის, უპირველე-

სია საექსპოზიციო თემატიკის მკვეთრი განსაზღვრა, [illegible]
და მოხდეს მეცნიერული დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე; საჭიროა განისაზღვროს მომავალი ექსპოზიციის მოცულობა, სამუშაოთა შინაარსი და ის სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც გახსნიან საექსპოზიციო თემატიკას. საჭიროა შეირჩეს ყველა აუცილებელი საექსპოზიციო მასალა. თითოეულ მათგანზე შედგეს სამუშაო ბარათი ყველა აუცილებელი და საჭირო მონაცემების ჩვენებით /მასალის წარმავლობა, ზომები, თარიღი და სხვ./.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ დგება თემატური გეგმა, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს მომავალი ექსპოზიციის ყველა განყოფილება, ყველა თემა და ქვეთემა სათანადო საექსპოზიციო ექსპონატების ჩვენებით. თემატური გეგმა დგება სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ. საჭიროების შემთხვევაში არ არის გამორიცხული ავტორიტეტული და საქმის მცოდნე პირების მოწვევაც. თემატური გეგმა სათანადოდ რეცენზირებული და მოწონებული, უნდა იქცეს სამეცნიერო საბჭოს მსჯელობის საგნად. თუ საჭიროება მოითხოვს, შესაძლოა განხილულ იქნეს სპეციალისტების ფართო წრეშიც.

თემატური გეგმის შედგენისას ავტორები საჭიროა ხელმძღვანელობდნენ ზუსტი მეცნიერული ატრიბუტაციით, რათა ექსპოზიცია გაიმართოს თანამედროვე მეცნიერული დონის შესაბამისად. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ექსპოზიცია მასობრივი მეცნიერული პროპაგანდისათვის არის გამიზნული, რომელსაც განსხვავებული ცოდნის, ასაკის, ეროვნების და [illegible] დამთვალიერებელი ეყოლება. სირთულე ამის გამო დიდია, მაგრამ ექსპოზიციის წარმატება მასზე ძლიერაა დამოკიდებული, რათა

დამთვალიერებელმა სრულიად შეიგრძნოს, აღიქვას ყველა ის მოვლენა თუ სახე, რომელსაც ექსპოზიციაში გაეცნობა, თუმცა სხვადასხვა დამთვალიერებელი სხვაგვარად აღიქვამს მას.

მიუხედავად მუზეუმის სტუმართა არათანაბარი ინტელექტუალური თუ კონკრეტული დონისა, ექსპოზიცია მაინც ამაღლებული შემეცნებითი და მაღალ მხატვრული ღირსებები უნდა იყოს შემკული. მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ინტელექტუალური დონის ამაღლებასაც გულისხმობს. კარგად მოფიქრებული და აგებული საექსპოზიციო კომპლექსი ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა საგამოფენო დარბაზებში ნახოს თემის თანდათანობითი განვითარება, გამშვენებული ტექსტებით და დამხმარე საშუალებებით ჩასწვდეს ძირითად აზრს, მიჰყვეს მის სისტემატურ თხრობას და შეიქმნას დასრულებული აზრი ექსპოზიციის ირგვლივ, რომელსაც საშუზეუმო ნივთებს, მიეცემა სათანადო ვიზუალურ-ემოციური ხასიათი, მაყურებელი იძულებული ხდება ძალაუნებურად მოექცეს მის გავლენაში, ხარბად აითვისოს ის, დაიმახსოვროს და შთაბეჭდილებებით დასტოვოს გამოფენა, ამ შემთხვევაში ერთი საშიშროება არსებობს- მაყურებელი არ დაიღალოს, არ გაეფანტოს ყურადღება, და შეძლოს უმთავრესი საზის დაჭერა. ასეთი საშიშროება რაც უნდა იშვიათი ნიმუშებით იყოს ის წარმოდგენილი, ნებისმიერ ექსპოზიციაში შეიძლება გაჩნდეს. ასეთი ვითარება აუცილებლად გასათვალისწინებელია საექსპოზიციო გეგმის შედგენისას და ექსპოზიციის ავტორებმა უნდა შეძლონ ძირითადი და წამყვანი თემის გამხსნელი მასალების გამოყოფა. ასეთი "აქცენტების" შექმნა მიზანშეწონილია ცალკეული თემების და ცალკეული საექსპოზიციო დარბაზების მიხედვით.

თემატური გეგმის შედგენის დროსაც უნდა გაითვალისწინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე საშუალებების გამოყენება, თანმხლები ტექსტები და სხვა. რამდენადაც აღნიშნული გეგმა ძირითადად განსაზღვრავს მომავალ საექსპოზიციო სამუშაოებს და მის მოცულობას, იმთავითვე გასათვალისწინებელია ის საექსპოზიციო ფართობი, სადაც ეწყობა გამოფენა, დარბაზების მოცულობა, საგამოფენო ფართი, განათების წყარო, ექსპოზიციის მარშრუტი და სხვა.

თემატური გეგმის საფუძველზე დგება საექსპოზიციო გეგმა. საექსპოზიციო სამუშაოების ამ ეტაპზე წყდება ექსპოზიციის მხატვრული გაფორმების ყველა საკითხი: ნივთების განაწილება თემატური გეგმის მიხედვით, საგამოფენო ავეჯის დადგმა, განათების პრობლემის მოგვარება. საექსპოზიციო გეგმა ისეთნაირად უნდა იყოს შედგენილი, რომ ყველა ნივთს, დამხმარე საშუალებებს თუ სხვა ელემენტს თავისი ადგილი მიეჩინოს საგამოფენო დარბაზების მიხედვით. დგება ყველა ვიტრინის თუ სხვა მოწყობილობების ესკიზები, ფერადი ფონების სქემები, განათების წყაროების აღნიშვნა და სხვ. ერთი სიტყვით, იქმნება დაზუსტებული საექსპოზიციო გეგმა-სცენარი, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ექსპოზიციის მონტაჟი. გეგმაში ყველა დეტალი უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც სამეცნიერო ისე სამხატვრო.

საექსპოზიციო გეგმას, ისევე როგორც თემატურს, იხილავს და ამტკიცებს ავტორიტეტული და საქმის მცოდნე სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისია და მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

თემატური და საექსპოზიციო გეგმების კვალდაკვალ ხდება საგამოფენო დარბაზების მომზადება საექსპოზიციოდ. აღნიშნული ტექნიკური სამუშაოების განხორციელება ექსპოზი-

ციის მხატვრული კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილია და მას-ზე დიდად არის დამოკიდებული თვით ექსპოზიციის ეფექტიანო-ბა. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო საექსპოზიციო გეგმაზე მუშაობისას, რაც უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, მხატ-ვარ-გამფორმებლებისა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ.

თუ წინასწარი სამუშაოები- თემატური და საექსპოზიციო გეგმების შედგენა და დარბაზების მომზადება კარგად მოფიქრე-ბული იდეის მიხედვით განხორციელდება, სამონტაჟო სამუშაოე-ბი წარმატებით შესრულდება და ექსპოზიცია სასურველ შედეგს გამოიღებს.

საექსპოზიციო გეგმის შედგენისას და მისი შესრულების დროს მხატვარ-გამფორმებლებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მათი უპირველესი ვალია ექსპოზიციის ძირითადი არსის და იდეის მაყურებლამდე მიტანის და აღქმის შემოქმედებითი გადაწყვეტა. აქ ყოვლად მიუღებელია შაბლონური, მექანიკური მიდგომა საქმი-სადმი. ექსპოზიციის გამფორმებელი მხატვარი შემოქმედი უნდა იყოს, რომელიც შეძლებს საგამოფენო იდეის მხატვრულ ხორცშესხ-მას, სპეციფიკური საშუალებებით ნივთის მიტანას სხვადასხვა დონის მაყურებელთან, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს არსებითის გამოყოფა, თანამიმდევრული სურათის შექმნა. ექსპოზიციის ეს-თეტიკური ფორმის გამონახვა და ემოციურ-ზემოქმედების საშუა-ლებების მიღწევა უშუალოდ მხატვრის შემოქმედებითი ორსებების არსენალიდან უნდა ხდებოდეს.

ექსპოზიციის მხატვრულ გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცალკეული თემების ჩვენება, საექსპოზიციო იდეის განვითარება და "აქცენტების" დასმა სადაც საჭიროება მოითხოვს. მხატვარი კარგად უნდა იცნობდეს და ღრმად ჩასწვდეს

აქტორის ჩანაფიქრს; თითოეულმა თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალმა /არასწორად შერჩეული ფონი, განათება, ტექსტების არასწორი ზომა/ შეიძლება ეფექტი დაუკარგოს კარგად მოფიქრებული თემის გახსნას.

ექსპოზიციის მოწყობისას სრულიად მიუღებელია ზედმეტობა, რასაც არცთუ იშვიათად მიმართავენ გამფორმებლები /დარბაზების არქიტექტურული დეკორი, სამუზეუმო ექსპონატების გამოყენება დეკორატიული მიზნებისათვის, მხატვრული ტილოები და სხვ./. ექსპოზიციის ძირითადი ობიექტი სამუზეუმო ექსპონატია და ყველა საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული მისი აღქმისათვის, სხვა დანარჩენი ზედმეტია. მაყურებლის თვალს უნდა ხვდებოდეს ნივთი და არა სხვა რამ. სამწუხაროდ, ხშირად ექსპოზიციაში სხვა ელემენტები უფრო ჭარბობენ /ჭრელი იატაკი, ლამაზჩუქურთმიანი პარკეტი, გაკამკამებული ჭაღები, ორნამენტიანი ვიტრინები და სხვ./, რის გამოც მაყურებელი გაოგნებული დადის დარბაზში, ყურადღება ეფანტება აქეთ-იქით ცქერით და საექსპოზიციო დარბაზს სტოვებს მეორეხარისხოვანი და ზედმეტი ნივთების შთაბეჭდილებით. საგამოფენო დარბაზებში წყნარი და მშვიდი ატმოსფერო უნდა იგრძნობოდეს, არავითარი ზედმეტობა არ არის საჭირო, მაყურებლის ყურადღებას მხოლოდ საექსპოზიციო მასალები უნდა იპყრობდეს. გამოფენის ასეთი სტილი დღეს წარმატებით ინერგება მსოფლიოს ყველა დიდ მუზეუმში და მას საფუძველი ერთ-ერთმა პირველმა დაუდო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპოზიციამ, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა.

ექსპოზიციის მოწყობის დამაგვირგვინებელია სამონტაჟო სამუშაოები. ექსპონატების განლაგება ხდება ძირითადად თემატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და საექსპოზიციო ტექნის მიხედვით, რომლის საფუძველზედაც მხატვარ-გამფორმებლების მიერ შექმნილი ესკიზების მიხედვით გამოფენას ეძლევა დასრულებული სახე.

ექსპოზიციის ცალკეულ კუთხეს, თემატური დაჯგუფების მიხედვით, სასურველია მიეცეს მკვეთრად გამოყოფილი საგამოფენო ფართობი, რომ მნახველმა შეძლოს ცალკეული თემატური დანაყოფების გამიჯვნა. ხშირად, საგამოფენო დარბაზები ასეთი გამიჯვნის საშუალებას არ იძლევიან და ამ შემთხვევაში დიზაინერული ხერხების გამოყენებაა საჭირო.

საექსპოზიციო მასალის მოწყობისას მხატვრის უნარიანობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. რაც უნდა მრავალფეროვანი მასალა იყოს ამა თუ იმ თემის გასახსნელად, ყოველთვის მათი ერთი სისტემით და თანაბრად წარმოდგენა სასურველ შედეგს ვერ იძლევა და საჭიროა მათგან უფრო გამოსარჩეულის, წამყვანის წამოწევა, რომელსაც პირველ რიგში მიაქცევს ყურადღებას დამთვალიერებელი /"პირველი პლანის" ექსპონატები/. საამისოდ მრავალგვარი ხერხი არსებობს /განსხვავებული ფონის შექმნა, წინ წამოწევა, გამოცალკევება და სხვ./, რომლის შერჩევაც მხატვრის გემოვნებაზეა დამოკიდებული. ასევე, ნივთების მოწყობისას გასათვალისწინებელია მათი ვიზუალური განლაგების მოხერხებული ადგილი, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური დამთვალიერებლებისათვის.

ექსპოზიციის მოწყობისას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პირველი შთაბეჭდილების საკითხს. აქ იგულისხმება ის საერთო პირველი ემოცია, რომელიც მნახველს დაეუფლება დარბაზში შესვლისას, განაწყობს მარშრუტის მიმართ და თავისებურ გუნება-განწყობილებას შეუქმნის ექსპოზიციის დათვალიერებისას. ეს მო-

მენტი კარგად უნდა იყოს მოფიქრებული მხატვრის მიერ კომპლე-სურად, ერთიანი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. აქ, პირველ ყოვლისა, მნახველზე მოქმედებს ვიტრინების განლაგება, განა-თების ეფექტი, და კარგად მოფიქრებული "აქცენტი" /ან "აქცე-ნტები"/. თუ დარბაზების ანფილადური განაწილებაა, კარგად არის მოსაფიქრებული ჩამკეტი კედლის გაფორმება, რომელსაც შო-რიდანვე, ფაქიზად გამოყოფილი ორიენტირის ფუნქცია ენიჭება.

ცხადია, არ არსებობს გარკვეული კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება ყველა შემთხვევაში იყოს გამოსაყენებელი და მისაღე-ბი მხატვრის მიერ. ყველა ცალკე აღებულ ექსპოზიციას თავისე-ბური მიდგომა ესაჭიროება, თუმცა გარკვეულ "სტანდარტს" გვერდს ვერ ავუვლით. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება აუცილებელ მოთხოვნას, რომ ნივთის ნახვა დამთვალიერებელს შეეძლოს დაძაბულობის გარე-შე, თავისუფლად, დაცული იქნეს ვიტრინასთან მიახლოების საშუა-ლო სტანდარტი ან ნივთების ვიტრინებში მოთავსების საშუალო სი-მაღლე, დიდ-პატარა მოცულობის ნივთების სტენდზე განაწილების ჩვეულებრივი მოთხოვნით- მცირე ზომის ნივთების მიწასთან ახლოს დიდგაბარიტიანისა უკან მოშორებით და ა.შ.

ყოვლად დაუშვებელია დარბაზების გადატვირთვა საექსპო-ზიციო მასალებით. ასეთ გამოფენებზე მნახველის ყურადღება იფა-ნტება, და არ არის გამიჯნული ძირითადი და წამყვანი ექსპო-ნატები დარჩეს ყურადღების გარეშე.

თუ კარგადაა მოსაფიქრებული დამხმარე მასალების ჩვენება /რუკები, დიაგრამები, ცხრილები, სქემები, პანორამული ფოტოები და სხვა/ მაშინ ასეთი მასალები ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი ექსპონატების შემეცნებას და განმარტებას. ასევე ორგანულად და მოხერხებულად უნდა იყოს ჩართული განმარტებითი ტექსტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველა ორიგინალი ნივთი, გარდა დიდი ზომის ექსპონატებისა, დაზიანების, დამტვერიანების და დატაცების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოთავსდეს შემინულ ვიტრინაში.

ექსპოზიციის მოწყობის დასრულებისთანავე, სანამ ის ექსპლუატაციაში შევიდოდეს, საჭიროა ყველა საგამოფენო ავეჯის დანომრვა, საიმედოდ ჩაკეტვა და დაპლომბვა.

ექსპოზიციაში გატანილ ყველა ექსპონატის შესახებ, საჭიროა შედგეს სათანადო აქტი ფონდებიდან მათი ექსპოზიციაში გატანის დროს. ექსპონირებული მასალები /ორიგინალები/ მკაცრად აღირიცხება, შედგება სიები და დაპლომბილი ვიტრინები სიებთან ერთად ჩაბარდება საექსპოზიციო განყოფილებას.

ექსპოზიციაში არსებული ნივთები ისეთივე დაცვასა და ზრუნვას მოითხოვენ როგორც ფონდსაცავებში მოთავსებული ექსპონატები, იმ განსხვავებით, რომ ექსპოზიციაში უფრო მეტი რისკია დაზიანებისა და დატაცებისა, მით უმეტეს, რომ საუკეთესო სამუზეუმო ექსპონატები სწორედ ექსპოზიციებში არიან განლაგებული. აქედან გამომდინარე, ექსპოზიციის მოვლა-პატრონობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. აქ დაცვის ისეთივე მეთოდები გამოიყენება როგორც ფონდსაცავებში.

დიდ მუზეუმებში ექსპოზიციებს სპეციალური განყოფილება ემსახურება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს გამოფენების ექსპლოატაციას, მის დაცვას და კონტროლს. გარდა ამისა გამოიყენება დაცვის თანამედროვე ყველა ტექნიკური აღჭურვილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუზეუმო საექსპოზიციო კოლექციების კლასიფი-
კაცია

სამუზეუმო კოლექციების მრავალფეროვნება ყველა მუზეუმისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად მათი კლასიფიკაცია- ცალკეული ჯგუფებით წარმოდგენა- უნდა ხდებოდეს მასალების რაგვარობის და ფუნქციის მიხედვით, ქრონოლოგიის პრინციპზე. მუზეუმების საფონდო კოლექციების აბსოლუტური უმეტესობა დედნებისაგან შედგება, უშუალოდ ორიგინალებს წარმოადგენს. რაც შეეხება საექსპოზიციოს, სხვადასხვა სახის საგამოფენოდ გამიზნულ ნივთებსა და მასალებს, ისინი შეიძლება ორ დიდ ძირითად ჯგუფში წარმოვადგინოთ. ესენია: დედნები /ორიგინალები/, რომელთაც შემეცნების პირველწყაროს დანიშნულება აქვთ და საექსპოზიციო შემეცნების დამხმარე მასალები.

ძირითადი და მთავარი ყველა მუზეუმში ნივთია, უშუალოდ ყოფიდან, არქეოლოგიური გათხრებიდან ან ბუნებიდან აღებული ორიგინალი, რომელიც, ჯერ ერთი, პირველწყაროს წარმოადგენს მეცნიერებისათვის(და მეორე- მუზეუმის დამთვალიერებელს აძლევს უშუალო განცდას, თემის ირგვლივ პირდაპირი შემეცნების საშუალებას. რაც შეეხება დამხმარე მასალებს, მათი როლი შედარებით განსხვავებულია და მიზნად ისახავს ძირითადი მასალების შემეცნების გაზრდას და ხელს უწყობს ნივთების და მოვლენების სხვადასხვა საშუალებებით რეკონსტრუქციას /მაკეტები, მოდელები, რეკონსტრუქციები, სქემები, რუკები და სხვ./. ყველა შემთხვევაში ასეთი მასალები პირველწყაროების თანამგზავრის ფუნქციას იღებენ.

ყველა სამუზეუმო-საექსპოზიციო მასალა დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით ცალკეული ჯგუფებით შეიძლება წარმოვადგინოთ. ესენია:

I. დედანი, მასალები / ორიგინალები/ - ამ ჯგუფში შედის შემეცნების პირველწყაროები, როგორც ადამიანთან და ადამიანთა საზოგადოებასთან დაკავშირებული, ისე ბუნებიდან აღებული ნივთები, რომელთა როლი და ფუნქცია, მეცნიერული კატეგორია სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს. ამდენად პირველ ჯგუფში შედიან: კულტურისა და ისტორიის, ასევე საბუნებისმეტყველო ისტორიის ძეგლები, რომლებიც მეცნიერული კვლევის პირველწყაროებს წარმოადგენენ და შეადგენენ ექსპოზიციების წამყვან ნივთებს. აქვე შედის დიდმნიშვნელოვანი თანამედროვე მოვლენების ამსახველი დოკუმენტური თუ ნივთიერი ძეგლებიც, რომლებიც ასახავენ საეტაპო, ისტორიულ მოვლენებს და გარდაქმნებს.

ალბათ საჭირო იქნება ზემოჩამოთვლილი მრავალდარგობრივი და განსხვავებული კოლექციების განმარტებაც, რამდენადაც ისინი მოიცავენ ისტორიის, კულტურის და ბუნების ხანგრძლივ შემოქმედების და ბუნებრივი მოვლენების ვრცელ სერიას.

კულტურის ძეგლებში პირველ რიგში შეიძლება გავიხილოთ ისტორიული წარსულის კვლევის ისეთი პირველწყაროები როგორიცაა არქეოლოგიური მასალები. არქეოლოგიური კოლექციები მრავალფეროვანია და მოიცავს ადამიანთა საზოგადოებების ხანგრძლივი ისტორიის მრავალ მხარეს. აქვე შედის ეთნოგრაფიული ყოფის, სულიერი კულტურის ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები /ფერწერა, სკულპტურა, გრაფიკა/, ხალხური შემოქმედების ძეგლები /ხეზე ჭრა, მეთუნეობა, ოქრომჭედლობა, ქსოვა, ქარგვა.../, სარწმუნოების ისტორიის და სამხედრო საქმის განვითარების ისტორიის ამსახველი მასალები, ნუმიზმატიკური კოლექციები, [illegible],

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფრაგისტიკის, ჰერალდიკის ძეგლები; მემორიალური კოლექციები და ცალკეული ნივთები, დაკავშირებული ისტორიულ მოვლენებთან, ისტორიულ პირებთან; დოკუმენტური მასალები, წერილობითი ძეგლები /ხელნაწერი თუ ნაბეჭდი/ და სხვა მრავალი.

ბუნების ისტორიის ძეგლებში შეიძლება განვიხილოთ პალეონტოლოგიური /განამარხებული „ხოველთა და მცენარეულთა ნაშთები, მათი ანაბეჭდები/, ზოოლოგიური /ფიტულები, ტყავები, კვერცხები, ქვეწარმავლები, ორნითოლოგია/, ბოტანიკური /ჰერბარიუმები, მცენარეული ნაშთები, თესლები.../ მასალები.

მეორე ჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ დედანი სამუზეუმო ნივთების ზუსტი ასლები. ასეთი პირების შექმნა დაკავშირებულია ისეთი ორიგინალური მასალის აუცილებელ ექსპონ. ებასთან, რომლის გამოტანაც მუზეუმში შეუძლებელია დიდი გაბარიტების ან ექსპონირება არ შეიძლება ადვილადხრწნადი მასალის გამო, ანდა როცა ჩვენება აუცილებელია თემასთან დაკავშირებით და ორიგინალი არ იმყოფება მუზეუმში. როგორც წესი, დიდი მუზეუმები გაურბიან კულტურის ძეგლების ასლების ექსპონირებას. ეს ხერხი ძირითადად ვრცელდება და დამახასიათებელია სასკოლო თუ საუნივერსიტეტო მუზეუმებისათვის. თუმცა ასლები ხშირად საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევენ დედანი ნივთების შესახებ.

ხშირად, ამა თუ იმ თემის გასახსნელად და ილუსტრირებისათვის საჭიროა შექმნილი მხატვრული შემოქმედების მოშველიებაც, რასაც ახორციელებენ მუზეუმები ექსპოზიციების მოწყობის დროს.

ამავე ჯგუფში შედის სამეცნიერო-დამხმარე მასალები, რომლებიც არ წარმოადგენენ არც ორიგინალებს, არც ზუსტ ასლებს

და ემსახურებიან ცოდნის განზოგადებას, ექსპონირებული მასალების განმარტებასა და შემეცნების გაძლიერებას. ესაა სხვადასხვა სახის დიაგრამები, რუკები, კარტოგრამები, სქემები, ნახაზები, ტაბლები, ტაბულები და სხვა, რომლებიც ექსპოზიციაში გამოტანილი სხვადასხვა მოვლენების თუ ფაქტების განმარტებას ისახავენ მიზნად.

როგორც ვთქვით, ზემოთ აღნიშნული მასალები სამეცნიერო-დამხმარე ხასიათისაა. სამეცნიერო იმდენად, რამდენადაც დამყარებულია იმ დედანი მასალების სამეცნიერო გამოკვლევების შედეგებზე, რომლებიც მუზეუმებშია დაცული და ამდენად მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების ასახვას წარმოადგენს და დამხმარეა, რამდენადაც ემსახურება დედანი მასალების განმარტებასა და მოვლენათა თუ ფაქტების შემეცნების გაძლიერებას.

მეოთხე ჯგუფში განიხილება ტექსტობრივი მასალები. ტექსტები ყოველგვარი ექსპოზიციებისათვის გამოიყენება, ის მიმართულებას აძლევს დამთვალიერებელს გამოფენის ხასიათის მიხედვით. კერძოდ, აცნობს მონაცემებს სამუზეუმო ნივთების შესახებ, მთლიანად ექსპოზიციას აძლევს თეორიულ და იდეურ მიმართულებას.

საექსპოზიციო ტექსტებს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია, რის მიხედვითაც შეიძლება გავარჩიოთ:

1. ეტიკეტი ან განმარტებითი ტექსტები, რომლებიც თან ახლავს ცალკეულ ნივთებს, ან კოლექციებს.

2. სათაური ტექსტები, რომლებიც განმარტავენ ცალკეულ განყოფილებებს, თემებს და ქმნის მთლიან, ექსპოზიციის სისტემატიკას.

3. წამყვანი ტექსტები, წინ უძღვის ექსპოზიციის რომელიმე განყოფილებას, თემას ან მონაკვეთს და იძლევა ზოგად განმარტებას ექსპოზიციის ამ ნაწილის შესახებ. აქვე შეიძლება იყოს ციტატა, ამონაწერი და სხვა განმარტებითი სახის მასალა. წამყვანი ტექსტები მოკლედ განმარტავენ და აზუსტებენ ექსპოზიციის მონაკვეთს ან მთლიანად ექსპოზიციას.

ზემოთ აღნიშნული იყო საექსპოზიციო დედანი და დამხმარე მასალები ცალკეული ჯგუფების შესახებ, რომლებიც მეტნაკლებად არიან წარმოდგენილი ყველა სახის მუზეუმებში. აღნიშნული გვქონდა, რომ დამხმარე მასალების გამოყენება საექსპოზიციო საქმიანობაში დაკავშირებულია ნივთების შემეცნების ხარისხის ამაღლებასთან, მეტი ინფორმაციის მიწოდებასთან, საგამოფენო თემის, რაც შეიძლება სრულად გასახსნელად. ეს რაც შეეხება საექსპოზიციო სამუზეუმო მასალების კლასიფიკაციას. მთლიანად სამუზეუმო ფონდებისათვის კი სამუზეუმო დედანი ნივთები /ორიგინალები/, წარმოადგენენ მუზეუმების არსის საფუძველს, რადგანაც ისინი როგორც პირველწყაროები სრულად წარმოგვიდგენენ მუზეუმების პროფილის შესაბამისად საზოგადოების და ბუნების განვითარების კანონზომიერ მოვლენებს.

მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა

მასობრივი მუშაობა-მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, სამუზეუმო საქმიანობის დამაგვირგვინებელი ეტაპია. ეს არის ღონისძიებების სრულყოფილი კომპლექსი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობის ფართო ფენებს უნდა გავაცნოთ მეცნიერული ცოდნის თანამედროვე დონე, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ძვრები და გარდაქმნები, რაც ჩვენი ცხოვრების [illegible]ლი თანამგზავრია.

მეცნიერული პროპაგანდის და პოპულარიზაციის ძირითადი კერაა სამუზეუმო ექსპოზიციები, სადაც თავს იყრის მილიონობით დამთვალიერებელი — სხვადასხვა ასაკისა და პროფესიისა, სხვადასხვა განათლებისა და მოთხოვნილებისა, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. ასეთ არაერთფეროვან მასიურ დამთვალიერებელთან მუშაობა ძალიან ძნელია და აშკარაა, რომ პროპაგანდისტული მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები ჩამოყალიბდა.

სამუზეუმო პროპაგანდისტული მუშაობის მრავალ სახეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ექსკურსიას, რომლის მეშვეობითაც მყარდება გეგმაზომიერი და გარკვეული მიზნიდ მიმართული კონტაქტი დამთვალიერებელსა და ექსპოზიციას შორის. ეს არის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის განსაკუთრებული სახე, რომლის უცილობელი და წარმმართველი ელემენტია ექსპონატების მხედველობითი ასახვის გაადვილება მნახველისათვის და შემეცნების ეფექტის გაძლიერება. ექსკურსიები შინაარსით და მეთოდური ხერხებით მრავალნაირი შეიძლება იყოს, თუმცა ერთი საერთო ხაზი აკავშირებს მათ, რაც მჟღავნდება აშკარად გამოკვეთილი თემატურობით.

ექსკურსიის თემატიკა ყალიბდება სამუზეუმო ექსპოზიციის თემატური აგების პრინციპის მიხედვით. ის მუზეუმის განყოფილებების შესაბამისად და მნახველთა კონტინგენტის მიხედვით შეიძლება იყოს ვრცელი, სპეციალიზებული; ჯგუფის შემადგენლობის გათვალისწინებით შეიძლება გარკვეულ ნაწილებს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს და უფრო შეკვეცილად გამოიყოს. ისე, რომ სამუზეუმო ექსპოზიციების მრავალფეროვნება ითხოვს

ექსკურსიის შინაარსის ასპექტების დიფერენცირებულ მიდგომას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ექსკურსიების [illegible] მხედველობაში უნდა მივიღოთ საექსკურსიო ჯგუფების შემადგენლობა, ასაკი და სპეციალიზაცია, სადაურობა და მიზანი ექსპოზიციის დათვალიერებისა. თემატურ ექსკურსიებს ხშირად სასწავლო ხასიათი აქვთ და ასეთი ღონისძიებები სასწავლო პროგრამებთან არის დაკავშირებული. მოსწავლე ახალგაზრდობასთან ექსკურსიების ორგანიზება მასწავლებლებთან ერთად ხდება, მათი პროგრამის გათვალისწინებით. მუზეუმშივე ხდება სასკოლო გაკვეთილების ჩატარება, გარკვეულ თემასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გაკვეთილს ატარებს როგორც კლასის პედაგოგი, ისე მუზეუმის ექსკურსიამძღოლი.

ექსკურსიის მომზადებისას პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს მისი თემა და მიზანდასახულობა. ამავე დროს საჭიროა ექსკურსიის მძღოლმა წინასწარ იცოდეს ჯგუფის შემადგენლობა. როგორც წესი, ექსკურსიის ძირითადი ტექსტი დგება ზემოჩამოთვლილი მონაცემების გათვალისწინებით, თემატიკის მიხედვით, მუზეუმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, ყველა საჭირო დამატებითი მასალების, ლიტერატურის, გადასმით შესწავლის საფუძველზე. სასურველია ტექსტის რამდენიმე ვარიანტის შექმნა.

ექსკურსიის მძღოლი სისტემატურად უნდა ეცნობოდეს მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურას და შეეძლოს დამთვალიერებელს გააცნოს ექსპოზიცია თანამედროვე მეცნიერული დონის შესაბამისად. მეთოდურად ექსკურსია უნდა აიგოს საუბრის სამი ძირითადი ეტაპის მიხედვით. ესაა-შესავალი, ძირითადი შინაარსი და დასკვნითი ნაწილი. შესავალი ნაწილის თხრობისას

გარკვეული ურთიერთობა მყარდება ექსკურსიის მძღოლსა და დამთვალიერებლებს შორის. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას საუბრის მიზნის შესახებ, არ არის ურიგო, განსაკუთრებით დიდი მუზეუმების პირობებში, სულ მოკლედ აღინიშნოს მუზეუმისა და მისი ისტორიის შესახებაც. თხრობის დროს ექსკურსიის მძღოლმა ზომიერების გრძნობას არ უნდა ღალატობდეს, უნდა ერიდებოდეს ექსპონატების მიმართ გადაჭარბებული ეპითეტების ხმარებას, მისი ვალია ანალიტური განმარტება და არა თავსმოხვეული ქება; მნახველი ექსკურსიის მძღოლის მიერ მოწოდებული სწორად გამიზნული საუბრის საფუძველზე თვით უნდა მივიდეს ექსპონირებული მასალის ღირსებების შეგრძნებამდე. დასკვნით ნაწილში ძირითადი მომენტების ჩვენებით, დამთვალიერებლის უნდა გაეცნოს შედეგი და ექსპოზიციის მთავარი იდეა.

ექსკურსიების მძღოლების ტექსტი იმის მიხედვით თუ რომელია ექსპოზიციის ნახვის სისტემა, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, როცა მუზეუმში დათვალიერება ხდება ერთი ექსკურსიის მეშვეობით, ზოგჯერ კი გამოყენებულია ექსკურსიები ცალკეული თემების მიხედვით. ორივე შემთხვევაში საჭიროა, ერთიანი სისტემის შექმნა.

კარგად ორგანიზებული და ჩატარებული ექსკურსია ექსპოზიციის აღქმის ყველაზე საიმედო საშუალებაა, ამდენად ექსკურსიის მძღოლის მომზადებას, ყველა დეტალის დახვეწას და საერთოდ, მოსამზადებელ სამუშაოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ექსკურსიისათვის გაპიროვნებული თანამშრომელი ვალდებულია სერიოზული წინასწარ მოსამზადებელი სამუშაო ჩაატაროს, რაც გულისხმობს მასალის თეორიული ნაწილის დამუშავებას, მეცნიერული საფუძვლების დაუფლებას, ყველა ექსპონირებული

ძირითადი და დამხმარე ნაწილის ტოლდასმით შესწავლას; სა-ექსკურსიო მარშრუტის ათვისებას და საუბრის ტექსტის და-უფლებას. ექსკურსიის მძღოლის სპეციფიკური მხარე ძირი-თადად ისწავლება პრაქტიკული საქმიანობისას, განსაკუთრე-ბით არაჯ ტლავრიოვანი რამდენიმერიგიანების პირობებში.

X

X X

მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ლექციური პროპაგანდა. ასეთი საქმიანობის განხორციელება ხდება როგორც უშუალოდ მუზეუმებში ისე მის გარეთაც.

ლექციები, როგორც წესი, მუზეუმებში იგეგმება წი-ნასწარ, სამუზეუმო პროფილის შესაბამისად, ამ შემთხ-ვევაში უკეთეს შედეგს გვაძლევს დამხმარე საშუალებების გამოყენება /კინო-დოკუმენტები, სლაიდები და სხვა/, ლექ-ციების ან ლექციების ციკლის ჩატარება სასურველია მიესა-დაგებოდეს საექსპოზიციო თემატიკას და ამ უკანასკნელის შემეცნების გაძლიერებას ემსახურებოდეს.

წამყვანი მუზეუმების სალექციო პრაქტიკის მიხედვით მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ამ სახეს შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა. მოსახლეობაში ის ემსახურება ინტელექ-ტუალური დონის ამაღლებას. ცხოვრების დღევანდელი პირობები გვიკარნახებს, რომ მოსახლეობის ფართო მასები ინფორმირე-ბული უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლის, თანამედროვე საერთაშორისო დიდმნიშვნელოვანი მოვლენების შე-სახებ.

ლექციური პროპაგანდისათვის ფართოდ გამოიყენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციის თანამედროვე საშუალებანი- პრესა, ტელევიზია, რადიო. ამავე მიზნებით სასურველია განხორციელდეს ლექციური პროპაგანდა საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა.

ბეჭდვითი პროდუქცია მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა. აქ იგულისხმება ყველა სახის სამუზეუმო გამოცემები, განსაკუთრებით კი სამუზეუმო კოლექციების პუბლიკაციები და უშუალოდ ექსპოზიციების საცნობარო ლიტერატურის პოპულარული სერიები. მუზეუმები უნდა ახერხებდნენ ასეთი სახის ბეჭდვითი მრავალფეროვანი პროდუქციის გამოშვებას, რაზედაც ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა /ღია ბარათები, ბუკლეტები, ალბომები, გზამკვლევები.../. წარმატებით სარგებლობს ასევე ცალკეული ნივთების, კოლექციების თუ ძეგლების შესახებ არსებული რეპროდუქციები და ფერადი სლაიდები.

ყველა ზემოთ აღნიშნული საშუალებების გამოყენება მუზეუმებში აუცილებელი პირობაა, რამდენადაც სწორედ პოპულარიზაციის კომპლექსური მეთოდით განხორციელებული ღონისძიებები განსაზღვრავენ სამუზეუმო ექსპოზიციების ღირსებას და მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურა

ფ.არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო /ნ.კეჭაღმაძის თარგმანი და გამოცემა/, თბ., 1961.

ა.აფაქიძე, არქეოლოგიური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციაში, თბ., 1955.

თ.ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, პეტერბურგი, 1842.

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა /ქ.ც-ბა, IV, თბ., 1973/.

ს.ბოლქვაძე, "მუზეუმები" /ქსე, "საქართველოს სსრ", თბ., [illegible]/.

ს.ბოლქვაძე, ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ.მუზეუმების ექსპოზიციები /სს მუზეუმის მოამბე XXX-ბ/.

დ.კაპანაძე, ნუმიზმატიკური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციაში, თბ., 1956.

პ.კიკნაძე, სამუზეუმო მუშაობის საკითხები, თბ., 1966.

პ.მეტრეველი, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა და დაცვა, თბ., 1954.

რ.მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება, თბ., 1982.

ს.ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940.

გ.ჟორდანია, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951.

დ.ფურცელაძე, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ.,1964.

ც.ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქ.ც-ბა, I, თბ.,
1955.

ნ.ჯაში, ვ.ი.ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ,
თბ., 1958.

Авдусин Д.А., Полевая археология СССР, М., 1972.

Анощенко, Музеи СССР: итоги, перспективы, Музейное дело в СССР, Труды, М., 1977.

Антонова И.А., Два десятилетия в Международной музейной организации, Музейное дело в СССР, М., 1977.

Музей Академии наук СССР и АН Союзных республик, М., 1983.

Основы Советского музееведения, М., 1955.

Очерки истории Музейного дела в СССР, М., 1963.

Охрана музейных памятников и описание их сохранности, М., 1964.

Разгон А.М., Музееведение, БСЭ, т.17

Разгон А.М., Музей, СИЭ, т.9.

Разгон А.М., Очерк истории военных музеев в России, Труды института Музееведения, вып.7, М., 1972.

Ревякин В.И., Музей, БСЭ, т.17.

Читая Г., Этнография Грузии за Советский период, СЭ, № 3, 1938.

Читая Э., Этнографическое исследование в ГССР, СЭ, № 4, 1948.

Эсадзе Б., Краткое описание Кавказского Военно-исторического музея в Тифлисе, 1899.

Юденич И.В., В ряду крупнейших музеев мира, Муз.дело в СССР, М., Труды, 1977.

# შინაარსი

თავი I. მუზეუმმცოდნეობა და მუზეუმების ჩამოყალიბების მოკლე ისტორია . . . . . . . . . .

მუზეუმმცოდნეობა როგორც სამეცნიერო დისციპლინა 4

რა არის მუზეუმი . . . . . . . . . . . . . . . 10

მუზეუმების წინამორბედი ფორმები და სამუზეუმო საქმის განვითარების მოკლე ისტორია . . . . . . 16

თავი II. მუზეუმების სპეციფიკა . . . . . . . . . . . . 56

ისტორიული პროფილის მუზეუმები . . . . . . . . 60

ისტორიული მუზეუმები . . . . . . . . . . . . . . 61

არქეოლოგიური მუზეუმები . . . . . . . . . . . . 66

ეთნოგრაფიული მუზეუმები . . . . . . . . . . . . 71

სამხედრო-ისტორიული მუზეუმები . . . . . . . . 76

სამხატვრო მუზეუმები . . . . . . . . . . . . . . 79

საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმები . . . . . 83

ზოოლოგიური მუზეუმები . . . . . . . . . . . . . . 83

ბოტანიკური მუზეუმები . . . . . . . . . . . . . . 85

კომპლექსური მუზეუმები . . . . . . . . . . . . . 86

მხარეთმცოდნეობის მუზეუმები . . . . . . . . . . 87

თავი III. სამუზეუმო საქმიანობის შინაარსი და განვითარების ეტაპები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 88

მოძიებით-შემგროვებლობითი საქმიანობა . . . . 88

საფონდო სამუშაოები . . . . . . . . . . . . . . 95

სამეცნიერო მუშაობა . . . . . . . . . . . . . . 128

საექსპოზიციო მუშაობა . . . . . . . . . . . . . 133

მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა . . . . . . . . . 149

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ლ. მაჩხულაძე

კორექტორი ნ. ცისკარიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.08.84

უე 01455 საბეჭდი ქაღალდი 60X84 პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 10 სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,9

ტირაჟი 500 შეკვეთის № 1264

ფასი 25 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета
380028, Тбилиси, пр. И.Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета,
380028, Тбилиси, пр.И.Чавчавадзе, 1